

წიგნის გამომცემლობა „მკრანი“

# ქართული გრამატიკა

სილოვ. ხუნდაძის მიერ

შედგენილი.

შეუვიდე გამოცემა

(შესწორებული და შევსებული).

ფასი 10.000 მან.

ქუთაისი  
1921



წიგნის გამომცემლობა „მერანი“.

# ქართული ბრძანებები

სილოვ. ხუნდაძის მიერ

შედგენილი.

მეშვიდე გამოცემა

(შესწორებული და შევსებული).



მუთაისი

ივანე კილაძის სტამბა—ქუთაისში.

1920.

29524

## პირველი წლის კურსი

### საგანი და სახელი არსებითი.

შველაფერს, რასაც თვალით ვხედავთ, ან ხელით შევხებით, ან გონებით წარმოვიდგენთ, — ჰქვია **საგანი**, — მაგალითად: **მთვარე, ბალახი, ანგელოზი**.

ზოგ საგანს თავისი ნებით შეუძლია მოძრაობა, მაგალითად **კაცს, თევზს, ფრინველს**: — ამისთანა საგანს **სულიერი საგანი** ეწოდება; — ზოგიერთს კი თავისი ნებით მოძრაობა არ შეუძლია, მაგალითად **ქვას, ხეს, სახლს**: — ამისთანა საგანს **უსულო საგანი** ეწოდება.

სხვადასხვა საგანს სხვადასხვა სახელი ჰქვია: ყოველივე საგნის სახელს **არსებითი სახელი** ეწოდება, — მაგალ. **ვარსკვლავი, კაცი, ფრინველი, ანგელოზი, ხე, ტყე, ჰაერი** და მზგავსი სახელები **არსებითი სახელებია**.

**სახელი არსებითი სამგვარია:**

1. **საპუთარი** (ბიორგი, თფილისი, ქართლი,)
2. **საზომბალო** (კაცი, ქალაქი, მხარე) და
3. **კრებიტი** (ჯარი, ხალხი, ჯოგი, ფარა, გუნდი).

### ბრუნვები.

სახელი არსებითი საუბარში სხვადასხვა განსხვავებულ დაბოლოებას მიიღებს, — მაგალითად: **ტრედი ხეზე** შემოჯდა, **მონადირემ ტრედის** მოკვლა მოინდომა, **ტრედს** ტყვია მოხვდა, **ტრედმა** სული დალია, და სხვა.

სხვადასხვა დაბოლოებით სახელების ცვალებას ბრუნება ჰქვია (ან კანკლედობა).

სახელი შეიღწაირო ფორმით იბრუნვის, — თითოეულ ფორმას ბრუნვა ჰქვია, ასე რომ სულ შვიდი ბრუნვაა:

- |                         |                         |
|-------------------------|-------------------------|
| 1. სახელობითი: ბავშ-ი   | 4. მოთხრობითი: ბავშ-მა  |
| 2. ნათესაობითი: ბავშ-ის | 5. მოქმედებითი: ბავშ-ით |
| 3. მიცემითი: ბავშ-ს     | 6. ვნებითი: ბავშ-ათ     |
| 7. წოდებითი: ბავშ-ო!    | (ბავშ-ად).              |

\*

ბრუნებო კითხვებით გამოიცნობა, — მაგალითად: ბავშის წიგნი მთელია, ბავშს წიგნი უყვარს, ბავშმა წიგნი კარგათ ისწავლა: —

ვისი წიგნია მთელი? — ბავშის;

ვის უყვარს წიგნი? — ბავშს;

ვინ ისწავლა წიგნი კარგათ? — ბავშმა.

პითხვა ვინ ლეთისა და აღამიანის შესახებ იხმარება, დანარჩენი საგნების შესახებ კი იხმარება კითხვა რა: —

ვინ იწამა ხალხმა? — ლმერთი.

ვინ მოღის? — ქალი.

ვისი წიგნია ეს — ყმაწვილს.

ვის უყურებ შენ? — მხედარს,

რა მირბის? — ხარი.

რის ტყავია ეს? — დათვის.

რას აშენებ? — სახლს.

რამ გაიდგა ფესვი? — მუხამ.

რიცხვი ორია: მხოლოდობითი რიცხვი, როცა ერთ საგანზეა ლაპარაკი, მაგალითად სახლი, და მრავლობითი რიცხვი, როცა ბევრ საგანზეა საუბარი, მაგალითად სახლები.

# არსებით სახელთა ბრუნება.

## მხოლოდებითი რიცხვი.

1. სახ. ვინ? — ძმა	რა? — კატა
ნათ. ვისი? — ძმის	რის? — კატის
მიც. ვის? — ძმას	რას? — კატას
მოთხ. ვინ? — ძმამ	რამ? — კატამ
მოქმ. ვისით? — ძმით	რით? — კატით
ვნებ. რათ? — ძმათ (ძმად)	რათ? — კატათ (კატად)
წოდ. ვინ? — ძმაო!	რა? — კატაო!

2. სახ. ვინ? — მოწმე	რა? — კლდე
ნათ. ვისი? — მოწმის	რის? — კლდის
მიც. ვის? — მოწმეს	რას? — კლდეს
მოთხ. ვინ? — მოწმემ	რამ? — კლდემ
მქ. ვისით? — მოწმით	რით? — კლდით
ვნ. რათ? — მოწმეთ (მოწმედ)	რათ? — კლდეთ
წოდ. ვინ? — მოწმეო!	რა? — კლდეო!

3. სახ. ვინ? — ბავში	რა? — იხვო
ნათ. ვისი? — ბავშის	რის? — იხვის
მიც. ვის? — ბავშს	რას? — იხვს
მოთხ. ვინ? — ბავშმა	რამ? — იხვმა
მქ. ვისით? — ბავშით	რით? — იხვით
ვნ. რათ? — ბავშათ (-ად)	რათ? — იხვათ (იხვად)
წოდ. ვინ? — ბავშო!	რა? — იხვო!

4. სახ. ვინ? — გოგო	რა? — რკო
ნათ. ვისი? — გოგოსი	რის? — რკოსი



მც. ვის? — გოგოს	რას? — რკოს
მთ. ვინ? — გოგომ	რამ? — რკომ
მქ. ვისით? — გოგოთი	რით? — რკოთი
მ. რათ? — გოგოთ (გოგოდ)	რათ? — რკოთ (რკოდ)
წ. ვინ? — გოგო!	რა? — რკოო!

5. ს. ვინ? — ყრუ	რა? — ბუ
ნ. ვისი? — ყრუსი	რის? — ბუსი
მც. ვის? — ყრუს	რას? — ბუს
მთ. ვინ? — ყრუმ	რამ? — ბუმ
მქ. ვისით? — ყრუთი	რით? — ბუთი
მ. რათ? — ყრუთ (ყრუდ)	რათ? — ბუთ (ბუდ)
წ. ვინ? — ყრუო!	რა? — ბუო!

მრავლობითი რიცხვი.

1. ს. ძმ-მბ-ი	2. მოწმე-ებ-ი	3. ბავშ-ებ-ი
ნ. ძმ-ებ-ის	მოწმე-ებ-ის	ბავშ-ებ-ის
მც. ძმ-ებ-ს	მოწმე-ებ-ს	ბავშ-ებ-ს
მთ. ძმ-ებ-მა	მოწმე-ებ-მა	ბავშ-ებ-მა
მქ. ძმ-ებ-ით	მოწმე-ებ-ით	ბავშ-ებ-ით
მ. ძმ-ებ-ათ (ად)	მოწმე-ებ-ათ (ად)	ბავშ-ებ-ათ (ად)
წ. ძმ-ებ-ო!	მოწმე-ებ-ო!	ბავშ-ებ-ო!

4. ს. გოგო-ებ-ი	5. ყრუ-ებ-ი
ნ. გოგო-ებ-ის	ყრუ-ებ-ის
მც. გოგო-ებ-ს	ყრუ-ებ-ს
მთ. გოგო-ებ-მა	ყრუ-ებ-მა
მქ. გოგო-ებ-ით	ყრუ-ებ-ით
მ. გოგო-ებ-ათ (-ად)	ყრუ-ებ-ათ (-ად)
წ. გოგო-ებ-ო!	ყრუ-ებ-ო!

მრავლობით რიცხვში სახელები მეორეგვარი დაბოლოებითაც იბრუნვის: ძმანი, კატანი, მოწმენი, კლდენი, ბავშნი, იხვნი, გოგონი, რკონი, ყრუნი, ბუნი.

როცა სახელი მეორე დაბოლოებით იბრუნვის, ორი ბრუნვა არ იხმარება, სახელდობ — მოქმედებითი და ვნებითი:

ს. ძმანი, კლდენი, ბავშნი, რკონი, ბუნი.

ნ.

მც. } ძმათა, კლდეთა, ბავშთა, რკოთა, ბუთა.

მთ.

მქ.

მ.

წ. ძმანო! კლდენო! ბავშნო! რკონო, ბუნო!

### შენიშვნები გრუნების შესახებ.

1. არსებითი სახელების დაბოლოებანი არიან: ა, ე, ი, ო და უ (მამა, ხე, კაცი, რკო, ბუ).

2. ა-ზე დებოლოებული სახელები მხოლოდობით რიცხვში მარტო ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვაში კარგავს ა-ს, მრავლობითში კი — ყოველგან (ნახეთ წინ მაგალითები: ძმა, კატა).

3. ე-ზე დაბოლოებული სახელები მარტო მხოლოდობით რიცხვის ორ ბრუნვაში, სახელდობ ნათესაობითსა და მოქმედებითში, კარგავს ე-ს; მრავლობით რიცხვში კი ე არ იკარგება არცერთ ბრუნვაში (ნახეთ წინ მაგალითები: მოწმე, კლდე).



4. **ო**-სა და **უ**-ზე დაბოლოებული სახელები არსად არ კარგავს **ო**-სა და **უ**-ს (ნახეთ წინ მაგალითები: **რკო, ბუ**).

5. **ი**-ზე დაბოლოებული სახელები ყოველგან კარგავს ამ **ი**-ს; მხოლოდობითი რიცხვის ვნებით ბრუნვაში დაბოლოების **თ**-ის წინ ამ შემთხვევაში ა ჩაერთვის (ნახეთ მაგალითები: **ბავში, იხვი**).

6. ვნებით-ბრუნვაში **თ**-ს გარდა კიდევ იხმარება ჩვენს მწერლობაში დაბოლოება **ღ**, მაგალითად: **ბავშად, კატად, ბავშებად, კატებად**.

თუ რომ ვნებით ბრუნვას **ღ**-ზე ვაბოლოებთ, იმ შემთხვევაში, როცა წინამომდევარ მარცვალში სიტყვას ბგერა **ღ** ახლავს, კეთილხმოვანებისათვის ვნებ. ბრუნვა **თ**-ზე უნდა დაბოლოვდეს (**ღათ, ღეთ, ღოთ**), მაგალ.: **ღეღათ, ღიღათ, კლღეთ, გუღეთ, ღოთ, ურღოთ**; — ხოლო, თუ რომ ვნებ. ბრუნვას **თ**-ნით ვაბოლოებთ, იმ შემთხვევაში, როცა წინამომდევარ მარცვალში სიტყვას ბგერა **თ** ახლავს, ვნებ. ბრუნვა უმჯობესია **ღ**-ზე დაბოლოვდეს (**თად, თედ, თოდ**), — მაგ.: **მართად, ღმერთად, მათად, მათედ, უთოდ, ფართოდ**.

7. მხოლოდობითი რიცხვის წოდებითი ბრუნვა ზოგჯერ სახელობით ბრუნვასა გავს: **მამა! დედა! მამიდა! ელენე! გიორგი! ჭავჭავაძე!** (დაწვრილებით II წლის კურსში ნახავთ).

8. მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ორგვარი დაბოლოებაა: **ის** და **სი**; დაბოლოება **სი** აქვს **ო**-სა და **უ**-ზე დაბოლოებულ სახელებს; ამავე სახელებს მხოლოდობ. რიცხვის მოქმედებით ბრუნვაში აქვს დაბოლოება **თი** (იხ. წინ მაგალითები: **გოგო, რკო, ყრუ, ბუ**).

დაბოლოება **სი** და **თი** აქვს აგრეთვე ზოგიერთ სხვა

სახელსაც: **მამიდასი, შალვასი, მლენესი, ჩიტუნიასი;**  
**მამიდათი, შალვათი, მლენეთი, ჩიტუნიათი** და სხვ.  
(დაწვრილებით იხ. II წლის კურსში).—

სი-ს მაგიერ ზოგჯერ მარტო **ს** იხმარება: **წიგნი**  
**შალვასი, ან შალვას წიგნი;** ვისია ეს წიგნი?—**მლენესი, ან: ეს მლენეს წიგნია.**

9. ბრუნვებს ხანდახან სრული დაბოლოებითაც ხმარობენ, ე. ი. ბოლოში უმატებენ **ა-ს:** ნათ. **ბავშისა,** მიც. **ბავშსა, ბავშებსა,** მოქმ. **ბავშითა, ბავშებითა,** ვნ. **ბავშათა, ბავშებათა** (ბავშადა, ბავშებადა).—

ი-ზე დაბოლოებულ სახელებს მოთხრობით ბრუნვაში ყოველთვის **მა** ემატება (ბავში—**ბავშმა**); **ა-სა, ე-სა, ო-სა** და **უ-ზე** დაბოლოებულს **კი მ** (**კატამ, კლდეშ, რკომ, ბუმ**); იშვიათად აქაც იხმარება სრული დაბოლოება **მა:** **ბრმამა** სთქვა, **ბუმა** სცნა და სხვ. (დაწვრილებით იხ. II წლის კურსში).

10. მრავლობით რიცხვში, როცა პირველი დაბოლოებით ვაბრუნებთ, სიტყვებს ბრუნვებში იგივე დაბოლოება აქვს, როგორც მხოლოობით რიცხვში; განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მრავლობითში დაბოლოების წინ **ებ** ჩაერთვის:

**ბავშ-ებ-ი, ბავშ-ებ-ის, ბავშ-ებ-ს** და სხვ. (შეაღარეთ მხოლოობით რიცხვს).

მნებით ბრუნვაში აქ დაბოლოების წინ **ებ-ს** გარდა ყოველთვის კიდევ **ა** ემატება:

**ბავშ-ებ-ათ, რკო-ებ-ათ, ბუ-ებ-ათ** (ნახეთ შე-ნ შენიშვნა).

11. როცა მრავლობით რიცხვში სიტყვას მეორე დაბოლოებით ვაბრუნებთ, სამ ბრუნვას: **ნათესაობითს, მიცემითსა** და **მოთხრობითს**—ერთნაირი დაბოლოება

აქვს, სახელდობთა (იხ. წინ მაგალითები, გვ. 7).

თუ შეგვხვდა სადმე, მაგალითად, ფორმა **ბავშთა** და გვინდა გავიგოთ, თუ რომელი ბრუნვაა ეს ფორმა, — იმ შემთხვევაში კითხვას უნდა მივმართოთ: რომელი ბრუნვის კითხვასაც მოითხოვს ეს ფორმა, ის ბრუნვა იქნება. მოვიყვანოთ მაგალითები:

1. ამ **ბავშთა** მშობლები აქ არიან.

2. ივანე ამ **ბავშთა** სცემდა.

3. ეს ამბავი ამ **ბავშთა** სთქვეს.

პირველ მაგალითში სიტყვა **ბავშთა** თხოულობს კითხვას: ვისი? (ვისი მშობლები არიან აქ?); მეორე მაგალითში იმავე სიტყვას კითხვა უნდა: ვის? (ვისა სცემდა ივანე?); მესამეში უნდა კითხვა: ვინ? (ვინა სთქვა ეს ამბავი?).

მაშასადამე, პირველ მაგალითში **ბავშთა** ნათესაობითი ბრუნვაა, მეორეში — მიცემითი, მესამეში — მოთხოვითი.

12. ზოგიერთი სახელი კარგავს ბრუნვებში ხმოვანებს ა-ს, ე-სა და ო-ს.

ავიღოთ, მაგალითად, სახელები: **ბაწარი**, **კედლი**, **გოდრი**; ამათგან ნათესაობითი ბრუნვა იქნება: **ბაწრის**, **კედლის**, **გოდრის**; მოქმედებითი: **ბაწრით**, **კედლით**, **გოდრით**; ვნებითი: **ბაწრათ**, **კედლათ**, **გოდრათ**.

მხოლოდობით რიცხვში მარტო ამ სამ ბრუნვაში იკარგება ზემოხსენებული ხმოვანები, მრავლობითში კი — ყველა ბრუნვაში: **ბაწრები**, **ბაწრების**, **ბაწრებს**, **ბაწრებმა**, **ბაწრებით**, **ბაწრებათ**, **ბაწრებო!** (იხ. II წლის კურსში).

### ზედსართავი სახელი.

პრსებით სახელებს გარდა საუბარში სხვა სიტყვებიც იხმარება.

ჩვენს მუხაზე ყვითელი მიმინო შემოჯდა.

ამ მაგალითში სიტყვა „ყვითელი“ დაერთვის სახელს „მიმინოს“-ს და მის თვისებას გვიჩვენებს, — ამისთანა სიტყვას ზედსართავი სახელი ეწოდება.

აი კიდევ ზედსართავი სახელები:

შავი, თეთრი, მაღალი, დაბალი, ვიწრო, ფართო, ღრმა; — ტყიანი, ქვიანი, მთიანი, მტვრიანი; — შარშანდელი, დღევანდელი, გუშინდელი, შარშანდლური, გუშინდლური; — სოფლელი, ქალაქელი, სოფლური, ქალაქური; — საყმაწვილო, სასოფლო, სახალხო და სხვ.

ზედსართავი სახელების კითხვებია: როგორი? სადაური? როდინდელი?

### რიცხვითი სახელი.

რიცხვის აღმნიშვნელ სახელს რიცხვითი სახელი ჰქვია: ერთი, ხუთი, ასი, — პირველი, მეხუთე, მეასე, ოცდამეათე, ას ორმოცდამეათე და სხვ.

### ნაცვალსახელი.

ვანო გახარებულია: დედამ მას ახალი ტანისამოსი შეუკერა.

ამ მაგალითში მას ნახმარია სახელის (ვანოს) მაგირ, — ამისთანა სიტყვას ნაცვალსახელი ჰქვია (რადგან სახელის ნაცვლათ იხმარება).

აი კიდევ ნაცვალსახელები: მე, შენ, ის; — ჩემი, შენი, მისი; — ვინ? რა? რომელი? ვისი? — ვინმე, რამე, რომელიმე, ვისიმე; — თვით, თვითონ, ყველა, ყოველი.

ზ მ ნ ა.

ბავშმა წიგნი წაიკითხა.

ამ მაგალითში სიტყვა წაიკითხა მოქმედებას გვიჩვენებს; მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვას **ზმნა** ეწოდება.

**მაგალითები:** მე ვსწერ, ჩვენ ვკითხულობთ, თქვენ ლაპარაკობთ, ის ხატავს, ისინი ხატვენ, და სხვ.

თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი.

**მთაზე** თოვლი ძევს, **თევზი** წყალში ცხოვრობს, **ბავში** ღობესთან დვას, **ყურდგელი** ტყისკენ გაიქცა, **ძმისგან** წერილი მივიღე.

ამ მაგალითებში **ზე**, **ში**, **თან**, **კენ**, **გან** არსებით სახელებს ბოლოში ემატება, **თან უღევს**; — ამისთანა სიტყვას **თანდებული** ჰქვია.

ზ მ ნ ი ს ა რ თ ი.

ბავში **წყნარათ** ზის, ბერიკაცი **ნელა** მიდის, შაში **ტკბილათ** გალობს, მასწავლებელი **ხმამალლა** ლაპარაკობს.

მოყვანილ მაგალითებში სიტყვები: **წყნარათ**, **ნელა**, **ტკბილათ**, **ხმამალლა** მოქმედების თვისებას გვიჩვენებს. (**როგორ** ზის? **როგორ** გალობს? და სხვ.). ამისთანა სიტყვა ყოველთვის **ზმნას** ახლავს, **ზმნას დაერთვის** — და ამიტომ **ზმნისართი** ეწოდება.

კ ა ვ უ ი რ ი.

**ბიორგი** და **ლეონი** კარგათ სწავლობენ. — **შველამ** იცის, **რომ** სწავლა საჭიროა. — **ჭუჩაში** ტალახია, **რადგან**



გუშინ წვიმდა. — როცა კარგათ მოემზადები, კლასში შეგიყვან. — თუ კარგათ ისწავლი, სასარგებლო კაცი გამოხვალ. —

სიტყვა და აკავშირებს ერთმანეთთან სახელებს (ზიორგი და ლეონი); — სიტყვები რომ, რადგან, როცა, თუ — აკავშირებს (აბამს) ერთმანეთთან სხვადასხვა აზრს; ამისთანა სიტყვას გრამატიკაში კავშირი ეწოდება.

### შ ო რ ი ს დ ე ბ უ ლ ი.

ოხ, ღმერთო ჩემო! ჰე, ბიჭებო, დავტრიალდეთ! ჰოპ, ჰოპ! ჰერი, ჰერი! ჩუ, გამოხტა აგერ მწყერი!

ოხ, ჰე, ჰოპ, ჰერი, ჩუ — ამისთანა სიტყვები გვიხატავს სულის სხვადასხვანაირ მოძრაობას: ზოგი მწუხარებას, ზოგი აღტაცებას, სიხარულს, გაკვირვებას. — ამისთანა სიტყვებს გრამატიკაში შორისდებული ეწოდება.

ამ სახით, ადამიანის სასაუბრო ენა ან სიტყვა ცხრა სხვადასხვაგვარი ნაწილისაგან შესდგება; ამათ სიტყვის ნაწილები ეწოდება.

### მ ი მ ო ხ რ ა.

ზმნა მიმოიხრის; ე. ი. სცვლის დაბოლოებას პირებსა და დროებში.

### პ ი რ ი.

ვინც ლაპარაკობს, ის არის პირველი პირი: მე ვსწერ, ჩვენ ვსწერთ; მე ვკითხულობ, ჩვენ ვკითხულობთ.



ვისაც ელაპარაკებოან, ის არის მეორე პირი:  
შენ სწერ, თქვენ სწერთ; შენ კითხულობ, თქვენ  
კითხულობთ.

მიხედაც ელაპარაკობენ, ის არის მესამე პირი:  
ისა სწერს, ისინი სწერენ; ის კითხულობს, ისინი  
კითხულობენ:

დ რ ო.

მიძობრაში სამი დრო გაირჩევა: აწმყო, ნამყო და  
მყოფადი.

1. აწმყო, ე. ი. ახლანდელი დრო; — აწმყო დრო-  
ის კითხვებია:

რას ვშვრებდი? რას უნდა ვშვრებოდე?

რას ვშვრები მე? — მე ვსწერ. — რას შვრები შენ? —  
შენ სწერ. — რას შვრება ის? — ის სწერს. — რას ვშვრებით  
ჩვენ? — ჩვენ ვსწერთ. — რას შვრებით თქვენ? — თქვენ  
სწერთ. — რას შვრებიან ისინი? — ისინი სწერენ.

მე უნდა ვსწერდე, შენ უნდა სწერდე, ის უნდა  
სწერდეს, ჩვენ უნდა ვსწერდეთ, თქვენ უნდა სწერდეთ,  
ისინი უნდა სწერდენ.

2. ნამყო, ე. ი. გასული დრო; — ნამყო დროის  
კითხვებია:

რას ვშვრებოდი? რა ვქენი? რა მიქნია? რა უნდა  
მექნა? რა უნდა მექნას? რას ვიზამდი?

მე ვსწერდი, შენ სწერდი, ის სწერდა, ჩვენ  
ვსწერდით, თქვენ სწერდით, ისინი სწერდენ.

მე ვსწერე (დავსწერე), შენ სწერე (დასწერე), მან  
სწერა (დასწერა), ჩვენ ვსწერეთ (დავსწერეთ),  
თქვენ სწერეთ (დასწერეთ), მათ სწერეს (დასწე-  
რეს).

მე მიწერია (დამიწერია), შენ გიწერია (დაგიწერია),  
მას უწერია (დაუწერია), ჩვენ გვიწერია (დაგვიწერია),  
თქვენ გიწერიათ (დაგიწერიათ), მათ უწერიათ (დაუწერიათ).

მე უნდა მეწერა (დამეწერა), შენ უნდა გეწერა (დაგეწერა),  
მას უნდა ეწერა (დაეწერა), ჩვენ უნდა გვეწერა (დაგვეწერა),  
თქვენ უნდა გეწერათ (დაგეწერათ), მათ უნდა ეწერათ  
(დაეწერათ).

მე უნდა მეწეროს (დამეწეროს), შენ უნდა გეწეროს  
(დაგეწეროს), მას უნდა ეწეროს (დაეწეროს), ჩვენ უნდა  
გვეწეროს (დაგვეწეროს), თქვენ უნდა გეწეროსთ  
(დაგეწეროსთ), მათ უნდა ეწეროსთ (დაეწეროსთ).

მე ვსწერდი (დავსწერდი), შენ სწერდი (დასწერდი),  
ის სწერდა (დასწერდა), ჩვენ ვსწერდით (დავსწერდით),  
თქვენ სწერდით (დასწერდით), ისინი სწერდენ (დასწერდენ).

3. მყოფადი, ე. ი. მომავალი დრო; მყოფადი  
დროის კითხვებია:

რას ვიზამ? რას ვიზამდე? რა უნდა ვქნა?

მე ვსწერ (დავსწერ), შენ სწერ (დასწერ), ის სწერს  
(დასწერს), ჩვენ ვსწერთ (დავსწერთ), თქვენ სწერთ  
(დასწერთ), ისინი სწერენ (დასწერენ).

მე ვსწერდე (დავსწერდე), შენ სწერდე (დასწერდე),  
ის სწერდეს (დასწერდეს); ჩვენ ვსწერდეთ (დავსწერდეთ),  
თქვენ სწერდეთ (დასწერდეთ), ისინი სწერდენ (დასწერდენ)

მე უნდა ვსწერო (დავსწერო), შენ უნდა სწერო  
(დასწერო), მან უნდა სწეროს (დასწეროს), ჩვენ უნდა  
ვსწეროთ (დავსწეროთ), თქვენ უნდა სწეროთ (დასწეროთ),  
მათ უნდა სწერონ (დასწერონ).

**ბძანება** ქართულათ ორნაირათ გამოიხატება:

1. **დამტკიცებითად:** სწერე, იკითხე! სწეროს, იკითხოს! ვსწეროთ, ვიკითხოთ! სწერეთ, იკითხეთ! სწერონ, იკითხონ!

და 2. **უარყოფითად:** ნუ სწერ, ნუ კითხულობ! ნუ სწერს, ნუ კითხულობს! ნუ ვსწერთ, ნუ ვკითხულობთ! ნუ სწერთ, ნუ კითხულობთ! ნუ სწერენ, ნუ კითხულობენ! არ სწერო, არ იკითხო! არ სწეროს, არ იკითხოს! არ ვსწეროთ, არ ვიკითხოთ! არ სწეროთ, არ იკითხოთ! არ სწერონ, არ იკითხონ!

—:—

**ქართულ ენაში ორგვარი მიმოხრაა:**

**პირველ მიმოხრას** ის ზმნები ეკუთნის, რომელიც აწმყო დროში პირველ პირში ვ-ით იწყება: მე ვაშენებ, ვსწერ, ვკითხულობ, ვხატავ.

**მეორე მიმოხრას** ის ზმნები ეკუთნის, რომელიც აწმყო დროის პირველ პირში მ-ით იწყება: მიყვარს, მიხარია, მწამს, მესმის, მეხარბება.

მეორე მიმოხრის ზმნა ვახსხვავებულათ მიმოიხრის. ავიღოთ მაგალითად ზმნა მიყვარს:

**ა ვ მ ყ ო დ რ ო,**

რას ვშვრები?—მე მიყვარს (შენ გიყვარს, მას უყვარს; ჩვენ გვიყვარს, თქვენ გიყვართ, მათ უყვართ).

რას უნდა ვშვრებოდე?—მე უნდა მიყვარდეს (შენ გიყვარდეს, მას უყვარდეს; ჩვენ გვიყვარდეს, თქვენ გიყვარდესთ, მათ უყვარდესთ).

**ნ ა მ ყ ო დ რ ო.**

რას ვშვრებოდი?—მე მიყვარდა (შენ გიყვარდა, მას

უყვარდა; ჩვენ გვიყვარდა, თქვენ გიყვარდათ, მათ უყვარდათ).

**რა** მიქნია?— მე **მყვარებია** (შენ გყვარებია, მას ყვარებია; ჩვენ გვყვარებია, თქვენ გყვარებიათ, მათ ყვარებიათ).

**რა** უნდა მექნა?— მე უნდა **მყვარებოდა** (შენ გყვარებოდა, მას ყვარებოდა; ჩვენ გვყვარებოდა; თქვენ გყვარებოდათ, მათ ყვარებოდათ).

**რა** უნდა მექნას?— მე უნდა **მყვარებოდეს** (შენ გყვარებოდეს, მას ყვარებოდეს; ჩვენ გვყვარებოდეს, თქვენ გყვარებოდესთ, მათ ყვარებოდესთ).

**რას** ვიზამდი?— მე **მეყვარებოდა** (შენ გეყვარებოდა, მას ეყვარებოდა; ჩვენ გვეყვარებოდა, თქვენ გეყვარებოდათ, მათ ეყვარებოდათ).

**მ ყ მ უ ა დ ი ღ რ მ.**

**რას** ვიზამ? მე **მეყვარება** (შენ გეყვარება, მას ეყვარება; ჩვენ გვეყვარება, თქვენ გეყვარებათ, მათ ეყვარებათ).

**რას** ვიზამდე?— მე **მეყვარებოდეს** (შენ გეყვარებოდეს, მას ეყვარებოდეს; ჩვენ გვეყვარებოდეს, თქვენ გეყვარებოდესთ, მათ ეყვარებოდესთ).

**რა** უნდა ვქნა?— მე უნდა **მეყვაროს** (შენ გეყვაროს, მას ეყვაროს; ჩვენ გვეყვაროს, თქვენ გეყვაროსთ, მათ ეყვაროსთ; ან: შემეყვარდეს, შეგეყვარდეს, შეუყვარდეს და სხვ.).

**თ ა ვ ს ა რ თ ე ბ ი**

ზმნებს თავში სხვადასხვა ნაწილაკი დავრთვის:

სახლი ავაშენე, საქმე ბავაკეთეთ, წერილი ~~და~~

ვსწერე, წიგნი წავიკითხეთ, ბავშვები კლასში შევიდენ, კაცს ტვირთი მიიქვს, მამა-ჩემმა ფული მომცა.

ა, გა, და, წა, შე, მი, მო არის თავსართები.

ახალ ენაში უფრო ხშირათ მოკლე თავსართები იხმარება (ა, გა, წა, ჩა), ძველ ენაში კი სრული თავსართები იხმარებოდა: აღ, გან, წარ, შთა, — მაგალითად: აღვასრულე, განვათავისუფლე, წარვიდა, შთავიდა (ახლა ვიტყვი: ავასრულე, ვავათავისუფლე, წავიდა, ჩავიდა).

ზოგჯერ ახალ ენაშიც იხმარება სრული თავსართები: აღმითქვა, აღიჭურვა. განცვიფრდა, განხორციელდა, წარსდგა, წარმოადგინეს.

### მ ი მ ლ ე ო ბ ა.

ზმნისაგან კეთდება ერთგვარი ფორმა, რომელიც ზედსართავ სახელსა გავს:

მწირელი (დამწერელი, დამწერი), დაწერილი, დანაწერი, საწერი (დასაწერი); მკითხველი (წამკითხველი), საკითხავი (წასაკითხავი); მკეთებელი (გამკეთებელი), ვაკეთებულის, განაკეთები, საკეთებელი (გასაკეთებელი).

ამისთანა ფორმას მიმღეობა ჰქვია.

### არსებობისა და ზედსართავი სახელის ერთად ბრუნება.

თუ ზედსართავი სახელი ა-სა, ე-სა, ო-სა და უ-ზე ბოლოვდება, როცა არსებით სახელთან არის შეერთებული, ყოველგან უცვლელათ რჩება, ე. ი. არც ბრუნვებში იცვლება და არც რიცხვში:



ს. ბრმა კაცი  
 ნ. ბრმა კაცის  
 მც. ბრმა კაცს  
 მთ. ბრმა კაცმა  
 მქ. ბრმა კაცით  
 მ. ბრმა კაცათ (-ად)  
 წ. ბრმა კაცო!

ბრმა კაცები  
 ბრმა კაცების  
 ბრმა კაცებს  
 ბრმა კაცებმა  
 ბრმა კაცებით  
 ბრმა კაცებათ (-ად)  
 ბრმა კაცებო!

აბრუნეთ: მოკლე ჯოხი, ფართო მიდორი, ტლუ ბიჭი.

\*\*

როცა ზედსართავი სახელი ი-ზეა დაბოლოებული, მხოლოდ სამ ბრუნვაში რჩება უცვლელათ: სახელო-ბითსა, ნათესაობითსა და მოქმედებითში; დანარჩენ ბრუნვებში კი სცვლის დაბოლოებას. მხოლოდობითსა და მრავლობით რიცხვში ზედსართავი სახელი ერთნაირათ იბრუნვის:

ს. მალალი მთა  
 ნ. მალალი მთის  
 მც. მალალ მთას  
 მთ. მალალმა მთამ  
 მქ. მალალი მთით  
 მ. მალალ მთად  
 წ. მალალო მთაო!

მალალი მთები  
 მალალი მთების  
 მალალ მთებს  
 მალალმა მთებმა  
 მალალი მთებით  
 მალალ მთებათ (-ად)  
 მალალო მთებო!

მეორე დაბოლოებით ასე იბრუნვის:

ს. მალალი მთანი  
 ნ. მალალ მთათა

მც. მალალ მთათა  
 მთ. მალალ მთათა  
 წ. მალალო მთანო!

\*\*



მიმღეობა და რიცხვითი სახელი არსებით სახელთან ისე იბრუნვის, როგორც ზედსართავი სახელი.

აბრუნეთ: მკითხველი ბავში, წაკითხული ბარათი, საკითხავი წიგნი; ერთი კაცი, მეხუთე წელიწადი.

\* \*

ზედსართავი სახელი, მიმღეობა და რიცხვითი სახელი ცალკე ისე იბრუნვის, როგორც არსებითი სახელი:

ს. თეთრი	მკითხველი	ერთი	თეთრები
ს. თეთრის	მკითხველის	ერთის	თეთრების
მც. თეთრს	მკითხველს	ერთს	თეთრებს
მთ. თეთრმა	მკითხველმა	ერთმა	თეთრებმა
მქ. თეთრით	მკითხველით	ერთით	თეთრებით
მ. თეთრათ	მკითხველათ	ერთად	თეთრებათ
წ. თეთრო!	მკითხველო!	ერთო!	თეთრებო!

### წ ი ნ ა ლ ა ლ ე ბ ა .

რაიმე აზრს ჩვენ გამოვსიტქვამთ სიტყვის საშვალებით: მანო კარგათ სწავლობს.—ამ ყმაწვილს კარგი ყოფა-ქცევა აქვს.—ღედას შეილი უყვარს.

ცალკე გამოთქმულს თითოეულ აზრს გრანატიკაში წინადადება ჰქვია.

წინადადების შესადგენათ უმთავრესათ ორი ნაწილია საჭირო: ერთი—საგანი, რომელსაც ჩვენი საუბარი განსაკუთრებით შეეხება; ამისთანა ნაწილს ქვემდებარე ჰქვია; მეორე—მოქმედება, რომელიც ქვემდებარეს შეეხება; ამისთანა ნაწილს შემასმენელი ეწოდება.

### ბავში წიგნს კითხულობს.

ამ წინადადებაში ქვემდებარე არის ბავში, შესასმე-

ნელი — კითხულობს.

\*

ქვემდებარე ქართულ ენაში სამ ბრუნვაში დაისმის: სახელობითსა, მიცემითსა და მოთხრობითში:

მამა ოჯახს უვლის. — ღედას შვილი უყვარს. — ბავშმა წერილი დასწერა.

ქვემდებარესა და შემასმენელს წინადადების მთავარი ნაწილები ჰქვია.

წინადადებას სხვა ნაწილებიც აქვს, რომელსაც მეორე ხარისხის ნაწილები ეწოდება.

მეორე ხარისხის ნაწილები სამგვარია: დამატება, განსაზღვრება და გარემოება.

1. დამატება, არის სიტყვა, რომელიც ზმნას (შემასმენელს) დაერთვის, დაემატება აზრის შესავსებათ.

დამატების კითხვებია: რა? რას? რის? რით? რათ? ვინ? ვისი? ვის? ვისით?

მაგალითები: ბავშვებმა წიგნები წაიკითხეს. — ბუღალდ მეომარს სიკვდილის არ ეშინია. — ქართველები მამულსა და სარწმუნოებას იცავდნენ. — ხე წალდით გასხებეს. — შიკარი შეშათ ვინმართ. — მოსწავლეს უყვარს მასწავლებელი. — შვილს ღედ-მამის ერიდება. — პატივი ეც მამასა და ღედას!

\*

2. განსაზღვრება არის სიტყვა, რომელიც უმეტესათ ქვემდებარესა და დამატემას საზღვრავს, განმარტავს.

განსაზღვრების კითხვებია: როგორი? რომელი? მერამდენე? სადაური? როდინდელი? ვისი? რის?

მაგალითები: ავი შვილი ღედ-მამის მაგინებელია. —

შს ბავში კარგათ სწავლობს.— ასი (ჯოხი) დამკარ, ერთი (სიტყვა) მათქმევინეო.— ძოტე პირველი მოსწავლეა, ანდრო კი მეორე.— საქართველოში კახური ღვინოა ნაქები.— შარშანდელ წელიწადს ვერ დავეძღურებით.— მოსწავლის სიმდიდრე სწავლაა.— მყინვარის წვერზე მუდამ თოვლი ძევს.

3. ბარემოება არის სიტყვა, რომელიც გვიჩვენებს, რა გარემოებაში (რა მდგომარეობაში) არის რომელიმე საგანი.

ბარემოება ხუთგვარია: ადგილის, დროის, მიზეზის, მიზნის და ვითარების.

ადგილის გარემოების კითხვებია: სად? საით? საითკენ? საიდან? სადამდი?

მაგალითები: თევზი წყალში არ დაფასდებოა.— შეს ვაქარი თფილისს მიდის, იქიდან სპარსეთისკენ გაემგზავრება.— ბემი ინგლისიდან ბათომს მოდის.— ასე იარე მცხეთამდი, მცხეთაში გაგივაკდება.

\*

მაგალითები: ბუშინ დილიდან სალამომდი იწვიმა, ბინდისას გამოიღარა.— ძართველი ხალხი მეოთხე საუკუნეში გაქრისტიანდა. — საქართველოს უძველესი დროიდანვე მტრები ესეოდენ.

\*

მიზეზის გარემოების კითხვებია: რატომ? რათა? რის გამო? რა მიმეზით? რით?

მაგალითები: მდინარე ხშირი წვიმების გამო ძლიერ გადიდდა. სანდრო სწავლაში სიზარმაცით დაბრკოლდა, მიშო კი — ავთამყოფობით, — ძაყო, რათ (რატომ) არ იტყვი მართალს?

\*

მიზნის გარემოების კითხვებია: რისთვის? რა მიზნით?

მაგალითები: ჯარები საომრათ იკრიბებიან. — ბეჯითი მოსწავლე სწავლისთვის დადის შკოლაში, ზარმაცნი კი — სათამაშოთ.

\*

შითარების გარემოების კითხვებია: როგორ? რავგვრათ? რანაირათ? რა სახით?

მაგალითები: მისკარმა აღმოსავლეთი ვარდისა-ფერათ შეღება. — სა წითლათ-ყვითლათ ელაგდა. — ბავშვები ხმა-მალლა ლაპარაკობენ. — ჩვენ ქვეითად მივდივართ. — აღმართ-აღმართ მივდიოდნი მე ნელა.

### წოდებითი სიტყვა (მიმართვა).

წოდებით ბრუნვაში დასმულ სიტყვას წინადადებაში წოდებითი სიტყვა ჰქვია, ან მიმართვა.

მაგალითები: ბადი-გამოდი, გუთანო! ღირღიტავ, ბანი უთხარო! — მულო, შენ გეუბნები, — რძალო, შენ გაიგონეო! — ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზო? — ჩიტო, ჩიტო ჩიორა! — რაო, ბატონო მელაო?

### ბგერები (ხმები) და ანბანი.

სიტყვები სხვადასხვა ხმის ან ბგერის საშვალეებით გამოითქმის: დ-ე-დ-ა, მ-ა-მ-ა, ს-ა-ხ-ლ-ი, პ-უ-რ-ი.

ბგერათა გამომხატველ ნიშნებს ასოები ეწოდება. — ძართულ ანბანში ოცდაცამეტი ასოა. აი მათი რიგი და

**სახელწოდება:**

ა—ან	ზ—ზენ	ნ—ნარ	ტ—ტარ	ჟ—ჟარ	წ—წილ
ბ—ბან	თ—თან	ლ—ლან	უ—უნ	შ—შინ	ჭ—ჭარ
გ—გან	ი—ინ	პ—პარ	ფ—ფარ	ჩ—ჩინ	ხ—ხან
ღ—ღონ	კ—კან	ყ—ყან	ქ—ქან	ც—ცან	ჯ—ჯან
მ—ენ	ლ—ლას	რ—რე	ძ—ძან	ც—ცან	ჯ—ჯან
ვ—ვინ	შ—შან	ს—სან	ლ—ლან	ძ—ძილ	ჭ—ჭაე.

ბგერები ა, ე, ი, ლ, უ უმეშვეოთ, სხვა ბგერების დაუხმარებლათ, თავისუფალი ხმით გამოითქმის — და ამიტომ **ხმოვანი** ბგერები ეწოდებათ; დანარჩენი ბგერები კი თავისთავათ ყრუთ გამოითქმის. თავისუფალი ხმით მათი გამოთქმა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა თან ერთერთი ხმოვანი ახლავს, — მაგალითად: **ბა, ბე, ბი, ბო, ბუ; გა, გე, გი, გო, გუ,** — და სხვ. ამიტომაც ამ ბგერებს **თანხმოვანი** ბგერები ეწოდება.

**შენიშვნა 1.** ჩვენს ანბანში ძველათ (მე-19 საუკუნის მე-60 წლებამდე) კიდევ შემდეგი ასოები იხმარებოდა: **ც, ღ, ვ, კ, ჟ, უ.**

**ც** „ჭე“-თ იწოდებოდა და ორ ბგერას უდრიდა: **ჭ + ე**-ს, **ზოგჯერ მარტო ე**-ს, — მაგალითად: **ც უფალო! ჩეჭნ, თქეჭნ**

**ღ** „ჭიე“-თ იწოდებოდა და აგრეთვე ორ ბგერას უდრიდა: **ჭ + ი**; **ღ** ამ შემთხვევაში **ნახევარხმოვანათ** ითვლებოდა და იგი მხოლოდ სხვა ხმოვანთან ერთად შეადგენდა სრულ მარცვალს, მაგალითად: „**ვაღ სოფელო, რაშიგან ხარ?**“. აქ ვაღ ერთი მარცვალია.

**ვ** (ჭიე) „ვი“ თ გამოითქმოდა ან **ჭვი**-თ, — მაგალითად: **გეტევი, უკლნი, ამისათვის.**

**კ** (ხარ) დაახლოებით **ჭხ**-თ გამოითქმოდა; ეს ხმა

დღეს სვანურ კილოკავში მოისმის (ღრმათ ყელში გამოითქმის).

ჭ (ჭოე) ჰოი-თ გამოითქოდა, — მაგალითად: ჰ უფალო!

ჟ (ჟ ბრჯგუ) საშუალო იყო წმინდა უ-სა და ვ-ს შორის, — მაგალ. თჟალი, გჟამი, სიტჟუა, სიჟუარული.

**შენიშვნა ჰ.** ანბანი ძველათ ანგარიშისთვის იხმარებოდა (ქორონიკონი):

ა — 1	თ — 9	იზ — 17	ე — 60	ფ — 500	წ — 4000
ბ — 2	ი — 10	იპ — 18	ო — 70	ქ — 600	ჭ — 5000
გ — 3	ია — 11	ით — 19	პ — 80	ღ — 700	ხ — 6000
დ — 4	იბ — 12	კ — 20	ჟ — 90	ყ — 800	კ — 7000
ე — 5	იგ — 13	კა — 21 <sup>ღსხ.</sup>	რ — 100	შ — 900	ჯ — 8000
ვ — 6	იდ — 14	ლ — 30	ს — 200	ჩ — 1000	ჰ — 9000
ზ — 7	იე — 15	მ — 40	ტ — 300	ც — 2000	ჭ — 10000
ც — 8	ივ — 16	ნ — 50	უ — 400	ძ — 3000	ღ სხვ.

### თანხმოვან ბგერათა კლასიფიკაცია.

ბგერები ადამიანის სამეტყველო ორგანოებით გამოითქმის: ბაგის, კბილის, ენის, სასის და ხორხის (ყელის) საშუალებით.

ბაგით გამოითქმის ბ, ვ, მ, პ, ფ — და ამათ ბაგისმიერი ბგერები ეწოდებათ.

კბილისა და ენის-წვერის ადვილათ შესამჩნევი საშუალებით გამოითქმის დ, თ, ტ — და, მაშასადამე, ესენი კბილ-ენისმიერი ბგერები არიან. — კბილ-ენის ოღნავ შესამჩნევი საშუალებით გამოითქმის აგრეთვე ასე-წოდებული სისინა ბგერები: ზ, ს, ც, ძ, წ.



მის-წვერისა და სასის ადვილათ შესამჩნევი საშვა-  
ლებით გამოითქმის ბგერები: ლ, ნ, რ — და ოდნავ შე-  
სამჩნევათ აგრეთვე შიშინა ბგერები: უ, შ, ჩ, ქ, ჯ —  
და ამით ენა-სასისმიერი ბგერები უნდა ეწოდოს.

### ბგერების შეცვლა.

ზოგიერთი ბგერა გამოთქმაში შესაძლებელია სხვა  
ბგერათ შეიცვალოს (უმეტეს ნაწილათ მონათესავე ბგე-  
რათ), — მაგალითად:

1) ღ იქცევა თ-ნათ: ცდა, ცდენა — ცთომილი,  
ცთუნება; — და აგრეთვე ქ-ნათ: დაჯედ — დაჯექ;

2) ზ და კ — ქ-ნათ: ადგომა — ადექ, რედაქტორი,  
დირექტორი — რედაქცია, დირექცია; აგრეთვე ხ იქცევა  
ქ-ნათ: ქრისტე, ქრონოლოგია, არქიმანდრიტი, არქიელი  
(ეს სიტყვები ბერძნული ენიდან არის შემოსული, სადაც  
ხ-ნით იწერება);

3) ლ — ხ-ნათ: დაძლოა — გაუძეხვ! გაუძეხვით!  
ზაძლომა — გამოვძეხი, გამოვძეხით;

4) ს — ც-ნათ: სამი — ცამეტი (=სამმეტი); ს აგრეთ-  
ვე შ-ნათ: ფოსტა — ფოშტა, სიმშილი — შიმშილი;

5) შ — ჩ-ნათ: შვიდი — ჩვიდმეტი (=შვიდმეტი);

6) ლ — რ-თ: ლელი — ლერწამი;

7) ნ — ლ-სათ: ქორწინება — ქორწილი, გაცინება —  
სიცილი, დაძინება — ძილი;

8) ე — ი-ნათ: სმენა — ვისმინე, დაქმრა — დავიქირე,  
შეკრება — შევკრიბე;

9) ზ — ძ-თ: ბზე — საბძელი (საბზელის მაგიერ).

10) ო და უ იქცევა ვ-ნათ: მაწონი — მაწვნის,  
ქკუა — ქკვიანი.

## მ ა რ ც ვ ა ლ ი

ქოველ სიტყვაში არის ერთი ან რამდენიმე ხმოვანი, აგრეთვე ერთი ან რამდენიმე თანხმოვანი ბგერა: ხე, კაცი, ზუხარი, მონადირე.

მითოეულ სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენი ხმოვანიც შიგ ურევია; მაგალითად: სიტყვა ხე ერთ-მარცვლოვანია, კაცი—ორმარცვლოვანი, ზუხარი—სამ-მარცვლოვანი, მონადირე—ოთხმარცვლოვანი.

## ს ა ს ვ ე ნ ი ნ ი შ ნ ე ბ ი.

საუბრის ან კითხვის დროს აქა-იქ, სხვადასხვა აზრის გასარჩევად, საჭიროა ხმის აწევა ან დაშვება, შეჩერება, შესვენება; შესასვენებელ ადგილებზე დაისმის სხვადასხვა ნიშანი, რომელსაც სასვენი ნიშნები ჰქვია.

### სასვენი ნიშნები ათნაირია:

- |                        |                           |
|------------------------|---------------------------|
| 1) , (მძიმე)           | 6) : (ორწერტილი)          |
| 2) . (წერტილი)         | 7) ( ) (ფრჩხილები)        |
| 3) ; (წერტილ-მძიმე)    | 8) „ ან « » (ბრჭყალები)   |
| 4) ? (კითხვის ნიშანი)  | 9) — (ხაზი ან ტირე)       |
| 4) ! (გაკვირვებ. ნიშ.) | 10) -ან- (გადასატ. ნიშ.). |

1) როცა რამდენიმე სხვადასხვა საგანი ან მოქმედება ერთად ჩამოთვლილი, მათ შორის მძიმეები დაისმის:

მათამი, ბატი, ინდოური, იხვი და ფარშავანგი შინაური ფრინველნი არიან;—ბავშვები ხან სწერენ, ხან კითხულობენ, ხან თამაშობენ.

მძიმე აგრეთვე დაისმის, როცა აზრი იწყება კავშირებით: რომ, როდესაც, რადგანაც, მაგრამ,— აგრეთვე.

ნაცვალსახელით **რომელიც**;—მძიმე ამ შემთხვევაში ამ სიტყვების წინ დაისმის:

მს ყველამ ვიცით, რომ მგლები გაუმაძლარი არიან. —ბატი მაშინ გაიგებს ყველაფერს, როდესაც (როცა) სწავლაში გაიწრთენება. —მს ბავში ვერაფერს სწავლობს, რადგან მასწავლებელს ყურს არ უგდებს. —პვათა ვარ, მაგრამ მაინც ვშრომობ. —ჰველას ახსოვს თამარი, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში მეფობდა.—

2. **ბითხვის ნიშანი** მაშინ დაისმის, როცა წინადადებით რამე კითხვა გამოიხატება:

სად მიდიხარ?

ვინა სთქვა?

როდის მოხვედნი?

რა გქვია სახელათ?

3. **ორწერტილი** მაშინ დაისმის, როცა უნდათ ჩამოთვალონ **სხვადასხვა საგანი**; ამ შემთხვევაში **ორწერტილის** წინ დაისმის ან იგულისხმება სიტყვა **შემდეგი**:

მე ვნახე (შემდეგი) ქალაქები: **თფილისი**, **ჭუთაისი**, **შოთი**, **ოზურგეთი**.

### **სასვენი ნიშნები წოდებით სიტყვაში.**

**წოდებითი სიტყვა (მიმართვა)** წინადადების ან თავში დაისმის, ან **შუაში**, ან **ბოლოში**. **თუ** მიმართვა თავში ზის, მიმართვას შემდეგ მძიმე დაისმის: **ჩემო ანდრო**, უსწავლელი ადამიანი გონებადახშულია.

როცა მიმართვა შუა წინადადებაშია, წინაც მძიმე დაესმის და ბოლოშიც: უსწავლელი ადამიანი, **ჩემო ანდრო**, გონებადახშულია.

როცა წოდებითი სიტყვა წინადადების ბოლოში ზის, წინ მძიმე დაესმის და ბოლოში—გაკვირვების ნიშანი: უსწავლელი ადამიანი გონებადახშულია, **ჩემო ანდრო!**

## მეორე წლის კურსი.

### სიტყვების დამარცვლა.

(იხ. I წლის კურს. გვ. 27).

თუ სიტყვაში ხმოვანის წინ ერთი თანხმოვანია, ეს თანხმოვანი ამ ხმოვანს ეკუთნის. პვილოთ სიტყვა **ბალი**: თანხმოვანი **ლ** ხმოვანს **ი**-ს ეკუთნის და მასთან ცალკე მარცვალს **ლი**-ს შეადგენს (**ბა-ლი**).

თუ სიტყვაში ხმოვანის წინ ორი თანხმოვანია, ერთი წინა ხმოვანს ეკუთნის, და მეორე იმ ხმოვანს, რომლის წინაც ზის: **ბავ-ში**, **კოვ-ზი**, **ზარ-მე-ლი**.

თუ სიტყვაში ხმოვანის წინ სამი ან მეტი თანხმოვანია, უკანასკნელი თანხმოვანი იმ ხმოვანს ეკუთნის, რომლის წინაც ზის, დანარჩენი თანხმოვანი კი თანამომდევარ ხმოვანს ეკუთნის და მასთან ცალკე მარცვალს შეადგენს:

**მარც-ვა-ლი**, **ბარტ-ყი**, **სა-ვარც-ხა-ლი**.

თუ სიტყვა თავსართიანია ან რთულია, მაშინ თავსართები და რთული სახელის შემადგენელი ნაწილები ცალკე უნდა ვიანგარიშოთ:

**ბა-სწო-რე-ბა**, **აღ-დგო-მა**, **სა-ბძა-ნე-ბე-ლი**, **და-ძმა**, **შავ-თვალ-წარ-ბა**, **ხელ-მწი-ფე**.

დამარცვლეთ შემდეგი სიტყვები: **კადნიერი**, **ბედნიერი**, **გულწრფელი**, **საოცარი**, **სახელმწიფო**, **საკუთრება**, **განსაკუთრებული**, **განთქმული**, **თოვლიანი**, **წინააღმდეგობა**, **სიფრთხილე**, **სახლში**, **მერცხლის**, **ბუდესთან**, **ძუთაისში**.

## სიტყვის ნაწილები.

(იხ. I წლის კურსი, გვ. 10—13).

სიტყვის ნაწილები სულ არის ცხრა; მათ შორის ზუთი საცვალეებელია, ე. ი. იმისთანა სიტყვა, რომელიც თავის დაბოლოებას, თავის ფორმებს სცვლის, — სახელდობ: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი და ზმნა; — ოთხი უცვალეებელია, ე. ი. არ იცვლება: თანდებული, ზმნისართი, კავშირი და შორისდებული

საგანი არის სულიერი, უსულო და განუყენებითი (იხ. I კლ. კ. გვ. 1).

განუყენებითი იმისთანა საგანს ეწოდება, რომელსაც ვერც თვალით დავინახავთ და ვერც ხელით შევებებით, — შეგვიძლია მხოლოდ აზრით, გონებით წარმოვიდგინოთ: ღმერთი, ანგელოზი, სული, აზრი, ფიქრი, ჭკუა, ბედნიერება, სიკეთე, გრძნობა.

იმისთანა სახელს, რომელიც საგნის სიპატარავეს გვიჩვენებს, კნინობითი სახელი ჰქვია: ჩიტუნია, გოგონა, ვირიკა, კატუნია, მანო, სანდრო.

კნინობითი სახელი ორგვარია: მოფერებითი (მანო, სანდრო, მიხაკო, მიხო) და დამცირებითი (მანოია, სანდროია, ივანიკა, მიხელია).

ნათესაობით გრუნვაში „სი“ და მოქმედებით-  
ში „თი“.

მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობით გრუნვას ორ-  
ნაირი დაბოლოება აქვს: ის და სი.

სი-ზე შემდეგი სახელები დაბოლოვდება:

1. სახელობითში მ-სა და შ-ზე დაბოლოებული სახელები (რკო, ბუ — რკოსი, ბუსი), გარდა სიტყვებისა დრო და ღვინო (ნათეს. დროის, ღვინის, მოქმ. დროით, ღვინით);

2. ა-სა და ე-ზე დაბოლოებული ადამიანთა სახელები (მამია, ელენე — მამიასი, ელენესი);

3. ა-ზე დაბოლოებული გვარები (ბუგუნავა, ელიავა — ბუგუნავასი, ელიავასი);

4. ა-ზე დაბოლოებული იმისთანა რთული სახელები, როცა დაბოლოების ა-ნის ალავას მარტივ სიტყვაში იზის: შავთვალ-წარბა, ძირტკბილა (წარბ-ი, ტკბილ-ი) — შავთვალ-წარბასი, ძირტკბილასი;

5. ა-ზე დაბოლოებული კნინობითი სახელები: ჩიტუნია, გოგონა — ჩიტუნიასი, გოგონასი;

6. ნათესავთა რთული სახელები ა-ზე: ბაბუა, ბეზია, ბიძია, ძია (ბიძა კი — ბიძის), დეიდა, მამიდა, ბაბუდა, ბებიდა (ბაბუასი, ბებიასი და სხვ.);

7. შემდეგი სახელები: ძერა, ტოროლა, ჩიორა, სკვინჩა, ბელურა, კოდარა, თელა, წვერა, კერია, (კერა), წითელა, გაღია და სხვ.

ნათესაობითში სი-ზე დაბოლოებულ სახელებს მოქმედებითში დაბოლოება თი აქვს: ბიძიათი, ბიცოლათი, გოგონათი, კერიათი.

### ხმოვანთა გაგოკლება ბრუნვებში.

მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობითსა, მოქმედებითსა და ვნებით ბრუნვებში იკარგება ხმოვანები ა და



**მ**, როცა არსებითი სახელი ორმარცვლოვანზე მეტია და როცა აქვს ერთერთი ამ დაბოლოებათაგანი:

**ალი, ამი, ანი, არი, — ილი, ემი, ენი, ერი.**

**მაგალითად: მამალი — მამლის, მამლით, მამლათ;**

**გიდელი — გიდლის, გიდლით, გიდლათ.**

მრავლობით რიცხვში კი ამგვარსავე სახელებში ყველა ბრუნვაში იკარგება იგივე ხმოვანები **ა** და **ი**, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახელი პირველი დაბოლოებით იბრუნვის:

**ქედელი — კედლები, კედლების, კედლებს, კედლებმა, კედლებით, კედლებათ, კედლებო!**

### **უ ე ნ ი უ ვ ნ ე ბ ი.**

1. ზოგიერთი ორმარცვლოვანი სახელიც კარგავს ხმოვანებს იმავე ბრუნვებში: **თვალი** (როცა უსულო საგნის თვალს ნიშნავს, მაგალ. ბეჭდის **თვალი**, ურმის **თვალი**), **ძვალი**, **რძალი**, **კვალი** (მიწის ზომა), **ბალი**, **სხალი**, **წყალი**, **ხმალი**, **ხანი**, **ჯვარი**, **ცვარი**, **მტკვარი**, **ზვარი**, **ჩვარი**, **ძარი**, **ქმარი**, **მგელი**, **ღვდელი**, **შველი**, **წელი** (წელიწადი), **ძღვენი**, **წვენი**, **მტერი**, **მტვერი**.

2. სამმარცვლოვან სახელებს შორის არ კარგავს ხმოვანებს: **ზარალი**, **მოთალი**, **მტარვალი**, **მწვერვალი**, **ტრფიალი**, **სალამი**, **წამწამი**, **თარგმანი**, **თაყვანი**, **იასამანი**, **ზიანი**, **მერანი**, **ნეკტარი**, **თაველი**, **კანკელი**, **მრეწველი**, **მართველი**, **სახელი**, **ქართველი**; **აქლემი**; საზოგადოთ საკუთარი სახელები: **ბურიელი**, **მარელი**, **თამარი**, **ბაქარი**, **მყინვარი** და სხვ.; აგრეთვე კითხვაზე: **სადაური?** (ელი ზე დაბოლოებული სახელები): **ქართლელი**, **კახელი**, **სოფლელი**, **ქალაქელი** და სხვ., გარდა

სიტყვისა იმერელი (იმერლის, იმერლები); ნარი-ზე დაბოლოებული კრებითი სახელები: მუხნარი, ფიქვნარი, ბალნარი.

3. შემდეგი სახელები იმავე ბრუნვებში კარგავს ხმოვანებს: ობოლი, ფოთოლი, ღილომი, საპონი, გოდორი, კოტორი, ქოჯორი, ბეგარა, პეპელა, ფანჯარა, ქვეყანა, სომეხი, ყასაბი, კაკაბი, ნიჩაბი, ხვადაგი, ბეკედი, ნაბადი, კარავი, მოყვარე.

4. შემდეგი სახელები მ-ს ვ-ათ სცვლის: მიდორი, მაწონი, ღიაკონი, მონაზონი, ნიგოზი (მიდვრის, მიდვრით, მიდვრათ, მიდვრები, მონაზვნის, მონაზვნები, ნიგვზის, ნიგვზები).

5. ზოგიერთ სახელში იმავე ბრუნვებში მთელი მარცვალი იკარგება: ამბავი, ხუცესი (ამბის, ამბით, ამბათ ამბები, ხუცის, ხუცით, ხუცები).

6. სიტყვა დედოფალა ასე იბრუნვის: დედოფალასი, დედოფალათი, დედოფალათ, დედოფალები და სხვ. (დედოფალი კი—დედოფლის, დედოფლით, დედოფლები).

7. სიტყვა ღმერთი (როცა ერთ ღვთაებას აღნიშნავს), ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვაში გან, სხვაგვებულათ იბრუნვის: ღვთის, ღვთით.— როცა ღმერთი წარმართთა ღვთაებას აღნიშნავს, ჩვეულებრივი დაბოლოებით იბრუნვის: ღმერთის, ღმერთით, ღმერთები და სხვ.

სიტყვები წამწამი და ვეშაპი უმჯობესია სრული ფორმით ვაბრუნოთ: წამწამის, წამწამით, წამწამები, ვეშაპის, ვეშაპები და სხვ. (და არა წამწმის, ვეშპის ლ სხვ.).

აგრეთვე სრული ფორმით უმჯობესია: მშვენიერის,

მშვენიერათ, მაგიერათ, მშიერის, მშიერები, ნიორის, ნიორით (ნიორიანი), იორის ხეობა, რიონის ხეობა (და არა მშვენიერის, მშვენიერათ, მაგიერათ, მშიერის, ღონიერათ, გონიერათ, ნიერის, ნიერით, ნიერიანი, რიერის, იერის და სხვ.).

### წოდებითი ბრუნვა.

(იხ. I წლის კურს. გვ. 23).

წოდებითი ბრუნვა უმეტეს ნაწილათ ო-ზე ბოლოვდება:

ძმაო! მზეო! ხბოო! ბუო!

ზოგიერთ სახელს წოდებითი ისე აქვს, როგორც სახელობითი:

1. ნათესავთა და მოყვარეთა სახელებს ა-ზე: დედა, მამა, ძამია, დია (ძმა და და კი — ძმაო, დაო), ძია, ბიძია, ბებია, ბაბუა, მამიდა, დეიდა, ბებია, ბაბუა, ბიცოლა, გადია, ნათლია და სხვ.;

2. ო-ზე დაბოლოებულ სახელებს, ერთმარცვლოვანს გარდა, — მაგალითად: ჩემო სატრფო! ჩემო სამშობლო! გოგო! წერო! პალო! — ერთმარცვლოვანს კი ო ემატება: რკოო! ხბოო!

3. საკუთარ სახელებს საზოგადოთ ყველა ხმოვანზე, გარდა ი-სა: ბურია! წყალწითელა! ძვირიკე (სოფელია)! საგურამო! ღვაბზუ (სოფელია)! ანდრია! მლენე! სანდრო! ხუტუ! ბუგუნავა! ჭავჭავაძე!

4. მოხელეთა სახელებს ე-ზე: მეველე! მეწულე! მებაღე!

5. კნინობით სახელებს ა-ზე: ჩიტუნია! გოგონა! ტირია! წუნია! ვირიკა!

6. რთულ სახელებს ა-ზე (როცა ეს ა გადაკეთებულია ი-ნისაგან): შავთვალ-წარბა! ყელწითელა (წარბ-ი, წითელ-ი);

7. ზოგიერთ საზოგადო სახელს ა-ზე: მელია! კერია! ძერა! წვერა! ტოროლა! ჩიორა! სკვინჩა! ბელურა! თელა! და სხვ.

8. ი-ზე დაბოლოებული ადამიანთა სახელების შესახებ შემდეგი კანონი არსებობს: თუ დაბოლოების ი უცვალებელია, წოდებითი ისე აქვს, როგორც სახელობითი: ბიორგი! აკაკი! ღიმიტრი! ალექსი! ღომენტი! სევასტი! — და თუ ეს ი საცვალებელია, მაშინ წოდებითში იხმარება ი-ნის გამოკლებით: ღავით! ანტონ! ვახტანგ!\*)

9. წოდებით ბრუნვაში დაბოლოების ო-ნის მაგიერ მ-ნი მხოლოდ იმ შემთხვევაში იხმარება, როცა განყენებითი საგნის არსებით სახელს ვაბრუნებთ და როცა იგი სახელობით ბრუნვაში ა-სა და ე-ზე ბოლოვდება, მაგალ.: ჩემო ბედნიერებავ! ჩემო სიკეთევ!

### ზედსართავი სახელები.

(ინ. I წლის კურს. გვ. 10).

ზედსართავი სახელი ორნაირია: ვითარებითი და დამოკიდებითი.

ვითარებითი ზედსართავი სახელი გვიჩვენებს საგნის

\*) ცალკე ეს სახელები ი-ნით იხმარება: ღავითი მოდის, თამარი მობძანდა და სხვ.; სხვა სახელებთან კი ი-ს კარგავს: ღავით აღმაშენებელი, თამარ მეფე: — მაშასადამე, ი აქ ხაცვალებელია.

თვისებას, ღირსებას ან ხარისხს, — მაგალ. მაღალი, დაბალი, მოკლე, გძელი, თეთრი, შავი, ვიწრო, ფართო, ჭკვიანი.

დამოკიდებითი ზედსართავი სახელი გვიჩვენებს: ა. დროს, ბ. ადგილს, გ. მასალას და დ. დანიშნულებას:

ა. შარშანდელი, დღევანდელი, გუშინდელი, შარშანდლური, გუშინდლური; ბ. აქაური, ქალაქელი, სოფლელი, ქალაქური, სოფლური; ბ. ქვიანი, ტყიანი, ვენახიანი, ფულიანი. დ. საყმაწვილო, საბავშვო, საკლასო, სასოფლო, საქალაქო.

### ხ ა რ ი ს ხ ე ბ ი.

პითარებით ზედსართავ სახელს სამი ხარისხი აქვს: დაწყებითი, შედარებითი და აღმატებითი.

1. დაწყებითი ხარისხი: მაღალი, დაბალი, თეთრი, წითელი, ღრმა;

2. შედარებითი ხარისხი: უმაღლესი, უდაბლესი, უთეთრესი, უწითლესი, უღრმესი;

3. აღმატებითი ხარისხი: უუმაღლესი, უუდაბლესი, უუთეთრესი, და სხვ.

### შ ე ნ ი უ ვ ნ ე ბ ი.

1. შედარებითა ხარისხი ასე კეთდება: სიტყვის საფუძველს\*) ემატება თავში შ და ბოლოში ეს.

\*) საფუძველი სიტყვის იმ ნაწილს ჰქვია, რომელიც რჩება, როცა ნათესაობით ბრუნვაში დაბოლოებას მოვაშორებთ; მაგალითად: ნათესაობითი ბრუნვა მალლის, წითლის, თეთრის, ღრმის; ის რო მოვაშორეთ, დარჩება საფუძველები: მალლ, წითლ, თეთრ, ღრმ.



2. აღმატებითი ხარისხი შედარებითისგან კეთდება თავში მეორე უ-ნის მიმატებით.

3. შედარებითი ხარისხი კიდევ ასე კეთდება: დაწყებით ხარისხს პირდაპირ ზმნისართი უფრო მიემატება, მაგ. უფრო მაღალი, უფრო ღრმა და სხვ.

4. აღმატებით ხარისხსაც აქვს მეორე ფორმა, — დაწყებით ხარისხს ემატება ზმნისართები: ფრიად, ძლიერ, ძალიან, მეტათ, ერთობ, — მაგალითად: ფრიად მაღალი, ერთობ თეთრი.

### უკანონო ხარისხები.

ზოგიერთი ზედსართავი სახელი ხარისხებში მარცვლებს ელ-სა და ილ-ს კარგავს: გძელი, სქელი, პტყელი, თხელი, სხვილი, ტკბილი, თფილი. ამათგან შედარებითი და აღმატებითი ხარისხები იქნება: უგძესი, უსქესი, უსხვესი, უტკბესი, უთხესი, უუპტყესი, უუხხვესი, და სხვ.

—:—

### ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი.

ნაცვალსახელები შვიდნაირია:

1. პიროვნებითი: მე, შენ, ის; ჩვენ, თქვენ, ისინი;
2. კუთვნილებითი: ჩემი, შენი, მისი; ჩვენი, თქვენი, მათი;
3. ჩვენებითი: ეს, ეგ, ის, იგი, მაგი (მაგ); ესენი, ისინი, ეგენი, იგინი, მაგენი;
4. ძიოთხვითი: ვინ? რა? რომელი? ვისი?
5. ზანსაზღვრებითი: ყოველი, ყველა, თვით, თვითონ;
6. ზანუსაზღვრელობითი



(წარმოობს კითხვითისაგან,—როგორ წარმოობს?): ვინმე, რამე, რომელიმე, ვისიმე; ვილაც, რაღაც, რომელიღაც, ვისიღაც; 7 **ბანმარტებითი** (წარმოობს კითხვითისაგან,—როგორ წარმოობს?): ვინც, რაც; რომელიც, ვისიც.

### ნაცვალსახელთა ბრუნება.

ზოგიერთი ნაცვალსახელი სრულიად არ იბრუნვის,—მაგალითად: თვით, თვითონ, მე, შენ, ჩვენ, თქვენ.\*)

პიროვნებით ნაცვალსახელებში მარტო მესამე პირის ნაცვალსახელი იბრუნვის:

მხოლ. რიცხ.	მრავლ. რიცხ.
ს. ის, იგი	ისინი, იგინი
ნ. მის	მათ
მც. მას	მათ
მთ. მან	მათ
მქ. მით	—
მ. მათ (მად)	—
წ. —	—

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.

1. ნაცვალსახელებს წოდებითი ბრუნვა არ აქვს;

\*) ძართული გრამატიკის შემდგენელი ასე აბრუნებენ პირველსა და მეორე პირის პიროვნებით ნაცვალსახელებს: ნათესაობითი—**ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი**; მოქმედებითი—**ჩემით, შენით, ჩვენით, თქვენით**; ვებებითი—**ჩემათ, შენათ, ჩვენათ, თქვენათ**.—ჰელა აქ მოყვანილი ფორმა კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმებია, და არა პიროვნებითის.

მხოლოდ მეორე პირის პირივეებითი ნაცვალსახელი (შენ, თქვენ) და კუთვნილებითი ჩემი და ჩვენი იხმარებიან წოდებით ბრუნვაში:

შენ, აქ მოდი! თქვენ, წიგნი იკითხეთ! ჩემო მეგობარო! ჩვენო მოძმენო!

2. მრავლობით რიცხვში ნაცვალსახელები ნი-ზე ბოლოვდება—და, მაშასადამე, მოქმედებითი და ვნებითი ბრუნვა არ აქვთ (შეადარეთ I წლის კურს. გვ. 7).

3. კუთვნილებითი ნაცვალსახელები ისე იბრუნვის, როგორც ი-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელები (ნახეთ I წლის კურს. გვ. 19), მაგრამ მრცემიო ბრუნვაში ამ შემთხვევაში ნაცვალსახელების ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი-საგან უმჯობესია სრული დაბოლოება: ჩემს ძმას, შენს თავს, ჩვენს ქვეყანას, თქვენს დედ-მამას.

\* \*

მხოლ. რიცხ.

მრავლ. რიცხ.

ს. ეს, ეგ

ესენი, ეგენი

ნ. ამის

ამათ

მც. ამას

ამათ

მთ. ამან

ამათ

მქ. ამით

—

მ. ამათ (ამად)

—

მ. —

—

მხოლ. რიცხ.

მრავლ. რიცხვი

ს. ის, იგი

ისინი, ივინი

ნ. იმის

იმათ

მც. იმას

იმათ

მთ. იმან

იმათ

მქ.	იმათ	.	.	.	—
მ.	იმათ (იმაღ)	.	.	.	—
წ	—	.	.	.	—

მხოლოდ რიცხვ.

მრავლ. რიცხვი

ს.	მაგ. მაგი	.	.	.	მაგინი, მაგენი
ნ.	მაგის	.	.	.	მაგათ
მც.	მაგას	.	.	.	მაგათ
მთ.	მაგან	.	.	.	მაგათ
მქ.	მაგით	.	.	.	—
მ.	მაგათ (მაგაღ)	.	.	.	—
წ.	—	.	.	.	—

\* \*

ნაცვალსახელი ყველა (ყველანი) მხოლოდ ერთ რიცხვში იხმარება (მხოლოდობითი რიცხვის დაბოლოვებით და მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობით):

ს.	ყველა (ყველანი)	მთ.	ყველამ
ნ.	ყველას(ი)	მქ.	ყველათი
მც.	ყველას	მ.	—   *)
		წ.	—

ნაცვალსახელი ყოველი ისე იბრუნვის, როგორც ი-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელი (ნახ. I წლის კურს. გვ 19).

\*\*

განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებში მხოლოდ პირველი ნაწილი იბრუნვის: ვინ, რა, რომელი, ვისი,

\*) მნებითი ბრუნვა არ აქვს; წოდებითში აღს. შახბევი ხმარობს ფორმას ყველავ: „ჩემო ყველავ!“

და ბოლოში თითქმის ყველა ბრუნვაში უკვეთილათ ემატება მე და ლაც:

ს. ვინმე	რამე	ვილაც	რალაც
ნ. ვისიმე	რისამე	ვისილაც	რისლაც
მც. ვისმე	რასმე	ვილაცას	რალაცას
მთ. ვინმე	რამემ	ვილაცამ	რალაცამ
მქ. ვისითმე	რითმე	ვისითლაც	რითლაც
მ. რათმე (რალმე)	რათმე (რალმე)	ვილაცათ	რალაცათ (ალ)
წ.			

მრავლობით რიცხვში ან სულ არ ხმარობენ, ან იშვიათად იხმარება ფორმები: ვინმეები, რამეები, ვინმეების, რამეების, ვინმეებს და სხვ., ვილაცები, რალაცები, ვილაცების, რალაცების, ვილაცებს, რალაცებს, ვილაცებმა და სხვ.

\*\*\*

შანმარტებითი ნაცვალსახელები ისე იბრუნვის, როგორც კითხვითი ნაცვალსახელები (ვინ, რა, რომელი), მხოლოდ ბოლოში ც მიემატება:

ს. ვინც, ვინაც	რაც	რომელიც
ნ. ვისიც	რისაც	რომლისაც
მც. ვისაც	რასაც	რომელსაც
მთ. ვინც, ვინაც	რამაც	რომელმაც
მქ. ვისითაც	რითაც	რომლითაც
მ. რათაც (რალაც)	რათაც (რალაც)	რომლათაც (-დაც)
წ.		

მრავლობით რიცხვში მხოლოდ რომელიც იბრუნვის:

სახ	რომელნიც	ნათ.	} რომელთაც.
		მიც.	
		და მოთ.	

ამ ნაცვალსახელში მრავლობითი რიცხვის პირველი ფორმა (რომლები, რომლების, რომლებს, რომლებმა, რომლებიც, რომლებსაც, რომლებმაც და სხვ.) არ არის კეთილხმოვანი.

\*

ზოგიერთი ნაცვალსახელი,—მაგალ., **რამე, ვინმე, რალაც, ვილაც, ყველა**,—როცა არსებით სახელებს ახლავს, ბრუნვებში არ იცვლება: **რალაც** საქმე, **რალაც** საქმის, **რალაც** საქმეს, **რალაც** საქმეებს, **ყველა** საქმემ, **ვილაც** კაცი, **ვილაც** კაცმა, **რამე** აზრი, **რამე** აზრს, **რამე** აზრით და სხვ.

ნაცვალსახელებისაგან **ეს, ებ** და **ის, იგი** არსებით სახელებთან ყველა ბრუნვაში (სახელობითს გარდა) იხმარება ფორმები **ამ** და **იმ**:

**ეს** (ეგ) კაცი, **ამ** კაცის, **ამ** კაცს, **ამ** კაცმა; ეს კაცები, **ამ** კაცებს, **ამ** კაცებმა და სხვ.; **ის** (იგი) ქალი, **იმ** ქალის, **იმ** ქალს; **ის** ქალები, **იმ** ქალებს, **იმ** ქალებმა.

სიტყვები **ერთი** და **იგივე** არსებით სახელთან ასე იბრუნვის: **ერთი** და **იგივე** საქმე, **ერთისა** და **იმავე** საქმის, **ერთსა** და **იმავე** საქმეს, **ერთი** და **იგივე** საქმეები, **ერთსა** და **იმავე** საქმეებს და სხვ. (შუკანონოთ ხმარობენ: **ერთისა** და **იგივე** საქმის, **ერთსა** და **იგივე** საქმეს და სხვ.).

### თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი.

(იხ. I წლის კურსი გვ. 12).

თანდებულები სამ ბრუნვას თხოულობს: **ნათესაობითსა, მიცემითსა და მოქმედებითს**.

1. ნათესაობით ბრუნვას თხოულობს: თვის, კენ-  
დში, მიერ, მიმართ.

### მაგალითები:

სოფლისაკენ მავლივარ ჩემი ძმის საქმისათვის. —  
უფლისადმი მიმართული ლოცვა წრფელი უნდა იყოს.  
— მს წიგნი მეცნიერის მიერ დაიწერა, — ბიორგიმ გა-  
გზავნა წერილი ქართული ჟურნალის რედაქციის მიმართ.  
ძველ ენაში იხმარებოდა თანდებული თვინიერ:  
„სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვდარ არს“.

\* \*

2. მიცემით ბრუნვას თხოულობს: ზედა, შინა,  
შუა, თან.

### მაგალითები:

„მთასა ზედა მთაბორისასა ფერი იცვალე შენ,  
უფალო! — „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა! —  
იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყა-  
ნასა ზედა!“ — ჰავკასია ორ ზღვას შუა მდებარეობს. —  
ირემი კლდესთან წაიქცა.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.

ა. შინა და ზედა ძველ ენაში იხმარებოდა, ახლან-  
დელ ენაში კი შემოკლებით იხმარება **ზე** და **ში** — და ამ  
ფორმებთან სახელებს მიცემითი ბრუნვის დაბოლოება  
აღარ ახლავს: მთაზე, ხეზე, წყალში, ორმოში.

**ში** და **ზე** რო მიცემით ბრუნვას თხოულობს, ეს  
ჩანს ძველი ენის ფორმებიდან: მთასა ზედა, წყალსა  
შინა, და კიდევ მაშინ, როცა ეს თანდევკულები რამდენიმე



სახელთან ზის ერთსა და იმავე დროს; მთასა და ველზე  
ჯერ კიდევ ბევრა თოვლი ძევს; **ინგლისსა, აშერიკასა,  
ბერმანიასა და საფრანგეთში** ხალხი ძლიერ განათლე-  
ბულია.

ბ. ბრუნვის დაბოლოება არ იხმარება აგრეთვე ი-ზე  
დაბოლოებულ სახელებში, როცა მათთან თანდებული  
თან დაისმის:

კედელი — კედელთან, ბალახი — ბალახთან.

დაბოლოება ამ შემთხვევაში მაშინ მოჩანს, როცა  
სახელი ა, ე, ი, უ-ზეა დაბოლოებული:

მამა — მამასთან, ხე — ხესთან, რკი — რკოსთან,  
ბუ — ბუსთან.

ბ. მიცემით ბრუნვას თხოულობს აგრეთვე **ზმნი-  
სართი-თანდებულები**: აქით, იქით, გაღმა, გამოღმა,  
ზევით, ქვეშ, უკან და სხვ., — მაგალითად: მთას იქით,  
ცას ქვეშ, ჭერს ქვეშ, წყალს გაღმა, გზას ზევით.

3. მოქმედებით ბრუნვას ძველ ენაში თხოულობდა  
თანდებული ურთ: წავიდა ცოლითურთ, დაბრუნდა  
შვილითურთ.

ახალ ენაში ეს თანდებული იშვიათად იხმარება;  
მის მაგიერ ახლა ან მარტო მოქმედებითი ბრუნვა იხმა-  
რება, ან დაბოლოება **იანათ**, — მაგალითად:

მეფე ოცი კაცით გაიქცა ბრძოლის ველიდან; ქარმა  
ზე ძირიანათ \*) მოსთხარა.

4. თანდებული ვით ორ ბრუნვას თხოულობს,  
სახელობითსა და მიცემითს.

როცა სახელი ა, ე, ი და უ-ზეა დაბოლოებული,

\*) ვნებითი ბრუნვაა ზედსართავი სახელის ძირიანი-საგან.

თანდადებული ვით ამისთანა სახელს ყოველთვის მიცემით ბრუნვაში თხოულობს: **ძმასავით, კლდესავით, ხბოსავით, ბუსავით**

თუ თანდებული ვით ი-ზე დაბლოცებულ სახელთან არის ნახმარი, მაშინ ხან სახელობითს თხოულობს და ხან მიცემითს; მაგალითად: ეს ბავში **ყურდგელივით** ზის, ბავშს **ყურდგელსავით** ძინავს. —

ამ შემთხვევაში ვით იმ ბრუნვას თხოულობს, რომელშიც ქვემდებარეა დასმული, ე. ი. აქ ბრუნვა შემასმენელზეა დამოკიდებული \*).

თანდებულები გარდა და შემდეგ, თუ წინ ზის, ნათესაობით ბრუნვას თხოულობს, და თუ უკან ზის, — მიცემითს: გარდა ამისა, შემდეგ ამისა, გარდა ამ საქმისა, შემდეგ ამ საქმის გათავებისა, — ან: ამას გარდა, ამას შემდეგ, ამ საქმეს გარდა, ამ საქმის გათავებას შემდეგ.

\* \*

თანდებული გან კითხვაზე ვისგან ან რისგან ნათესაობით ბრუნვას თხოულობს, კითხვაზე საიდან კი — მოქმედებით ბრუნვას: მე ძმისაგან მივიღე წერილი (ვისგან მივიღე?); ეს სახლი სილამაზით ძალიან გაირჩევა სხვა სახლებისაგან (რისგან გაირჩევა?). — მე თფილისითგან (ახლა უნდა ფორმა თფილისიდან) მოვდივარ (კითხვა: საიდან მოვდივარ?); მამა-შენი სოფლითგან (==სოფლიდან) დაბრუნდა (კითხვა: საიდან დაბრუნდა?).

\*) ბრუნვას ამ შემთხვევაში ადვილათ გამოიცნობთ, თუ ვით ის მაგიერ მის თანაბარ სიტყვას როგორც-ს იხმართ: „ბავში **ყურდგელივით** ზის“ (==ზის, როგორც **ყურდგელი**, —სახელობითი ბრუნვაა); „ბავშს **ყურდგელსავით** ძინავს“ (==ძინავს, როგორც **ყურდგელს**, — მიცემითი ბრუნვაა).

## ზ ე ნ ი უ ვ ნ ა .

ზოგიერთი თანდებული სახელებს ბოლოში სულ უერთდება (თვის, კენ, გან, დმი, ში, ზე), ზოგი კი ცალკე დაისმის: მიმართ, მიერ, გარდა, შემდეგ, შუა, შორის, წინ, ქვეშ, გაღმა და სხვ.

მაგალითები: საქმისათვის, სახლისკენ, ძმისგან, ღვთისადმი, წყალში, მთაზე; უფლისა მიმართ, ღვთისა მიერ, ამას გარდა, ამას შემდეგ, მთებს შუა, ქალაქებს შორის, სახლის წინ, ცას ქვეშ წყალს გაღმა.

## ზ მ ნ ი ს ა რ თ ე ბ ი

(იხ. I წლის კურსი გვ. 12).

ზმნისართები ხუთგვარია:

1. ღროის მაჩვენებელი: დღეს, ხვალ, შარშან, წრეულს, დილას, საღამოს და სხვ.;

2. ადგილის მაჩვენებელი: აქ, იქ, გაღმა, გამოღმა, ზევით, ქვევით, მაღლა, ძირს, შიგნით, გარეთ და სხვ.;

3. ვითარების მაჩვენებელი: ჩქარა, ნელა, ხმა-მაღლა; — უფრო ხშირათ — მოქმედებუთისა და ვნებითი ბრუნვების ფორმები: სიცილით, ტირბლით, წყრომით, — ქვეითად ცქვიტათ, უზმათ, წყნარათ, ჩუმათ, მტრულათ, ფარულათ და სხვ.;

4. მიზეზის მაჩვენებელი: რატომ? რათა? იმიტომ, ამიტომ;

5. მიზნის მაჩვენებელი: რისთვის? ამისთვის, იმისთვის.

## რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

(იხ. I წლის კურსი გვ. 11).

იმისთანა რიცხვით სახელს, რომელიც საგნების რაოდენობას გვიჩვენებს, რაოდენობითი რიცხვითი სახელი ეწოდება, — მაგალითად: ერთი, ორი, სამი, ასი, ხუთასი, ათასი.

იმისთანა რიცხვით სახელს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა რიგზეა დაწყობილი საგნები, რიგითი რიცხვითი სახელი ჰქვია, — მაგალითად: პირველი, მეორე, მესამე, მეასე, მეათასე.

## შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. რთული რიცხვითი სახელები ერთად იწერება: ოცდაერთი, ოცდაათხმეტი, ას ორმოცდაათი, ათას ორმოცდათვრამეტ წელს (ათასეული, ასეული და ათეულები ერთმანეთისაგან ცალცალკე იწერება).

2. მარტივ რიცხვებს რიგითი ფორმის მაწარმოებელი მე თავში მიემატება, ხოლო რთულს რიცხვით სახელებს — შუაში: მმხუთე, მმათე, მმასე, — ოცდამმათე, ოთხმოცდამმათე, სამოცდამთვრამეტე.

3. ბევრნაწევროვან რიცხვში რიგითი ფორმის საწარმოებლათ მმ მხოლოდ უკანასკნელ რიცხვს მიემატება, — მაგალითად: ათას ორმოცდაათი წელი.

## ს რ უ ლ ი დ ა ბ ო ლ ო ე ბ ა ბ რ უ ნ ვ ე ბ შ ი

ბრუნვებში უმეტეს ნაწილათ მოკლე დაბოლოება იხმარება.

სრული დაბოლოება კი იხმარება:

1. როცა სიტყვებს შორის კავშირი და ზის: დიდსა და პატარას, მთასა და ბარში;

2. როცა რამდენიმე ზედსართავი სახელი ერთ ბრუნვაშია, უკანასკნელი შემოკლებით. იბრუნვის, და სხვა ყველა კი სრული დაბოლოებით, — მაგალითად:

ამ გონიერის ნიჭიერის მდიდარი კაცის;

ამ გონიერს ნიჭიერს მდიდარ კაცს.

ზ მ ნ ა.

(იხ. I წლ. კურს. გვ. 12—18).

გ ვ ა რ ი.

ზმნა სამგვარია: მოქმედებითი გვარის, საშვალო გვარისა და ვნებითი გვარის.

ბავში წიგნს კითხულობს; — ამ მაგალითში ბავში არის საუბრის მთავარი საგანი, წიგნს არის საგანი, რომელზედაც ბავშვის მოქმედება პირდაპირ გადადის; — კითხულობს არის მოქმედებითი გვარის ზმნა.

მოქმედებითი გვარის ზმნა გვიჩვენებს, რომ საუბრის მთავარი საგანი თვით მოქმედობს და ეს მოქმედება სხვა საგანზე პირდაპირ გადადის.

\*

წიგნი იკითხვის ბავშვისაგან; — ამ მაგალითში იკითხვის არის ვნებითი გვარის ზმნა.

ვნებითი გვარის ზმნა გვიჩვენებს, რომ საუბრის მთავარი საგანი (წიგნი) თვით კი არ მოქმედობს, არამედ გარეშე საგანი (ბავში) მოქმედობს მასზე.

\*



**ბავში დადის; ამ მაგალითში დადის არის საშვალო გვარის ზმნა.**

**საშვალო გვარის ზმნა გვიჩვენებს, რომ საუბრის მთავარი საგანი (ბავში) თვითონ მოქმედობს და ეს მოქმედება იმავე საგანში რჩება, სხვაზე არ გადადის.**

### **შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.**

1. მოქმედებითი გვარის ზმნა სამნაირია:

ა. წმინდა მოქმედებითი (ვსწერ, ვაშენებ),

ბ. სხმით გადასვლითი (ვაწერინებ, ვაშენებინებ),

ბ. კვლავსხმით გადასვლითი (ვაწერინებინებ, ვაშენებინებინებ).

მოქმედებითი გვარის ზმნას ეკუთვნის აგრეთვე მიჩემებითი ზმნაც; მიჩემებითი ზმნა გვიჩვენებს, რომ მოქმედება რომელიმე პირის სასარგებლოთ არის დანიშნული: მე გიწერ, გიშენებ, ის მიწერს, მიშენებს, შენ მიწერ, მიშენებ, მე მას ვუწერ, შენ მას უწერ, შენ მათ უწერ. ჩვენ გვიწერთ, გვიშენებთ და სხვ.

2. მნებითი გვარის ზმნა მოქმედებითისაგან კეთდება ამ სახით: თავში ი ჩაერთვის და ბოლოში ებ ან ვ: ვიწერები, ვიშენები, ვიკითხვი, ვინახავი, ვიწერინები, ვიშენებინები.

მნებითი ფორმის ზმნებს ზოგჯერ მოქმედებითი გვარის მნიშვნელობა აქვს: ჩემი ძმა კარგ ამბებს იწერება (=გვწერს, სწერს), ეს კაცი საშინლათ იკბინება (=გვკბენს, კბენს).

\*

### **ს ა ხ ე.**

**ზმნას ორი სახე აქვს: უსრული და სრული.**



უსრული სახე ნიშნავს, რომ მოქმედება არ შესრულებულა, — მაგალ., მე ვსწერდი, შენ იკითხე, მას უშენებია.

სრული სახე ნიშნავს, რომ მოქმედება შესრულებულია: მე დავსწერე, შენ წაიკითხე, მას აუშენებია.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.

1. უსრული სახის ზმნები უმეტეს ნაწილათ უთავსართოა (ვსწერ, ვკითხულობ, ვაშენებ), სრული სახის კი — თავსართიანი (დავსწერე, წავიკითხე, ავაშენე).

2. ზოგჯერ უთავსართო ზმნას სრული სახის მნიშვნელობა აქვს: მე ვისადილე, მე ვინადირე, ჩვენ ვიშოვნეთ, ჩვენ ვაჩუქეთ. და სხვ.; — აგრეთვე თავსართიან ზმნას ხშირათ უსრული სახის მნიშვნელობა ეძლევა: მიმაქვს, მიმყავს, დავსვირნობ, გავკივი, შევყურებ, და სხვ.

3. სრული სახის თავსართიან ზმნებს აწმყო დრო არ აქვს.

### კ ი ლ ი.

ზმნას მიმოხრაში სხვადასხვა ფორმით სხვადასხვა ხასიათი ეძლევა ან სხვადასხვა კილო: ზოგ ფორმას ბძანების კილო აქვს, — მაგალითად: სწერე! ნუ სწერ! არ სწერო! — ზოგ ფორმას მოთხრობის ხასიათი აქვს და ნამდვილათ მომხდარ გარემოებას გვიჩვენებს, — მაგალითად: მე წავიკითხე წიგნი და მერე ამხანავს გადავეცი; — ზოგი ფორმა ნატვრას აღნიშნავს, — მაგალითად: ნეტა კარგათ დამეწერა თხზულება! ნეტავი შენ კარგათ სწავ-

**ლობდე!**—ზოგი პირობას აღნიშნავს, —მაგალითად: ფული რო მქონოდა, სიამოვნებით მოგცემდი.

\*

**მოთხრობით კილოში** ხუთი დროა:

**აწყო** (რას ვშვრები?): ვსწერ, ვკითხულობ\*); **სამი ნამყო**: ა) **ნამყო I** (რას ვშვრებოდი?): ვსწერდი, ვკითხულობდი; ბ) **ნამყო II** (რა ვქენი?): ვსწერე, ვკითხე; გ) **ნამყო III** (რა მიქნა?): მიწერია, მიკითხავს; **მყოფალი** (რას ვიზამ?): ვსწერ, ვკითხავ.

\*

**ნათხრობით კილოშიც** ხუთი დროა:

**აწყო** (რას უნდა ვშვრებოდე?): ვსწერდე, ვკითხულობდე;

**ორი ნამყო**: ა) **ნამყო I** (რა უნდა მექნა?): მეწერა, მეკითხა; ბ) **ნამყო II** (რა უნდა მექნას?): მეწეროს, მეკითხოს;

**ორი მყოფალი**: ა) **მყოფალი I** (რას ვიზამდე?): ვსწერდე, ვკითხულობდე; **მყოფალი II** (რა უნდა ვქნა?): ვსწერო, ვკითხო.

\*

**პირობით კილოს** მარტო ერთი დრო აქვს, **ნამყო დრო** (რას ვიზამდი?): ვსწერდი, ვკითხავდი (დავსწერდი, წავიკითხავდი).

\*

**ბძანებითი კილო** ორგვარია: **დამტკიცებითი** და **უარყოფითი**.

\*) შველა პირში და ორივე რიცხვში მიმოხარეთ.

ღამტკიცებითი: სწერე! სწეროს! ვსწეროთ! სწერეთ! სწერონ!

შარყოფითი I: ნუ სწერ! ნუ სწერს! ნუ ვსწერთ! ნუ სწერთ! ნუ სწერენ!

შარყოფითი II: არ სწერო! არ სწეროს! არ ვსწეროთ! არ სწეროთ! არ სწერონ!

\*

ზმნის დასაწყის ფორმას **სახელზმნა** ეწოდება: წერა, კითხვა, უნება.

„სახელზმნას“ იმიტომ უწოდებენ, რომ ამ ფორმას არსებითი სახელის მნიშვნელობაც აქვს და ზმნისაც, **სახელიც** არის და **ზმნაც**. როგორც სახელი, ეს ფორმა იბრუნვის, — მაგალითად:

სახ. წერა	მიც. წერას	მოკმ. წერთ
ნათ. წერის	მოთ. წერამ	მნცბ. წერთ

როგორც ზმნა, ის მიმოიხრის, — მაგალითად: მე ვსწერ, შენ სწერ, ისა სწერს, მე ვსწერდი, შენ სწერდი და სხვ.

\*\*

### მოკმედებითი გვარის ზმნების მიმოხრა.

(სახე უსრული)

მოთხრობითი კილო

აწმყო დრო (რას ვშვებები?):

მიმოხრა I.

მიმოხრა II.

მე ვსწერ	ჩვენ ვსწერთ	მე მიყვარს	ჩვენ გვიყვარს
შენ სწერ	თქვენ სწერთ	შენ გიყვარს	თქვენ გიყვართ
ისა სწერს	ისინი სწერენ	მას უყვარს	მათ უყვართ.

ნამყო პირველი (რას ვშვრებოდი?):

მე ვსწერდი, შენ სწერ-  
დი, ისა სწერდა, ჩვენ  
ვსწერდით, თქვენ სწერ-  
დით, ისინი სწერდენ.

მე მიყვარდა, შენ გი-  
ყვარდა, მას უყვარდა, ჩვენ  
გვიყვარდა, თქვენ გიყვარ-  
დათ, მათ უყვარდათ.

ნამყო მეორე (რა ვქენი?):

მე ვსწერე, შენ  
სწერე, მან სწერა,  
ჩვენ ვსწერეთ, თქვენ  
სწერეთ, მათ სწერეს.

მეორე მიმოხრის ზმნებს ნამყო  
II-ში უსრული სახის ფორმები  
არ აქვს; სრული სახის კი ასე  
მიმოხრის: მე შემიყვარდა, შენ  
შეგიყვარდა, მას შეუყვარდა,  
ჩვენ შეგვიყვარდა, თქვენ შეგი-  
ყვარდათ, მათ შეუყვარდათ.

ნამყო მესამე (რა მიქნია?):

მე მიწერია, შენ გიწე-  
რია, მას უწერია, ჩვენ  
გვიწერია, თქვენ გიწერიათ,  
მათ უწერიათ.

მე მყვარებია, შენ გყვა-  
რებია, მას ყვარებია, ჩვენ  
გვყვარებო, თქვენ გყვა-  
რებიათ, მათ ყვარებიათ.

მყოფალი (რას ვიზამ?):

მე ვსწერ, შენ სწერ,  
ისა სწერს, ჩვენ ვსწერთ,  
თქვენ სწერთ, ისინი სწე-  
რენ.

მე მეყვარება, შენ გე-  
ყვარება, მას ეყვარება, ჩვენ  
გვეყვარება, თქვენ გეყვა-  
რებათ, მათ ეყვარებათ.

**ნატვრითი კილო.**

აწმყო ღრო (რას უნდა ვწვრებოდე?):

მიმოხრა I.

მიმოხრა II.

მე ვსწერდე, შენ სწერდე, ისა სწერდეს, ჩვენ ვსწერდეთ, თქვენ სწერდეთ, ისინი სწერდენ.

მე მიყვარდეს, შენ გიყვარდეს, მას უყვარდეს, ჩვენ გვიყვარდეს, თქვენ გიყვარდესთ, მათ უყვარდესთ.

ნამყო პირველი (რა უნდა მექნა?):

მე მეწერა, შენ გეწერა, მას ეწერა, ჩვენ გვეწერა, თქვენ გეწერათ, მათ ეწერათ.

მე მყვარებოდა, შენ გყვარებოდა, მას ყვარებოდა, ჩვენ გვეყვარებოდა, თქვენ გყვარებოდით, მათ ყვარებოდით.

ნამყო მეორე (რა უნდა მექნას?):

მე მეწეროს, შენ გეწეროს, მას ეწეროს, ჩვენ გვეწეროს, თქვენ გეწეროსთ, მათ ეწეროსთ.

მე მყვარებოდეს, შენ გყვარებოდეს, მას ყვარებოდეს, ჩვენ გვეყვარებოდეს, თქვენ გყვარებოდესთ, მათ ყვარებოდესთ.

მყოფადი პირველი (რას ვიზამდე?):

მე ვსწერდე, შენ სწერდე, ისა ხსწერდეს, ჩვენ ვსწერდეთ, თქვენ სწერდეთ, ისინი სწერდენ.

მე მეყვარებოდეს, შენ გეყვარებოდეს, მას ეყვარებოდეს, ჩვენ გვეყვარებოდეს, თქვენ გეყვარებოდესთ, მათ ეყვარებოდესთ.



მყოფადი მეორე (რა უნდა ექნა?):

მე ვსწერო, შენ სწე-  
რო, მან სწეროს, ჩვენ  
ვსწეროთ, თქვენ სწე-  
როთ, მათ სწერონ.

მე მეყვაროს, შენ გე-  
ყვაროს, მას ეყვაროს, ჩვენ  
გვეყვაროს, თქვენ გეყვა-  
როსთ, მათ ეყვაროსთ.

პირობითი კილო.

ნამყო (რას ვიზამდი?)

მე ვსწერდი, შენ სწერ-  
დი, ის სწერდა, ჩვენ ვსწერ-  
დით, თქვენ სწერდით,  
ისინი სწერდენ.

მე მეყვარებოდა, შენ  
გეყვარებოდა, მას ეყვარე-  
ბოდა, ჩვენ გვეყვარებოდა,  
თქვენ გეყვარებოდათ, მათ  
ეყვარებოდათ.

ბძანებითი კილო.

I. ღამტკიცებითი.

მიმოხრა I.

(ვსწერო!)  
სწერე!  
სწეროს!

ვსწეროთ!  
სწერეთ!  
სწერონ!

(მიყვარდეს)  
გიყვარდეს!  
უყვარდეს!

გვიყვარდეს!  
გიყვარდესთ!  
უყვარდესთ!

მიმოხრა II.

2. უარყოფითი პირველი.

(ნუ ვსწერ!)  
ნუ სწერ!  
ნუ სწერს!

ნუ ვსწერთ!  
ნუ სწერთ!  
ნუ სწერენ!

(ნუ მიყვარს!)  
ნუ გიყვარს!  
ნუ უყვარს!

ნუ გვიყვარს!  
ნუ გიყვართ!  
ნუ უყვართ!

3. უარყოფითი მეორე.

(არ ვსწერო!)  
არ სწერო!  
არ სწეროს!

არ ვსწეროთ!  
არ სწეროთ!  
არ სწერონ!

(არ მეყვაროს!)  
არ გეყვაროს!  
არ ეყვაროს!

არ გვეყვაროს!  
არ გეყვაროსთ!  
არ ეყვაროსთ!



სრული სახის ზმნა ისე მიმოიხრის, როგორც უსრული სახის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აწმყო დრო არ ექნება და არც ის დროები, რომელიც აწმყო-საგან წარმოობს \*). შველა დროში დაბოლოება იგივე აქვს, რაც უსრული სახის ზმნას, მხოლოდ თავსართით გაირჩევა: თავში დაერთვის რომელიმე თავსართი (ა, გა, წა, ჩა, მი, მო, შე); -- მაგალითად:

მოთხრობით კილოში.

ნამყო II: მე დავსწერე, შენ დასწერე, მან დასწერა; ჩვენ დავსწერეთ, თქვენ დასწერეთ, მათ დასწერეს.

ნამყო III: მე დამიწერია, შენ დაგიწერია, მას დაუწერია; ჩვენ დაგვიწერია, თქვენ დაგიწერიათ, მათ დაუწერიათ.

მყოფადი: მე დავსწერ, შენ დასწერ, ის დასწერს; ჩვენ დავსწერთ, თქვენ დასწერთ, ისინი დასწერენ.

ნატვრით კილოში.

ნამყო I: მე დამეწერა, შენ დაგეწერა, მას დაეწერა და სხვ.

ნამყო II: მე დამეწეროს, შენ დაგეწეროს, მას დაეწეროს და სხვ.

მყოფადი I: მე დავსწერდე, შენ დასწერდე; ის დასწერდეს და სხვ.

მყოფადი II: მე დავსწერო, შენ დასწერო, მან დასწეროს; ჩვენ დავსწეროთ, თქვენ დასწეროთ, მათ დასწერონ.

---

\*) ნახეთ „დროთა წარმოებაში“, თუ რა დროები წარმოობს აწმყოსაგან.

### ბძანებით კილოში.

დასწერე! ნუ დასწერ! არ დასწერო! დავსწეროთ!  
ნუ დასწერო! არ დასწერონ! და სხვ.

### სრული სახე მიმოხრე მიმოხრის ზმნებში.

#### მიმოხრობითი კილო.

ნამყო მეორეში მეორე მიმოხრის სრული სახის ზმნები ასე მიმოხრის: აწყო დროის ფორმას უნდა მოვაკლოთ დაბოლოებანი ა, ია, ება, ის, ს, — შემდეგ თავში დაემატება რამე თავსართი და დაბოლოებათ — ზოგს ა და ზოგს და:

მცივბ — შემცივდა, მტკივბ — ამტკივდა, მიუვარს —  
შევიყვარდა, მიხარია — გამიხარდა, მშობა — მომშივდა,  
მწყურია — მომწყურდა; მესმის — მომესმა, მეხარბეზა —  
შემეხარბა, მეცოდება — შემეცოდა, მეცინება — გამე-  
ცინა და სხვ.

#### ნამყო მესამე.

(უსრულ სახეს პირდაპირ თავსართი ემატება).

მე შემყვარებია, შენ შეგყვარებია, მას შეყვა-  
რებია, და სხვ.

#### მყოფადი.

(ნამყო II-ისგან კეთდება: ბოლოში ა-ნის მაგიერ ება ემატება).

მე შემყვარდება, გამიხარდება, მომწყურდება,  
შემეხარბება, შემეცოდება და სხვ.

### ნატვრით კილოში.

ნამყო I: მე შემეყვარებოდა, შენ შეგყვარებოდა,  
მას შეეყვარებოდა, ჩვენ შეგვეყვარებოდა, და სხვ.

ნამყო II: მე შემეყვარებოდეს; შენ შეგყვარებო-  
დეს, მას შეეყვარებოდეს; ჩვენ შეგვეყვარებოდეს, თქვენ  
შეგყვარებოდესთ, მათ შეეყვარებოდესთ.

მყოფადი I: მე შემეყვარდებოდეს, შენ შეგი-  
ყვარდებოდეს, მას შეეყვარდებოდეს, და სხვ.

მყოფადი II: მე შემეყვარდეს, შენ შეგიყვარდეს,  
მას შეეყვარდეს; ჩვენ შეგვიყვარდეს, თქვენ შეგი-  
ყვარდესთ, მათ შეეყვარდესთ.

### ზენიზუნეზი ზმნების მიმოხრის შესახებ.

I. პირველი მიმოხრის ზმნებს აწმყო დროში მრავ-  
ლობითი რიცხვის შესამე პირში ორგვარი დაბოლოება  
აქვს: **ენ** და **იან**.

მხოლოდობითი რიცხვის შესამე პირში თუ დაბო-  
ლოება **ა** ან **ის** აქვს, მრავლობითში **იან**-ზე ბოლოვდება:

ის იზღებ**ა** — ისინი იზღებ**იან**,

ის მირბ**ის** — ისინი მირბ**იან**.

ღანარჩენ შემთხვევებში დაბოლოება **ენ** იხმარება:

ის გალობ**ს** — ისინი გალობ**ენ**

ის სწერ**ს** — ისინი სწერ**ენ**

ბუღბუღი სტვენ**ს** — ბუღბუღები სტვენ**ენ**.

2. ზოგიერთი ზმნა (განსაკუთრებით როცა სახელ-  
ზმნა ოვნა-ზე ბოლოვდება) აწმყო დროში უღობ-ს ჩაი-  
რთავს, ზოგი კი იღობ-ს: **პოვნა** — ვპოულობ, **შოვნა** —  
ვშოულობ, **თხოვნა** — ვთხოულობ; **ვკადრულობ**, **ვნა-**

ხულობ, ვლოცულობ, ვხესხულობ, ვფიცულობ, ვკითხულობ, ვყიდულობ, ვმარხულობ, ვკლებულობ, ვმატულობ, ვღებულობ; ვცთილობ, ვსმობილობ, ვტყობილობ, ვცნობილობ.

3. მოქმედებითი გვარის ზმნა მყოფად დროში ისე მიმოიხრძის, როგორც აწმყოში:

მე დღეს ვსწერ, ვაშენებ, ვხატავ, —  
მე ხვალ ვსწერ, ვაშენებ, ვხატავ.

ამგვართვე მიმოიხრის ვნებითი გვარის ზმნები და აგრეთვე საშვალლო გვარის ის ზმნები, რომელიც აწმყოში **მბი**-ზე ბოლოვდება:

მე დღეს ვიწერები, ვემუსაიფები, —  
მე ხვალ ვიწერები, ვემუსაიფები.

4. როცა ზმნა აწმყოში **ობ**-ზე ბოლოვდება, მყოფად დროში თავში **ი**-ს ჩაირთავს:

ვკითხულობ — ვიკითხავ	ვსწავლობ — ვისწავლი
ვთხოულობ — ვითხოვ	ვცხოვრობ — ვიცხოვრებ

ვსეირნობ ვისეირნებ, და სხვ.

5. მეორე მიმოხრის ზმნების ნიშნებია:

მხოლოდობითი რიცხვის პირველ პირში **მ**,  
მრავლობითი რიცხვის იმავე პირში **მვ**,  
ორივე რიცხვის მეორე პირში **ვ**;

მესამე პირში ორივე რიცხვში ან **უ** ემატება და ან სულ არაფერი ახლავს, დაბოლოება მხოლოდ მრავლობით რიცხვში ემატება მეორესა და მესამე პირში (**თ**), — მაგალითად:

მე მიყვარს, შენ გიყვარს, მას უყვარს, ჩვენ გვიყვარს, თქვენ გიყვარ(ს)თ, მათ უყვარ(ს)თ.	მე მქვია, შენ ჰქვია, მას ჰქვია, ჩვენ გვქვია, თქვენ ჰქვიათ, მათ ჰქვიათ.
--	--

## მ ი მ ლ ე ო ბ ა .

(იხ. I წლის კურს. გვ. 18)

**მოქმედებითი გვარის მიმღეობის ნიშნები არის თავში მ ან მ ა და ბოლოში ე ლ ან ა ვ, მწერელი, მაშენებელი (მშენებელი), მკალავი (მკალველი), მხატავი (მხატველი)**

**საშვალო გვარის მიმღეობას თავში აგრეთვე მ დაერთვის და ბოლოში ჩასართი ა რ (ან ა ლ) და ზოგჯერ, როგორც მოქმედებითსაც, ჩასართი ა ვ: მცინარი, მღელვარი, მტირალი, მყვირალი, მცურავი, მხტუნავი.**

**საშვალო გვარის მიმღეობა კიდევ ასე კეთდება: თავში მ მ ემატება და დაბოლოებათ ე-ს მიიღებს, — მაგალითად: ვსეირნობ, ვქეიფობ — მოსეირნე, მოქეიფე.**

**უსრული სახის ზმნები მოქმედებითისა და საშვალო გვარის მიმღეობას ყველა დროში ერთნაირათ აწარმოებს, — მაგალითად, ზმნისაგან ვკითხულობ — აწყოში: მკითხველი, ე. ი. რომელიც კითხულობს; ნაყოში: მკითხველი, ე. ი. რომელიც კითხულობდა, რომელმაც იკითხა, რომელსაც უკითხავს; მყოფადში: მკითხველი, ე. ი. რომელიც იკითხავს.**

**აგრეთვე — საშვალო გვარის მცინარი ნიშნავს: რომელიც იცინის, რომელიც იცინოდა (რომელმაც იცინა, რომელსაც უცინია) და რომელიც იცინებს.**

\*

**სრული სახის მიმღეობას იგივე ნიშნები აქვს, რაც უსრული სახისას (თავში მ, მ ა, მ მ, და ბოლოში ე ლ, ა ვ, ა რ, ა ლ).**



სრული სახის ზმნებს აწმყო დრო არ აქვს (იხ. გვ. 50) — და, მაშასადამე, არც მიმღეობა იქნება აწმყო დროში; მაგალითად: სახელზმნისაგან **წაკითხვა** მიმღეობა იქნება **წამკითხველი**; ეს არის მხოლოდ ორი დროის ფორმა: **ნამყოფი** (რომელმაც წაკითხა, რომელსაც წაუკითხავს) და **მყოფადის** (რომელიც წაკითხავს).

\* \*

**ვნებითი გვარის მიმღეობა აწმყო დროში** არ არის. **ვნებითი გვარის მიმღეობა ნამყოფი დროში** ორგვარათ კეთდება: 1. **ან** თავში დაერთვის **ნა** (ნაკითხი, წანაკითხი, ნაშენები, ანაშენები); 2. **ან** ბოლოში **ილ** ან **ულ** (დაწერილი, შეკერილი, აშენებული, გაკეთებული).

**მყოფად დროში** ვნებითი გვარის მიმღეობის ნიშნებია: თავში **სა** და ბოლოში ჩასართები **ელ**, **ავ**, ან **სულ** უჩასართოდ იხმარება, — მაგალითად:

**საშენებელი**, **საკრთხავი**, **საწერი** (ასაშენებელი, წაკითხი, დასაწერი).

### ზ ე ნ ი უ ვ ნ ე ბ ი.

1. **ილ**-ითა და **ულ**-ით მიმღეობა საზოგადოთ თავსართიანი ზმნებისაგან კეთდება: არ ითქმის **კეთებული**, **შენებული**, **კითხული**, არამედ **გაკეთებული**, **აშენებული**, **წაკითხული**. — იშვიათად კი მიმღეობას **ილ**-ითა და **ულ**-ით უთავსართო ზმნებიც აწარმოებს: **შობილი**, **გმობილი**, **ქებული**, **ხსენებული** და რამდ. სხვ. **ნა**-ს შემწეობით კი მიმღეობა უთავსართო ზმნებისაგანაც კეთდება და თავსართიანისგანაც: **ნაკეთები** — **განაკეთები**, **ნაწერი** — **დანაწერი**, **ნაკითხი** — **წანაკითხი**.



2. საშვალო გვარის ზმნების მიმღებობას ნამყო დროში თავში მ ახლავს და ბოლოში ჩასართი **არ** (ან **ალ**), თუ რომ სახელზმნა **რმა**-ზეა დაბოლოებული: დაჯდომა — **დამჯდარი**, გახტომა — **გამხტარი**, გახდომა — **გამხდარი**, გაწყრომა — **გამწყრალი**, დაშვრომა — **დამაშვრალი**. — ამგვარათვე აქვს მიმღებობა რამდენსაშე სხვა ზმნასაც: **დამთვრალი**, **გამქრალი**, **გამხმარი**, **გამშრალი**, **დამხჩვალი**, **გამომცხარი**, **დამდნარი**, **დამტკბარი**, **გამთფარი**, **დამკენარი**, **დამპალი**, **დამბალი**.

3. ზნებითი გვარის მიმღებობის უარყოფითი ფორმა ასე კეთდება: თავში **უ** დაერთვის და დაბოლოების ჩასართები **ულ** და **ილ ელ**-ათ იქცევა: წაკითხული — **წაუკითხველი**, დაწერილი — **დაუწერელი**.

4. ბევრი მიმღებობა არსებით სახელოთ გადაქცეულა: **გამდელი**, **მართველი**, **მკედელი**, **მასწავლებელი**; **მღევარი**, **მხატვარი**, **მწერალი**, **მკერვალი**, **მკურნალი**, **წინამძღოლი**; **მწყესი**, **მოსწავლე**, **მოყვარე**; **წერილი**; **სათიბი**, **სახურავი**, **საქმელი**, **სახმელი**, **საწერელი**, **საკურთხეველი**, **საწნახელი**, **საფანტი**, **საბელი**, **სანთელი**, **სატრფო**...

5. მიმღებობა ნამყო დროში კეთდება აგრეთვე სუფიქსებით (ჩასართებით) — **ნა** (თავში) და **მა** (ბოლოში) — უმეტეს ნაწილათ არსებით სახელთაგან, — მაგალ. ნაშვილში, ნანადირში, ნაყვავილში და სხვ.; — აგრეთვე ზოგჯერ ზედსართავისა და თვით მიმღებობისგანაც: მხიარული — **ნამხიარულევი**, მწუხარე — **ნამწუხარევი**, მტირალი — **ნამტირალევი**, მძინარი — **ნამძინარევი**.

\*

**უამწეობითი ზმნის მიმოხრა.**

ზმნა „**მე ვარ**“ ბევრ სხვა ზმნას ეხმარება, **ეწევა**

შიმოხრაში (მაგალითად: ვზიპარ, ვწემარ, ვდგავარ, ვზი-  
პართ, დამჯღარპარ, დაწოლილპართ, გაქცეულპარ,  
გაქცეულხარ, გაქცეულპართ, და სხვ.)—და ამიტომ  
შემწეობითი ზმნა ეწოდება.

მოთხრობითი კილო.

აწმყო (რას ვშვრები?)

მე ვარ, შენ ხარ, ის  
არის\*), ჩვენ ვართ, თქვენ  
ხართ, ისინი არიან\*\*).

ნამყო I (რას ვშვრებოდი?)

მე ვიყავ(ი), შენ იყა(ვი),  
ის იყო, ჩვენ ვიყავით,  
თქვენ იყავით, ისინი იყვნენ.

ნამყო II (რა ვქენი?)

მე ვიქენ(ი), შენ იქენ(ი),  
ის იქნა, ჩვენ ვიქენით,  
თქვენ იქენით, ისინი  
იქნენ.

ნამყო III (რა მიქნია?)

მე ყოფილვარ, შენ ყო-  
ფილხარ, ის ყოფილა, ჩვენ  
ყოფილვართ, თქვენ ყოფილ-  
ხართ, ისინი ყოფილან.

მყოფადი (რას ვიზამ?)

მე ვიქნები, შენ იქნები,  
ის იქნება.

ჩვენ ვიქნებით, თქვენ იქ-  
ნებით, ისინი იქნებიან.

ნატვრითი კილო

აწმყო (რას უნდა ვშვრებოდე?)

მე ვიყო, შენ იყო, ის  
იყოს,

ჩვენ ვიყოთ, თქვენ იყოთ,  
ისინი იყონ.

\*) მოკლეთ არს, ა („არა რა არს უსაშველო“); „სიტყვა  
სიტყვაა“ (=სიტყვა არის), საქმე კი სხვაა“ (=სხვა არის).

\*\*.) მოკლეთ ან,—მაგალ.: ისინი მოხულან. (=მოხულარიან).

**ნამყო I** (რა უნდა მექნა?)

მე ყოფილვიყავ, უენ ყოფილიყავ, ის ყოფილიყო, ჩვენ ყოფილვიყავით, თქვენ ყოფილიყავით, ისინი ყოფილიყვენ.

**ნამყო II** (რა უნდა მექნას?)

მე ყოფილვიყო, უენ ყოფილიყო, ის ყოფილიყოს, ჩვენ ყოფილვიყოთ, თქვენ ყოფილიყოთ, ისინი ყოფილიყონ.

**მყოფადი I** (რას ვიზამდე?)

მე ვიქნებოდე, უენ იქნებოდე, ის იქნებოდეს, ჩვენ ვიქნებოდეთ, თქვენ იქნებოდეთ, ისინი იქნებოდენ.

**მყოფადი II** (რა უნდა ვქნა?)

მე ვიქნე, უენ იქნე, ის იქნეს, ჩვენ ვიქნეთ, თქვენ იქნეთ, ისინი იქნენ.

**პირობითი კილო**

**ნამყო** (რას ვიზამდი?)

მე ვიქნებოდი, უენ იქნებოდი, ის იქნებოდა.

ჩვენ ვიქნებოდით, თქვენ იქნებოდით, ისინი იქნებოდენ.

**ბძანებითი კილო.**

**ღამტკიცებითი ფორმა.**

**ა წ მ ყ ო.**

**მ ყ ო ფ ა დ ი.**

(ვიყო!)  
იყავ(ი)!  
იყოს!

ვიყოთ!  
იყავით!  
იყონ!

(ვიქნე!)  
იქნ(ი)!  
იქნეს!

ვიქნეთ!  
იქნით!  
იქნენ!

შარყოფითი პირველი.

ა წ მ ყ ო.

მ ყ ო ფ ა დ ი.

(ნუ ვარ!)	ნუ ვართ!		(ნუ ვიქნები!)	ნუ ვიქნებით!
ნუ ხარ!	ნუ ხართ!		ნუ იქნები!	ნუ იქნებით!
ნუ არის!	ნუ არიან!		ნუ იქნება!	ნუ იქნებიან!

შარყოფითი მეორე.

ა წ მ ყ ო.

მ ყ ო ფ ა დ ი.

(არ ვიყო!)	არ ვიყოთ!		არ ვიქნე!	არ ვიქნეთ!
არ იყო!	არ იყოთ!		არ იქნე!	არ იქნეთ!
არ იყოს!	არ იყონ!		არ იქნეს!	არ იქნენ!

მ ი მ ლ ე ო ბ ა.

აწმყო

ნ ა მ ყ ო

მ ყ ო ფ ა დ ი

მყოფი | ნამყოფი, ყოფილი | სამყოფი, მყოფადი (მყოობადი).

— : —

შედგენილი შემასმენელი.

შემასმენელათ, ზმნებს გარდა, სხვა სიტყვის, ნაწილებიც იხმარება (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი), შემწეობითი ზმნის მიმატებით.

ამისთანა შემასმენელს შედგენილი შემასმენელი ეწოდება.

### მაგალითები:

რიონი მდინარეა (მდინარე არის). მყინვარი მაღალია (მაღალი არის). ეს მხარე წინათ ჩვენი იყო. ჭკვიანი ჩვენში ბევრი იქნება, პატიოსანი კი—ათასში ერთი (იქნება).

### უ ე ნ ი უ ვ ნ ა.

ანლაზებში ხშირათ შემასმენელი არ არის მოხსენებულის, არამედ იგულისხმება:

„თევზი მარხვაში, ცხენი აღმართში“ (შემასმენელათ უნდა ვიგულისხმოთ: გამოსადეგია, მოსახმარია და სხვ.)

— :

### დამატება და განსაზღვრება ნათესაობით ბრუნვაში.

ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი დამატება მაშინ არის, როცა ზმნაზე დამოკიდებული, და განსაზღვრება—როდესაც არსებით სახელზე

### დ ა მ ა ტ ე ბ ა.

ამ ბავშს დედ-მამის ეშინია.

მოსწავლეს სასწავლებლის ერიდება.

### გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა:

მოსწავლის სიმდიდრე სწავლაა.

მყინვარის წვერზე მუდამ თოვლი ძევს.

— : —

## მ ი მ ა ტ ე მ ა .

როცა არსებითი სახელი არსებითი სახელითვე განისაზღვრება, ამისთანა განსაზღვრებას **მიმატება** ეწოდება.

**მაგალითები:** ჩამოართვეს ქართლი, მისცეს **მრეკლეს ძეს** ქოსტანტინეს; — საქართველოში პირველი ქართული სტამბა **ვახტანგ მეექვსემ**, **ქართლის მეფემ**, გამართა; — **ნინოს** ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა, **ნიშანი** დიდი ქრისტიანობის.

**შენიშვნები** 1. ავიღოთ **მიმატების** მაგალითი: **მეფე ღიმიტრი**. ამ მაგალითში **მეფე** მსაზღვრელი სახელია, ან **მიმატება**, და **ღიმიტრი** კი — სასაზღვრი სახელი. — როცა მიმატება სასაზღვრი სახელის წინ ზის, მიმატებაც იბრუნვის და სასაზღვრი სახელიც, და თუ უკან ზის, მაშინ მარტო მიმატება იბრუნვის, — მაგალითად: **მეფე ღიმიტრი**, **მეფის ღიმიტრის**, **მეფეს ღიმიტრის** და სხვ., ან: **ღიმიტრი მეფე**, **ღიმიტრი მეფის**, **ღიმიტრი მეფეს**, **ღიმიტრი მეფემ** და სხვ.

2. თუ მიმატება ერთი სიტყვისაგან შედგება, სასვენი ნიშანი არსად უნდა, თუ ორის ან რამდენიმე სიტყვისაგან შედგება, ნიშანი (მძიმე) მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა, როცა მიმატება სასაზღვრ სიტყვას შემდეგ არის დასმული; თუ წინადადების ბოლოშია, მძიმე მარტო წინ დაისმის, და თუ შუაშია, წინაც მძიმე უნდა და უკანაც, — მაგალითად: ქართული სტამბა დააარსა **ვახტანგმა**, **ქართლის მეფემ**; — **ვახტანგმა**, **ქართლის მეფემ**, დააარსა ქართული სტამბა.



## შემასმენელის შემთხმება ჯვემდებარესთან.

ქართულ ენაში მრავლობითი რიცხვის ქვემდებარესთან შემასმენელი ყოველთვის მრავლობითად არ იხმარება.

**შემასმენელი ამ შემთხვევაში მხოლოდობით რიცხვში დაისმის:**

ა) თუ ქვემდებარე უსულო საგანია და პირველი დაბოლოებით (ები) არის ნაბრუნები:

მთები თოვლით დაიფარა; ეს ხეები ძალიან გაიზარდა;

ბ) სულიერი საგნის რთულ ქვემდებარესთან:

ჩემი დედ-მამა აქ ცხოვრობს;

გ) რიცხვით სახელთან:

ასი კაცი ერთად მიდის; ათასმა კაცმა მრავალრიცხოვანი მტერი დაამარცხა.

\*

**შემასმენელი მრავლობით რიცხვში დაისმის:**

ა) როცა მრავლობითი რიცხვის ქვემდებარე სულიერი საგანია:

ბავშები კარგათ სხედან; ძაღლები ნადირს უყეფენ;

ბ) როცა წინადადებაში სულიერი საგნის მხოლოდობითი რიცხვის რამდენიმე ქვემდებარეა; დედა, მამა და შვილი თფილისს წავიდენ;

გ) როცა უსულო საგნის ქვემდებარე მეორე დაბოლოებით (ნი) არის ნაბრუნები: მთანი თოვლით დაიფარენ; ეს ხენი ძალიან გაიზარდენ;

დ) როცა სულიერი საგნის რთულ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელია, პირველი მხოლოდობით რიცხვში დაისმის, დანარჩენი კი ყველა — მრავლობითში: და-ძმა

ერთად ცხოვრობს, დილ-დილობით შკოლაში დადიან, ნასადილოვს კი ყმაწვილებს ასწავლიან და ამით თავს ირჩენენ.

—:—

## მთავარი და დამოკიდებული წინადადება.

ბავშები გრძნობენ, რომ მასწავლებელს მათი ხასიათი მოსწონს.

ბჭ ორი წინადადებაა: 1) „ბავშები გრძნობენ“ და 2) „რომ მასწავლებელს მათი ხასიათი მოსწონს“.

მეორე წინადადება ცალკე რომ ავიღოთ, აზრი გასაგები არ იქნება; იმის აზრს მაშინ გავიგებთ, როცა მასთან პირველ წინადადებას ვიტყვი.

ამ სახით, მეორე წინადადების აზრი პირველ წინადადებაზეა დამოკიდებული.

პირველი წინადადების აზრი (ბავშები გრძნობენ) ცალკე, თავისთავათ არის გასაგები: ამისთანა წინადადებას მთავარი წინადადება ჰქვია; მეორე წინადადების აზრი ცალკე გასაგები არ არის, მთავარ წინადადებაზეა დამოკიდებული: ამისთანა წინადადებას დამოკიდებული წინადადება ეწოდება.

### მაგალითები:

შველამ იცის, რომ სწავლა სასარგებლოა. — მშობლებს უხარიათ, რომ მათი შვილები კარგი ზნის არიან. — შმაწვილებმა მხოლოდ ის წიგნი უნდა წაიკითხონ, რომელიც სასარგებლოა. — ორი ყური და ერთი ენა იმისთვისა გვაქვს, რომ ბევრი მოვსმინოთ და ცოტა ვილაპარაკოთ. — როდესაც ფარნაოზი გამეფდა, საქართველოში წერაკითხვა პირველათ შემოიღეს.

## რამდენია დამოკიდებული წინადადება?

დამოკიდებული წინადადება იმდენივეა, რამდენიც არის წინადადების მეორე ხარისხის ნაწილი:

წინადადების მეორე ხარისხის ნაწილებია:

1. დამატება
2. განსაზღვრება
3. ადგილის გარემოება
4. დროის —
5. მიზეზის —
6. მიზნის —
7. ვითარების —

უკრეთვე დამოკიდებული წინადადებაც არის.

1. დამატებითი
2. განსაზღვრებითი
3. ადგ. გარემოებითი.
4. დროის —
5. მიზეზის —
6. მიზნის —
7. ვითარების —

## დამატებითი დამოკიდებული წინადადება.

ბონიერი ბავშვები კარგათ ხედვენ, რომ მასწავლებელს მათთვის კეთილი სურს.

ამ მაგალითში მეორე წინადადება დამოკიდებულია პირველზე: პირველი მთავარია, მეორე — დამოკიდებული.

დამატებითია დამოკიდებული წინადადება, განსაზღვრებითი თუ გარემოებითი — ამას კითხვით გამოვიცნობთ. კითხვაში მთელათ შედის ის წინადადება, რომელზედაც გასარჩევი წინადადებაა დამოკიდებული, — მხოლოდ რამე შესაფერი საკითხავი სიტყვა უნდა მივუმატოთ.

დამოკიდებულ წინადადებებს იმისთანა ხასიათის კითხვები უნდა ხოლმე, როგორიც წინადადების მეორე ხარისხის ნაწილებს (იხ. წლის კურსი, გვ. 21—23).

ზევით მოყვანილის დამოკიდებული წინადადების

კითხვაში შევა მისი მთავარი წინადადება, „გონიერი ბავშვები კარგათ ხედვენ,“ რომელსაც აქ, აზრის მიხედვით, უნდა დავუმატოთ საკითხავი სიტყვა **რას**:

**რას ხედვენ გონიერი ბავშვები?**

კითხვა **რას** დამატების კითხვაა (იხ. I წლის კურსი, გვ. 21); — მაშასადამე, ზემორემოყვანილი წინადადება (რომ მასწავლებელს მათთვის კეთილი სურს) — დამატებითი დამოკიდებული წინადადება ყოფილა.

დამატებითი დამოკიდებული წინადადება იმისთანა ზმნებს შემდეგ დაისმის, რომელიც ნიშნავს ან **გრძნობას** (მაგალ. ვგრძნობ, ვწუხვარ, მიხარია და სხვ.), ან **ცოდნას** (მაგალ. ვიცი, ამბობენ, გადმოგვცეს, ხმა დაყარეს და სხვ.).

**მაგალითები:** ბავშმაც კი იცის, ვინ არის ძაკო. — ვნახე, რომ ქვეყნათ ჩამოსულიყვენ ნინო, ჭეთევანი და თვით თამარი. ძალენდარში წერია, რომ წრეულს დიდი ზამთარი იქნებაო. — უსწავლელთ ახლაც არ სჯერათ, რომ დედამიწა ჰაერში ტრიალობს და მზეს გარს უვლის. — ზარმაცი მოსწავლე ფიქრობს, თითქო მასწავლებელი მისი მტერი იყოს.

რა კითხვა უნდა აქ მოყვანილს თითოეულს დამოკიდებულ წინადადებას?

### **ბანსაზღვრავითი დამოკიდებული წინადადება.**

„ვეფხისტყაოსანი,“ დაუწერია შოთას, რომელიც **თამარის დროს ცხოვრობდა**

ამ მაგალითში მეორე წინადადება დამოკიდებულია პირველზე: პირველი მთავარი წინადადებაა, მეორე კი **დამოკიდებული**.

ამ დამოკიდებულ წინადადების სრული კითხვა

იქნება: რომელ შოთას დაუწერია „ვეფხისტყაოსანი“?  
— კითხვა რომელი განსაზღვრების კითხვაა (იხ. I წლის  
კურსი, გვ. 21), — მაშასადამე, ზემორემოყვანილი წინადა-  
დება (რომელიც თამარ მეფის დროს ცხოვრობდა)  
არის განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება.

ზანსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ხშირათ  
მთავარი წინადადების შუაშია მოქცეული, — მაგალითად:  
შოთა რუსთველი, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“  
დაუწერია, თამარ მეფის დროს ცხოვრობდა.

ამ მაგალითში მთავარი წინადადებაა: „შოთა რუსთ-  
ველი თამარ მეფის დროს ცხოვრობდა“, — შუაში ჩა-  
რთულია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება.

ზანსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება იწყება  
ნაცვალსახელით რომელიც; ზოგჯერ კი რომელიც-ის  
მაგიერ რომ იხმარება, — მაგალითად:

„აი რას ამბობს ის გმირი, შენ რომ ბოჩოლა  
გგონია“.

ამ მაგალითში „შენ რომ ბოჩოლა გგონია“ გან-  
საზღვრებითი დამოკიდებული წინადადებაა (კითხვა: რო-  
მელი გმირი ამბობს?). — რომ-ის მაგიერ შეიძლება რო-  
მელიც ვიხმაროთ — და მაშინ იქნება:

აი რას ამბობს ის გმირი, რომელიც შენ ბოჩოლა  
გგონია.

მაგალითები: პრულიყოს იმის სახელი, ვინც (რო-  
მელმაც) მთა გასცვალოს ბარზედა! — მამო ჩვენო, რომე-  
ლიცა ხარ ცათა შინა, მუხლმოდრეკილი, ლმობიერი  
ვდგავარ შენს წინა! — შენ რომ ბოჩოლა გგონია, ის  
არის ძეგლი გმირისა. — სადაც სიყრმითვე ჩვეულვარ, ჩემი  
სამშობლო ის არი! — ნისლი, რომელიც მთის წვერზე  
წყნარათ მოცურავდა, ჯიხვს მიუახლოვდა. — მეფეს ერ-

თი ვეზირი ჰყავდა, სახელათ სევდაქი (იგულისხმება: რომელსაც ერქვა).

რა კითხვა უნდა აქ თითოეულს დამოკიდებულ წინადადებას?

### სასვენი ნიშნები დასაბუთისა და განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებაში.

1. დამოკიდებული წინადადება თავისი მთავარი წინადადებისაგან მძიმეთი (,) გაიყოფება, — **თუ** დამოკიდებული წინადადება **რომ**-ით ან **რომელიც**-ით იწყება, მძიმე **რომ**-ისა და **რომელიც**-ის წინ დაისმის:

შველამ გაიგო, რომ დედამიწა რგვალთა; — კოლუმბმა ამოაჩინა ქვეყანა, რომელიც ველურებით იყო მოსახლებული.

2. როცა დამოკიდებული წინადადება მთავარის შუაშია მოქცეული, წინაც მძიმე უზის და უკანაც:

ვახტანგ ბორჯასლანმა იმ ადგილას, სადაც თფილი წყლები ნახა, ქალაქი თფილისი მოაშენა.

3. თუ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება **რომ**-ით არის გამოთქმული, მძიმე **რომ**-ის წინ კი არ დაისმის, არამედ იქ, სადაც დამოკიდებული წინადადება იწყება, ან სადაც თავდება:

აი რას ამბობს ის გმირი, **შენ რომ ბოჩოლა გგონია; — შენ რომ ბოჩოლა გგონია**, ის არის ძველი გმირისა.

### წინადადებანი შედგენილობისამებრ.

1. იმისთანა წინადადებას, რომელიც მხოლოდ **ქვა-**



**მდებარისა და შემასმენელისაგან შედგება, გაუვრცელ-  
ლებელი წინადადება ჰქვია:**

მზე ჩაესვენა. — **თერგი ღრიალობს.**

2. **თუ წინადადებაში უმთავრეს ნაწილებს გარდა  
მეორე ხარისხის ნაწილებიც არის, ამგვარ წინადადებას  
გავრცელებული ეწოდება:**

მზე დიდებულათ ჩაესვენა. — **შფოთიანი თერგი ძავე-  
კასიის თვალუწვდენელ მთებს შორის მხეცივით ღრია-  
ლობს.**

3. **სრული წინადადება იმისთანა წინადადებას ჰქვია,  
რომელშიც ქვემდებარე და შემასმენელი გამოცხადებუ-  
ლია, მოხსენებულია:**

ჩუ! ტრედმა დაილულუნა!

**ნაკლული წინადადება** იმისთანას ჰქვია, რომელშიც  
ან ქვემდებარე და ან შემასმენელი არ არის მოხსენებული,  
არამედ საგულისხმოა, მოსაფიქრებელია, — მაგალითად:

მკა ხომ ჩვენ არ დაგვიწუნა (ე. ი. ტრედმა)? —

**ვანო თფილისში სწავლობს, სანდრო კი — ქუთაის-  
ში (უკანასკნელ წინადადებაში იგულისხმება შემასმენელი  
სწავლობს).**

4. **მხოლოდ ერთ წინადადებას, ერთი ქვემდებარისა  
და ერთი შემასმენელისაგან შემდგარს, მარტივი წინადა-  
დება ეწოდება:**

ძრისტე აღდგა? — **მაშინ ბულბულმა თავისებურათ  
შესძახა.**

**თუ წინადადებაში რამდენიმე ერთგვარი ნაწილია  
(რამდენიმე ქვემდებარე, ან რამდენიმე შემასმენელი, ან  
რამდენიმე დამატება, განსაზღვრება და სხვ.), ამგვარ  
წინადადებას შეერთებული ეწოდება:**

**ლომი და მგელი, ძაღლი და მელა — მეზობლათ**

იღგენ ესენი ყველა.—ხან დაუსტვინა (ბულბულმა), და-  
მღერა, ხან ზედ დაკვნესა.

—:—

### წინადადებანი გვარისამებრ.

1. იმისთანა წინადადება, რომელშიც ქვემდებარე ან მოხსენებულია, ან შეიძლება ვიგულისხმოთ, არის პირთ-  
ვანი წინადადება:

ძალა აღმართსა ხნავს.— ძვეყანა ფართოა.

2 იმისთანა წინადადებას, რომელშიც ქვემდებარე არათუ არ არის, არამედ არც შეიძლება ვიგულისხმოთ, —უპირო წინადადება ჰქვია:

ბუშინ წვიმდა.— ღღეს თოვს.— ნელნელა თენდება.

3. ჩართული წინადადება იმ წინადადებას ეწოდება, რომელიც სასაუბრო საგანს პირდაპირ არ ეხება, არამედ ჩაემატება, ჩაერთვის წინადადებას შუაში ან ბოლოში და, სხვათა შორის, აზრს რამდენათმე განმარტავს:

თვალს არ აშორებს ამ ყვავს მელია (აბა, შიმშილი ასე ძნელია!).— ბლუხის თქმის არ იყოს, ძრისტე ღმერთს თვისი კალთა ჩვენში დაუბერტყია.— თურმე— ნუ იტყვიტ — ლუარსაბს ბუზები დაეთვალა!

ჩართულ წინადადებას ეკუთვნიან შემდეგი მოკლე გამოთქმანი: ასე გაშინჯეთ, რა საკვირველია, თქმა არ უნდა, ღმერთს გეფიცები, მართალი მოგახსენო, და სხვ.

შენიშვნა. ჩართული წინადადება ან ფრჩხილებში ჩაისმის, ან მძიმეებში, ან ხაზებს შორის (იხილე მაგალითები ზევით).

4. **შემოტანილი წინადადება** იმისთანას ჰქვია, რო-  
შელიც სხვისაგან წარმოაქმულ აზრს წარმოადგენს:

ღელამ შკოლს უთხრა: „შვილო, გულმოდკინეთ  
ისწავლე და სამშობლო ენას ნუ დაივიწყებ, თუ გინდა  
შენს ქვეყანას გამოადგეო“. — შბრძანა: „ნუ სტირ, ასუ-  
ლო!“ ვეზირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ბრძანეთ თქვენი  
ბერობა?“

**შენიშვნა.** შემოტანილ წინადადებას თავსა და ბო-  
ლოში ბრჭყალები უნდა.

---

## მ ე ს ა მ ე წ ლ ი ს კ უ რ ს ი.

### მეხუთე გვარის ზმნის მიმოხრა.

**მოთხრობითი კილო.**

აწმყო (რას ვშვრები?).

მე ვიწერები, შენ იწერები, ის იწერება; ჩვენ ვიწე-  
რებით, თქვენ იწერებით, ისინი იწერებიან.

ნამყო I (რას ვშვრებოდი?).

მე ვიწერებოდი, შენ იწერებოდი, ის იწერებოდა;  
ჩვენ ვიწერებოდით, თქვენ იწერებოდით, ისინი იწერე-  
ბოდნ.

ნამყო II (რა ვქენი?).

მე ვიწერე, შენ იწერე, ის იწერა; ჩვენ ვიწერეთ,  
თქვენ იწერეთ, ისინი იწერენ.

ნამყო III (რა მიქნია?).

მე წერილვარ, შენ წერილხარ, ის წერილა; ჩვენ წერილვართ, თქვენ წერილხართ, ისინი წერილან.

მყოფადი (რას ვიზამ?).

მე ვიწერები, შენ იწერები და სხვ.  
(როგორც აწმყო).

ნატვრითი კილო.

აწმყო დრო (რას უნდა ვწერებოდე?).

მე ვიწერებოდე, შენ იწერებოდე, ის იწერებოდეს; ჩვენ ვიწერებოდეთ, თქვენ იწერებოდეთ, ისინი იწერებოდენ.

ნამყო I (რა უნდა მექნა?).

მე წერილვიყავ, შენ წერილიყავ, ის წერილიყო; ჩვენ წერილვიყავით, თქვენ წერილიყავით, ისინი წერილიყვენ.

ნამყო II (რა უნდა მექნას?).

მე წერილვიყო, შენ წერილიყო, ის წერილიყოს; ჩვენ წერილვიყოთ, თქვენ წერილიყოთ, ისინი წერილიყონ.

მყოფადი I (რას ვიზამდე?).

მე ვიწერებოდე, შენ იწერებოდე და სხვ.  
(როგორც აწმყო).

მყოფადი II (რა უნდა ვქნა?).

მე ვიწერო, შენ იწერო, ის იწეროს; ჩვენ ვიწეროთ, თქვენ იწეროთ, ისინი იწერონ.

პირობითი კილო (რას ვიზამდი?).

მე ვიწერებოდი, შენ იწერებოდი და სხვ.  
(როგორც მოთხ. კილ. ნამყო I)-

ბძანებითი კილო.

I.

(ვიწერო!) იწერე! იწეროს (ის)! ვიწეროთ! იწერეთ!  
იწერონ (ისინი)!

II.

(ნუ ვიწერები!) ნუ იწერები! ნუ იწერება! ნუ ვიწერებით!  
ნუ იწერებით! ნუ იწერებიან!

III.

მ ი მ ლ ე ო ბ ა .

აწყო

ნამყო

მყოფადი

—

| ნაწერი, წერილი |

საწერი.

საშვალო გვარის ზმნების მომოხრა.

საშვალო გვარის ზმნები სამ ჯგუფათ გაიყოფება:

1. ზოგი ისე მიმოიხრის, როგორც მოქმედებითი გვარის ზმნა, — სახელდობ ის ზმნები, რომელსაც აწყო-



ში დაბოლოება ები და ევი არ აქვს: ვცხოვრობ, ვრბი-  
ვცურავ და სხვ.

2. ზოგი ისე მომოიხრის, როგორც ვნებითი გვა-  
რის ზმნა, — სახელდობ ის ზმნები, რომელიც აწმყოში  
ები სა და ევი-ზე ბოლოვდება: ვიზდები, ვტკბები,  
ვკვდები, ვეწევი, ვეჩევი, ვეხვევი და სხვ.

3. თუ საშვალაო გვარის ზმნას თავში ვ აქვს და  
ბოლოში ები ან ევი, მაგალითად: ვეხვეწები, ვეველ-  
რები, ვეფერები, ვეწევი, ვეჩევი და სხვ., — სამ დრო-  
ში განსხვავებულათ მიმოიხრის, სახელდობ მოთხ. კი-  
ლოს ნამყო III-ში და ნატვრ. კილოს ორივე ნამყოში,  
დანარჩენ დროებში ისე მიმოიხრის, როგორც ვნებითი  
გვარის ზმნა.

### მოთხრობითი კილო.

აწმყო (რას ვშვრები?).

მე ვცხოვრობ, შენ ცხოვრობ, ის ცხოვრობს; ჩვენ  
ვცხოვრობთ, თქვენ ცხოვრობთ, ისინი ცხოვრობენ. — მე  
ვტკბები, შენ ტკბები, ის ტკბება; ჩვენ ვტკბებით, თქვენ  
ტკბებით, ისინი ტკბებიან; მე ვეფერები, შენ ეფერები,  
ის ეფერება; ჩვენ ვეფერებით, თქვენ ეფერებით, ისინი  
ეფერებიან — მე ვეწევი, შენ ეწევი, ის ეწევა; ჩვენ  
ვეწევით, თქვენ ეწევით, ისინი ეწევიან.

ნამყო I (რას ვშვრებოდი?).

მე ვცხოვრობდი, შენ ცხოვრობდი, ის ცხოვრობდა;  
ჩვენ ვცხოვრობდით, თქვენ ცხოვრობდით, ისინი ცხოვ-  
რობდენ. — მე ვტკბებოდი, შენ ტკბებოდი, ის ტკბებოდა;  
ჩვენ ვტკბებოდით, თქვენ ტკბებოდით, ისინი ტკბებო-

დენ. — მე ვეფერებოდი, შენ ეფერებოდი, ის ეფერებოდა; ჩვენ ვეფერებოდით, თქვენ ეფერებოდით, ისინი ეფერებოდნენ. — მე ვეწეოდი, შენ ეწეოდი, ის ეწეოდა; ჩვენ ვეწეოდით, თქვენ ეწეოდით, ისინი ეწეოდნენ.

### ნამყო II (რა ვქენი?).

(ზოგიერთი ზმნა ამ დროში უთავსართოდ არ იხმარება \*).

მე ვიცხოვრე, შენ იცხოვრე, მან იცხოვრა; ჩვენ ვიცხოვრეთ, თქვენ იცხოვრეთ, მათ იცხოვრეს. — მე დავტკბი, შენ დატკბი, ის დატკბა; ჩვენ დავტკბით, თქვენ დატკბით, ისინი დატკბნენ. — მე ვეფერე, შენ ეფერე, ის ეფერა; ჩვენ ვეფერეთ, თქვენ ეფერეთ, ისინი ეფერნენ. — მე ვეწიე, შენ ეწიე, ის ეწია; ჩვენ ვეწიეთ, თქვენ ეწიეთ, ისინი ეწიენ.

### ნამყო III (რა მიქნია?).

მე მიცხოვრია, შენ გიცხოვრია, მას უცხოვრია; ჩვენ გვიცხოვრია, თქვენ გიცხოვრიათ, მათ უცხოვრიათ.

მე დამტკბარვარ \*\*), შენ დამტკბარხარ, ის დამტკბარა; ჩვენ დამტკბარვართ, თქვენ დამტკბარხართ, ისინი დამტკბარან.

მე მოვფერებივარ \*\*), შენ მოფერებიხარ, ის მოფერებია; ჩვენ მოვფერებივართ, თქვენ მოფერებიხართ, ისინი მოფერებიან.

მე შევწევივარ \*\*), შენ შეწევიხარ, ის შეწევია; ჩვენ შევწევივართ, თქვენ შეწევიხართ, ისინი შეწევიან.

\*) სახელდობ ის ზმნები, რომელიც აწმყოში ები-ზე ბოლოვდება და თავში არაფერი ხმოვანი ახლავს.

\*\*\*) უთავსართოდ ამ დროში არ იხმარება.

მყოფადი (რას ვიზამ?).

შე ვიცხოვრებ, შენ იცხოვრებ, ის იცხოვრებს; ჩვენ ვიცხოვრებთ, თქვენ იცხოვრებთ, ისინი იცხოვრებენ.

შე ვტკბები, ვეფერები, ვეწევი; შენ ტკბები, ეფერები, ეწევი და სხვ. (როგორც აწმყო).

ნ ა ტ ვ რ ი თ ი კ ი ლ ო .

აწმყო (რას უნდა ვფერებოდე?).

შე ვცხოვრობდე, შენ ცხოვრობდე, ის ცხოვრობდეს; ჩვენ ვცხოვრობდეთ, თქვენ ცხოვრობდეთ, ისინი ცხოვრობდენ.

შე ვტკბებოდე, შენ ტკბებოდე; ის ტკბებოდეს; ჩვენ ვტკბებოდეთ, თქვენ ტკბებოდეთ, ისინი ტკბებოდენ.

შე ვეფერებოდე, შენ ეფერებოდე, ის ეფერებოდეს; ჩვენ ვეფერებოდეთ, თქვენ ეფერებოდეთ, ისინი ეფერებოდენ.

შე ვეწეოდე, შენ ეწეოდე, ის ეწეოდეს; ჩვენ ვეწეოდეთ, თქვენ ეწეოდეთ, ისინი ეწეოდენ.

ნამყო I (რა უნდა მექნა?).

შე მეცხოვრა, შენ გეცხოვრა; მას ეცხოვრა; ჩვენ გვეცხოვრა, თქვენ გეცხოვრათ, მათ ეცხოვრათ.

შე დამტკბარყავ(ი) \*), შენ დამტკბარიყავ(ი), ის დამტკბარიყო; ჩვენ დამტკბარყავით, თქვენ დამტკბარიყავით, ისინი დამტკბარიყვენ.

\*) შთავსართოდ არ იხმარება (იხ. წინა შენიშვნები).

მე მოფერებოდი \*), შენ მოფერებოდი, ის მოფერებოდა; ჩვენ მოფერებოდი, თქვენ მოფერებოდი, ისინი მოფერებოდნენ.

მე შევწეოდი\*), შენ შეწეოდი, ის შეწეოდა; ჩვენ შევწეოდი, თქვენ შეწეოდი, ისინი შეწეოდნენ.

ნამყო II (რა უნდა მექნას?).

მე გეცხოვროს, შენ გეცხოვროს, მას ეცხოვროს; ჩვენ გვეცხოვროს, თქვენ გეცხოვროს, მათ ეცხოვროს.

მე დამტკბარვიყო\*), შენ დამტკბარვიყო, ის დამტკბარვიყოს; ჩვენ დამტკბარვიყოთ, თქვენ დამტკბარვიყოთ, ისინი დამტკბარვიყონ.

მე მოფერებოდე\*), შენ მოფერებოდე, ის მოფერებოდეს; ჩვენ მოფერებოდეთ, თქვენ მოფერებოდეთ, ისინი მოფერებოდნენ.

მე შევწეოდე), შენ შეწეოდე, ის შეწეოდეს; ჩვენ შევწეოდეთ, თქვენ შეწეოდეთ, ისინი შეწეოდნენ.

მყოფალი I (რას ვიხანდე?).

მე ვიცხოვრებდე, შენ იცხოვრებდე, ის იცხოვრებდეს; ჩვენ ვიცხოვრებდეთ, თქვენ იცხოვრებდეთ, ისინი იცხოვრებდნენ.

მე ვტკბებოდე, ვეფერებოდე, ვეწეოდე; შენ ტკბებოდე, ეფერებოდე, ეწეოდე და სხვ. (როგორც ნატვრ. აწმყო).

მყოფალი II (რა უნდა ვქნა?).

მე ვიცხოვრო, შენ იცხოვრო, მან იცხოვროს; ჩვენ ვიცხოვროთ, თქვენ იცხოვროთ, მათ იცხოვრონ.

\*) უთავსართოდ არ იხმარება (იხ. წინა შენიშვნები).

მე დავტკბე\*), შენ დატკბე, ის დატკბეს; ჩვენ დავტკბეთ, თქვენ დატკბეთ, ისინი დატკბენ.

მე ვეფერო, შენ ეფერო, ის ეფეროს; ჩვენ ვეფეროთ, თქვენ ეფეროთ, ისინი ეფერონ.

მე ვეწიო, შენ ეწიო, ის ეწიოს; ჩვენ ვეწიოთ, თქვენ ეწიოთ, ისინი ეწიონ.

პ ი რ ო ბ ი თ ი კ ი ლ ო .

ნამყო (რას ვიზამდი?).

მე ვიცხოვრებდი, შენ იცხოვრებდი, ის იცხოვრებდა; ჩვენ ვიცხოვრებდით, თქვენ იცხოვრებდით, ისინი იცხოვრებდენ.

მე დავტკბებოდი\*), მოვეფერებოდი, შევეწეოდი; შენ დატკბებოდი, მოეფერებოდი, შეეწეოდი (როგორც მოთხრ. კილ. ნამყო I, თავსართის მიმატებით).

ბ ძ ა ნ ე ბ ი თ ი კ ი ლ ო .

ღამტკიცებითი.

(ვიცხოვრო!) იცხოვრე! იცხოვროს! ვიცხოვროთ! იცხოვრეთ! იცხოვრონ! (ღავტკბე!) დატკბი! დატკბეს! დავტკბეთ! დატკბით! დატკბენ! (ვეფერო!) ეფერე! ეფეროს! ვეფეროთ! ეფერეთ! ეფერონ!

შარყოფითი I.

აწყო: ნუ ცხოვრობ! ნუ ტკბები! ნუ ეფერები! და სხვ. (როგორც მოთხრ. კილ. აწყო, ნუ-ს მიმატებით).

\*) შთავსართოდ არ იხმარება (იხ. წინა შენიშვნები).



**მყოფადი:** ნუ იცხოვრებ! ნუ ტკბები! და სხვ.  
(როგორც მოთხრ. კილ. მყოფადი, ნუ-ს მიმატებით).

### შარყოფითი II.

არ იცხოვრო! არ დატკბე! არ ეფერო! და სხვ.  
(როგორც ნატვრ. კილ. მყოფადი II, არ-ის მიმატებით).

### მ ი მ ლ ე ო ბ ა .

მრნაირი ფორმა აქვს:

1. როგორც მოქმედებითი გვარის ზმნებს: მცხოვრებ(ელ)ი, მტკობ(ელ)ი, მფერებ(ელ)ი;

2. როგორც ვნებითი გვარის ზმნებს: ნაცხოვრები, დამტკბარი, მოფერებული; საცხოვრებ(ელ)ი, სატკობი, საფერებ(ელ)ი.

—:—

### უ კ ა ნ ო ნ ო ზ მ ნ ე ბ ი .

ზოგიერთი ზმნა სწვადასხვა კილოსა და დროში ძირს იცვლის და საზოგადოთ. მიმოზრისათვის დადგენილ კანონებს არ ემორჩილება. ამისთანა ზმნებს უკანონო ზმნები ჰქვია.

უკანონო ზმნებში განსაკუთრებით შესანიშნავია: ვწივარ, ვწევარ, ვღგავარ, მივდივარ (მოვდივარ, შევდივარ, დავდივარ და სხვ.), მყავს, მაქვს, აღვიარებ, ვამბობ, ვშვრები.

## უკანონო ზმნების მიმოხრა.

### მოთხრობითი კილო.

#### აწმყო (რას ვშვრები?).

მე ვზივარ, შენ ზიხარ, ის ზის; ჩვენ ვზივართ, თქვენ ზიხართ, ისინი სხედან.

მე ვწევარ, შენ წევხარ, ის წევს; ჩვენ ვწევართ, თქვენ წევხართ, ისინი წევიან (წევიან).

მე ვღვავარ, შენ ღვახარ, ის ღვას; ჩვენ ვღვავართ, თქვენ ღვახართ, ისინი ღვიან. — მე მივდივარ, შენ მიდიხარ, ის მიდის; ჩვენ მივდივართ, თქვენ მიდიხართ, ისინი მიდიან.

#### ნამყო I (რას ვშვრებოდი?).

მე ვიჯექ(ი), შენ იჯექ(ი), ის იჯდა; ჩვენ ვისხედით, თქვენ ისხედით, ისინი ისხდენ. — მე ვიწექ(ი), შენ იწექ(ი), ის იწვა; ჩვენ ვიწექით, თქვენ იწექით, ისინი იწვენ. —

მე ვიღექ(ი), შენ იღექ(ი), ის იღვა; ჩვენ ვიღექით, თქვენ იღექით, ისინი იღვენ. — მე მივდიოდი, შენ მიდიოდი, ის მიდიოდა; ჩვენ მივდიოდით, თქვენ მიდიოდით, ისინი მიდიოდენ.

#### ნამყო II (რა ვქენი?).

უთავსართო ფორმები: ვჯექ, ვწექ, ვღექ და სხვ. იშვიათად იხმარება).

მე ღავჯექ(ი), შენ ღავქექ(ი), ის ღავჯდა; ჩვენ ღავსხედით, თქვენ ღავსხედით, ისინი ღავსხდენ. — მე ღავწექ(ი),

შეოჯადი I (რას ვიზამდე?)

მე ვიჯდომებოდე, შენ იჯდომებოდე, ის იჯდომებოდეს; ჩვენ ვისხდომებოდეთ, თქვენ ისხდომებოდეთ, ისინი ისხდომებოდნენ (ან მე ვიჯდებოდე, ჩვენ ვისხდებოდეთ და სხვ.). — მე ვიწოლებოდე, შენ იწოლებოდე, ის იწოლებოდეს; ჩვენ ვიწოლებოდეთ, თქვენ იწოლებოდეთ, ისინი იწოლებოდნენ. — მე ვიდგომებოდე, შენ იდგომებოდე, ის იდგომებოდეს; ჩვენ ვიდგომებოდეთ, თქვენ იდგომებოდეთ, ისინი იდგომებოდნენ (ან ვიდგებოდე, ვიდგებოდეთ და სხვ.). — მე მივიდოდე, შენ მიხვიდოდე, ის მივიდოდეს; ჩვენ მივიდოდეთ, თქვენ მიხვიდოდეთ, ისინი მიხვიდოდნენ.

შეოჯადი II (რა უნდა ვქნა?).

(შთავსართოდ იშვიათად იხმარება)

მე დაეჯდე, შენ დაჯდე, ის დაჯდეს; ჩვენ დავსხდეთ, თქვენ დასხდეთ, ისინი დასხდნენ. — მე დაეწვე, შენ დაწვე, ის დაწვეს; ჩვენ დავწვეთ, თქვენ დაწვეთ, ისინი დაწვენ. — მე დავდგე, შენ დადგე, ის დადგეს; ჩვენ დავდგეთ, თქვენ დადგეთ, ისინი დადგნენ. — მე მივიდე, შენ მიხვიდე, ის მივიდეს; ჩვენ მივიდეთ, თქვენ მიხვიდეთ, ისინი მიხვიდნენ.

პირობითი კილო.

ნამყო (რას ვიზამდი?).

მე ვიჯდომებოდი, შენ იჯდომებოდი, ის იჯდომებოდა; ჩვენ ვისხდომებოდით, თქვენ ისხდომებოდით,

ისინი ისხდომებოდენ (ან: ვიჯდებოდი, ვისხდებოდი და სხვ.). — მე ვიწოლებოდი, შენ იწოლებოდი, ის იწოლებოდა; ჩვენ ვიწოლებოდით, თქვენ იწოლებოდით, ისინი იწოლებოდნენ — მე ვიღვამებოდი, შენ იღვამებოდი, ის იღვამებოდა; ჩვენ ვიღვამებოდით, თქვენ იღვამებოდით, ისინი იღვამებოდნენ (ვიღვებოდი, იღვებოდი და სხვ.). — მე მივიდლოდი, შენ მიხვიდლოდი, ის მივიდლოდა; ჩვენ მივიდოდით, თქვენ მიხვიდოდით, ისინი მივიდოდნენ.

**ბძანებითი კილო.**

**ღამტკიცებითი.**

(ვიჯდე!)	(ვიწვე!)	(ვიღვე!)	(მივიდე!)
იჯექ!	იწექ!	იღექ!	მიდი!
იჯდეს!	იწვეს!	იღვეს!	მივიდეს!
ვისხდეთ!	ვიწვეთ!	ვიღვეთ!	მივიდეთ!
ისხედით!	იწექით!	იღექით!	მიდიო!
ისხდნენ!	იწვენ!	იღვენ!	მივიდნენ!

**შარყოფითი I.**

ნუ ზიხარ! ნუ წევხარ! ნუ დგახარ! ნუ მიდიხარ! ნუ ზის! ნუ წევს! და სხვ. (როგორც მოთხრ. კილ. აწმყო, ნშ-ს მიმატებით).

**შარყოფითი II.**

არ დაჯდე! არ დაწვე! არ დაღვე! არ მიხვიდე!  
 არ დაჯდეს! და სხვ. (როგორც ნატვრ. კილ. მყოფადი II, არ-ის მიყოლებით).

მ ი მ ლ ე ო ბ ა .

ა წ მ ყ ო .

მჯდომი (მჯდომელი), მჯდომარე (მჯდომიარე); მწო-  
ლი (მწოლელი), მწოლარე (მწოლიარე); მდგომი (მდგო-  
მური), მდგომარე (მდგომიარე); მიმავალი, წამსვლელი,  
მამსვლელი.

ნ ა მ ყ ო .

მახჯდარი, დაწოლილი, დამდგარი, წასული.

მ ყ - ო - ფ ა დ ი .

დასაჯდომი, დასაწოლი, დასადგომი, წასასვლელი.

—:—

მოთხრობითი კილო.

აწმყო (რას ვშვრები?).

მე მყავს, მაქვს, ვამბობ ვშვრები\*).

წამყო I (რას ვშვრებოდი?).

მე მყავდა, მაქონდა, ვამბობდი, ვშვრებოდი.

\*) ამ ზმნების მიმოხრა მართლ მხოლოდითი რიცხვის პირ-  
ველ პირშია აღნიშნულია; — განაგრძეთ მათი მიმოხრა ორივე რიცხ-  
ვის ყველა პირში.

ნამყო II (რა ვქენი?).

მე მეყოლა \*), ვსთქვი, ვქენი.

ნამყო III (რა მიქნია?).

მე მყოლია, მქონია, მითქვამს, მიქნია.

მყოფადი (რას ვიზამ?):

მე მეყოლება, მექნება, ვიტყვი, ვიზამ.

ნატვრითი კილო.

მე მყავდეს, მქონდეს, ვამბობდე, ვწვრებოდე.

ნამყო I (რა უნდა მექნა?).

მე მყოლოდა, მქონოდა, მეთქვა, მექნა.

ნამყო II (რა უნდა მექნას?).

მე მყოლოდეს, მქონოდეს, მეთქვას, მექნას.

მყოფადი I (რას ვიზამდე?).

მე მეყოლებოდეს, მექნებოდეს, ვიტყოდე, ვიზამდე.

მყოფადი II (რა უნდა ვქნა?).

მე მეყოლოს, მექნეს, ვსთქვა, ვქნა.

\*) ზნისაგან „მაქვს“ ნამყო II არ იხმარება.



პირობითი კილო.

ნამყო (რას ვიზამდი?).

მე შეყოლებოდა, მექნებოდა, ვიტყოდი, ვიზამდი.

ბ ძ ა ნ ე ბ ი თ ი კ ი ლ ო .

ღამტკიცებითი:

ზყავდეს! გქონდეს! სთქვი! ჰქენი!

შარყოფითი I:

აწმყო: ნუ გყავს! ნუ გაქვს! ნუ ამბობ! ნუ შვრები!

მყოფადი: ნუ გეყოლება! ნუ გექნება! ნუ იტყვი!

ნუ იზამ!

შარყოფითი II:

არ გეყოლოს! არ გექნეს! არ სთქვა! არ ქნა!

მ ი მ ღ ე ო ბ ა .

ა წ მ ყ ო .

მყოლი, მექონი (მქონე), მთქმელი, მქნელი..

ნ ა მ ყ ო .

ნყოლი, ნაქონი, ნათქვამი (თქმული), ნაქნა-  
რი (ქმნილი).

**მ უ ო ფ ა დ ი.**

საყოლი, საქონი, საჩქმელი, საქნარი (საქნელი)-

—:—

**შ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი კ ო ლ ო.**

**აწმყო** (რას ვშვრები?).

მე აღვიარებ, შენ აღიარებ, ის აღიარებს; ჩვენ აღვიარებთ, თქვენ აღიარებთ, ისინი აღიარებენ.

**ნამყო I** (რას ვშვრებოდი?).

მე აღვიარებდი, შენ აღიარებდი, ის აღიარებდა; ჩვენ აღვიარებდით, თქვენ აღიარებდით, ისინი აღიარებდენ.

**ნამყო II** (რა ვქენი?).

მე აღვიარე, შენ აღიარე, მან აღიარა; ჩვენ აღვიარეთ, თქვენ აღიარეთ, მათ აღიარეს.

**ნამყო III** (რა მიქნია?).

მე აღვიარებია, შენ აღვიარებია, მას აღვიარებია; ჩვენ აღვიარებია, თქვენ აღვიარებიათ, მათ აღვიარებიათ.

**მყოფადი** (რას ვიზამ?).

მე აღვიარებ, შენ აღიარებ და სხვ. (როგორც აწმყო).

ნ ა ტ ვ რ ი თ ი კ ი ლ ო .

აწმყო (რას უნდა ვშვრებოდე?).

მე აღვიარებდე, შენ აღიარებდე, ის აღიარებდეს;  
ჩვენ აღვიარებდეთ, თქვენ აღიარებდეთ, ისინი აღიარებდენ.

ნამყო I (რა უნდა მექნა?).

მე აღმეარებია, შენ აღგეარებია, მას აღეარებია;  
ჩვენ აღგვეარებია, თქვენ აღგეარებიათ, მათ აღეარებიათ.

ნამყო II (რა უნდა მექნას?).

მე აღმეარებოხს, შენ აღგეარებოხს, მას აღეარებოხს;  
ჩვენ აღგვეარებოხს, თქვენ აღგეარებოხსთ, მათ აღეარებოხსთ.

მყოფადი I (რას ვიზამდე?).

მე აღვიარებდე, შენ აღიარებდე, ის აღიარებდეს  
და სხვ. (როგორც ნატვრ. კილოს აწმყო).

მყოფადი II (რა უნდა ვქნა?).

მე აღვიარო, შენ აღიარო, მან აღიაროს; ჩვენ  
აღვიაროთ, თქვენ აღიაროთ, მათ აღიარონ.

პ ი რ ი ბ ი თ ი კ ი ლ ი,

ნამყო (რას ვიზამდი?).

მე აღვიარებდი, შენ აღიარებდი და სხვ. (როგორც მ. კ. ნამყო I).

ბ ძ ა ნ ე ბ ი თ ი კ ი ლ ი.

დამტკიცებითი:

აღიარე! აღიაროს! აღვიაროთ! აღიარეთ! აღიარონ!

შარყოფითი I:

ნუ აღიარებ! ნუ აღიარებს! და სხვ. (როგორც მ. კ. აწმყო, ნუ-ს მიმატებით).

შარყოფითი II:

არ აღიარო! არ აღიაროს! არ აღვიაროთ! არ აღიაროთ! არ აღიარონ!

მ ი მ დ ე ო ბ ა.

აწმყო.  
აღმსარებელი.

ნამყო.  
აღსარებუდი.

მყოფადი.  
აღსარებელი\*).

—:—

\*) ამ ზმნისაგან საღვთო წერილსა და ძველ შწერლობაში იხმარება ფორმები:

პ ი რ ნ ა კ ლ ი ზ მ ნ ე ბ ი .

პირნაკლი ზმნა იმისთანა ზმნას ეწოდება, რომელიც მარტო მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირში იხსრის, — მაგალითად:

თოვს, წვიმს, ქუხს, ქრის, ცხელა, ცივა, ჯრილა თფილა, თენდება, ღამდება, ბნელა და სხვ.

პირნაკლი ზმნა ყველა კილოსა და ყველა დროზე მიმოიხრის.

შოთხრობითი კილო.

თოვს, თოვდა, ითოვა, უთოვია, ითოვეს.

ნ ა ტ ვ რ ი თ ი კ ი ლ ო .

თოვდეს, ფთოვა, ეთოვოს, ითოვებდეს, ითოვოს.

პირობითი კილო.

ითოვებდა.

შოთხრობითი კილოს ნაშყო III:

მე აღმიარნია, შენ აღგიარნია, მას აღუარნია; ჩვენ აღგვიარნია, თქვენ აღგიარნიათ, მათ აღუარნიათ;

ნატვრითი კილოს ნაშყო I:

მე აღმეარნა, შენ აღგეარნა, მას აღეარნა; ჩვენ აღგვეარნა, თქვენ აღგეარნათ, მათ აღეარნათ;

ნატვრითი კილოს ნაშყო II:

მე აღმეარნოს, შენ აღგეარნოს, მას აღეარნოს; ჩვენ აღგვეარნოს, თქვენ აღგეარნოსთ, მათ აღეარნოსთ.

### ბძანებითი კილო

ითოვოს! ნუ თოვს? ნუ ითოვობ! არ ითოვოს!

— : —

მ ი ჩ ე მ ე ბ ი თ ი ზ მ ნ მ ბ ი .

მიჩემებითი ზმნები მოქმედებითი გვარის ზმნებისაგან კეთდება და გვიჩვენებს, რომ მოქმედება რომელიმე პირის სასარგებლოთ არის დანიშნული; — მაგალითად: მიწერ ნიშნავს შენ ჩემთვის სწერ, გიწერ — მე შენთვის ვსწერ, ვუწერ — მე მისთვის ვსწერ, და სხვ.

მიჩემებითი ზმნა მეორე მომობრის ზმნებისგან შეიწეობითი ზმნის საშვალუბრით კეთდება, — მაგალითად: მიყვარს — მიყვარხარ, გიყვარხარ, უყვარხარ, მიყვარხართ, გიყვარხართ, და სხვ.

თუ მოამქმედი მესამე პირია, მაშინ მიჩემებითი ზმნა ყველა პირში მიმობრის, და თუ მოამქმედი პირი ან მეორე პირია, მაშინ მიჩემებით ზმნას დანარჩენი ორი პირი აქვს; — მაგალითად:

მს მიწერს, გიწერს, უწერს (მას);		გვიწერს, გიწერს (თქვენ), უწერს (მათ);
მამ გიწერ, ვუწერ (მას);		გიწერთ, ვუწერთ (მათ);
შენ მიწერ, უწერ (მას);		გვიწერ, უწერ (მათ).

აგრეთვე, როცა მოამქმედი პირა მრავლობითი რიცხვისაა:

მისინი მიწერენ, გიწერენ (შენ), უწერენ (მას);		გვიწერენ, გიწერენ (თქვენ), უწერენ (მათ);
ჩვენ გიწერთ (შენ), ვუწერთ (მას);		გიწერთ (თქვენ), ვუწერთ (მათ).
თქვენ მიწერთ, უწერთ (მას).		გვიწერთ, უწერთ (მათ).



მიჩემებო ზმნებს ეკუთნის აგრეთვე შემდეგი ფორ-  
მები: მე ვაწერ, შენ მაწერ, ის გაწერს; მე დაგწერ,  
ის დამწერს, თქვენ დაგწერთ, ისინი დაგწერენ და სხვ.

მიჩემებით ზმნებში განსაკუთრებულ როლს ასრუ-  
ლებს თავსართები (პრეფიქსები): მ, გ, მი, გი, გვ, —  
ე. ი. ის თავსართები, რომელიც მეორე მიმოხრის ზმნე-  
ბის დამახასიათებელია ტახვადასხვა პირის ურთიერთ-შორის  
დამოკიდებულებას გვიხატავს.

### მეორე მიმოხრის მიჩემებითი ზმნა.

მოთხრობითი კილო.

აწყო (რას ვწერები?).

მიყვარხარ, მიყვარხართ; გიყვარვარ, გიყვარვართ;  
გვიყვარხარ, გვიყვარხართ; უყვარვარ, უყვარხარ; უყვარ-  
ვართ, უყვარხართ.

ნამყო I (რას ვწერებოდი?).

მიყვარდი, მიყვარდიო; ვუყვარდი (შე მას), უყვარდი  
(შენ მას); ვუყვარდიო (ჩვენ მას ან მათ), უყვარდიო  
(თქვენ მას ან მათ).

ნამყო II (რა ვქენი?).

შემიყვარდი, შემიყვარდიო; შეგიყვარდი, შეგიყვარ-  
დიო; შეგვიყვარდი, შეგვიყვარდიო; შევეყვარდი, შეუ-  
ყვარდი; შევეყვარდიო, შეუყვარდიო.

ნამყო III (რა მიქნია?).

მყვარებიხარ, მყვარებიხართ; გყვარებივარ, გყვარებ-

ბრთ; გვეყვარებიხარ, გვეყვარებიხართ; ვყვარებივარ, ვყვარებიხარ; ვყვარებივართ, ვყვარებიხართ.

შყოფადი (რას ვიზამ?).

მეყვარები, მეყვარებით; გვეყვარები, გვეყვარებით; ვყვარები, ვვეყვარებით; ვეყვარები, ვეყვარებით; ვეყვარებით, ვეყვარებით\*).

ნატვრითი კილო.

ნწმყო (რას უნდა ვშვრებოდე?).

მიყვარდე, მიყვარდეთ; გიყვარდე, გიყვარდეთ; გვიყვარდე, გვიყვარდეთ; ვუყვარდე (შე მას), უყვარდე (შენ); ვუყვარდეთ (ჩვენ მას ან მათ), უყვარდეთ (თქვენ ან მათ).

ნამყო I (რა უნდა მექნა?).

მყვარებოდე, მყვარებოდით; გყვარებოდე, გყვარებოდით; გვეყვარებოდე, გვეყვარებოდით; ვყვარებოდე, ვყვარებოდით; ვეყვარებოდით, ვეყვარებოდით.

ნამყო II (რა უნდა მექნას?).

მყვარებოდე, მყვარებოდეთ; გყვარებოდე, გყვარებოდეთ; გვეყვარებოდე, გვეყვარებოდეთ; ვყვარებოდე, ვეყვარებოდეთ; ვეყვარებოდით, ვეყვარებოდით.

შყოფადი I (რას ვიზამდე?).

მეყვარებოდე, მეყვარებოდეთ; გვეყვარებოდე, გვეყვარებოდეთ;

\*) სრული სახის: შემეყვარდები, შემეყვარდებით, შევეყვარდები, შევეყვარდებით და სხვ.

რებოდეთ; გვეყვარებოდე, გვეყვარებოდეთ; ვეყვარებოდე, ვეყვარებოდეთ; ვეყვარებოდეთ, ვეყვარებოდეთ.

მყოფადი II (რა უნდა ვქნა?).

მეყვარო, მეყვაროთ; გეყვარო, გეყვაროთ; გვეყვად  
გვეყვაროთ; ვეყვარო, ეყვარო; ვეყვაროთ, ეყვაროთ

პირობითი კილო.

ნამყო (რას ვიზამდი?).

მეყვარებოდი, მეყვარებოდით; გვეყვარებოდი, გვეყვარებოდით; გვეყვარებოდით, გვეყვარებოდით; ვეყვარებოდით, ვეყვარებოდით; ვეყვარებოდით, ეყვარებოდით.

ბძანებითი კილო.

ღამტკიცებითი:

მიყვარდე! გიყვარდეთ! უყვარდე! უყვარდეთ!  
ყვარდე! მიყვარდეთ! გვიყვარდე! გვიყვარდეთ!

შარყოფითი პირველი.

ა) აწმყო დროის: ნუ გიყვარვარ! ნუ გიყვარვარ  
და სხვ. (როგორც მოთხ. კილ. აწმყო, ნუ-ს მიყვარდით);

ბ) მყოფადი დროის: ნუ გვეყვარები! ნუ გვეყვარებით!  
ნუ ეყვარები! და სხვ. (როგორც მოთხ. კილ. მყოფადი, ნუ-ს მიმტებით).

\*) სრული სახის: შემიყვარდე, შემიყვარდეთ, შეგიყვარდეს, შეგიყვარდეთ და სხვ.

### უარყოფითი მეორე.

არ შეგიყვარდე! არ შეგიყვარდეთ! ან: არ გეყვაროს!  
გეყვაროს! არ გეყვაროს! და სხვ. (როგორც 5 უარ-  
იოს მყოფადი II, არ-ის მიყოლებით).



### დროთა წარმოება.

შპთავრესი დროები, რომლისგანაც ზმნის ეგელა  
არჩენი დრო წარმოებს, არის სამი:

მოთხრობითი კილოს	{	1) აწმყო
		2) ნამყო II
		3) მყოფადი.

1. მოთხრობითი კილოს აწმყოსაგან წარმოებს:

1. ნატვრ. კილოს აწმყო (რას უნდა ვწერებოდე?):

მე ვკითხულობ-დე	ჩვენ ვკითხულობ-დეთ
შენ კითხულობ-დე	თქვენ კითხულობ-დეთ
ის კითხულობ-დეს	ისინი კითხულობ-დენ.

2. მოთხრ. კილოს ნამყო I (რას ვწერებოდი?):

მე ვკითხულობ-დი	ჩვენ ვკითხულობ-დით
შენ კითხულობ-დი	თქვენ კითხულობ-დით
ის კითხულობ-და	ისინი კითხულობ-დენ.

3. ბძანებითი კილოს აწმყო დრო, უარყოფითი:

ნუ კითხულობ! ნუ კითხულობს! ნუ ვკითხულობ-  
კითხულობთ! ნუ კითხულობენ!

II. მოთხრობითი კილონ ნაშყო II-ისგან წარმოიშობ

1. ნატვრ. კილ. ნაშყო I (რა უნდა მექნა?):

მე მ-ე-კითხ-ა	ჩვენ გვ-ე-კითხ-ა
შენ გ-ე-კითხ-ა	თქვენ გ-ე-კითხ-ათ
მას ე-კითხ-ა	მათ ე-კითხ-ათ.

2. ნატვრ. კილ. ნაშყო II (რა უნდა მექნას!):

მე მ-ე-კითხ-ოს	ჩვენ გვ-ე-კითხ-ოს
შენ გ-ე-კითხ-ოს	თქვენ გ-ე-კითხ-ოსთ
მას ე-კითხ-ოს	მათ ე-კითხ-ოსთ.

3. ნატვრ. კილ. მყოფადი II (რა უნდა ვქნა?):

მე ვ-ი-კითხ-ო	ჩვენ ვ-ი-კითხ-ოთ
შენ ი-კითხ-ო	თქვენ ი-კითხ-ოთ
მან ი-კითხ-ოს	მათ ი-კითხ-ონ.

4. ბძანებ. კილ. უარყოფითი II ფორმა:

არ იკითხო! არ იკითხოს! არ ვიკითხოთ! არ ი-  
ხოთ! არ იკითხონ!

III მოთხრ. კილ. მყოფადისაგან წარმოიშობს:

1. მოთხრ. კილ. ნაშყო III (რა მიქნია):

მე მ-ი-კითხავ-ს	ჩვენ გვ-ი-კითხავ-ს
შენ გ-ი-კითხავ-ს	თქვენ გ-ი-კითხავ-თ
მას უ-კითხავ-ს	მათ უ-კითხავ-თ*).

\*) ასე მიმოიხროს ის ზმნები, რომელსაც მყოფადში და  
ლოგება აშ ან აშ აქვს (ვიკითხავ, ვიხილავ, შევსვამ, ჩავი-  
და სხვ.); დანარჩენ ზმნებს, და აგრეთვე ზმნას ვსკვამ, ნაშყო II  
დაბოლოება იმ აქვს: დავსწერ—დამიწერია, ავაშენებ—ამიშ-  
ნია, ვსკვამ—მიჭამია და სხვ.

2. პირობ. კილ. ნამყო (რას ვიზამდი?):

მე ვ-იკითხავ-დი	ჩვენ ვ-იკითხავ-დით
შენ იკითხავ-დი	თქვენ იკითხავ-დით
ის იკითხავ-და	ისინი იკითხავ-დენ.

3. ნატვრ. კილ. მყოფადი I (რას ვიზამდე?):

მე ვ-იკითხავ-დე	ჩვენ ვ-იკითხავ-დეთ
შენ იკითხავ-დე	თქვენ იკითხავ-დეთ
ის იკითხავ-დეს!	ისინი იკითხავ-დენ.

4. ბძანებ. კალ. უარყოფითი I მყოფადი დროის:

ნუ იკითხავ! ნუ იკითხავს! ნუ ვიკითხავთ! ნუ იკითხავთ! ნუ იკითხვენ!

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი,

1. მნებითი გვარის ზმნების მოთხრობითი კილოს ნამყო III და ნატვრ. კილოს ორივე ნამყო რთულ ფორმას წარმოადგენს და კეთდება ვნებითი გვარის მიმღეობისა და შემწეობითი ზმნისაგან; მაგალითად, ზმნისაგან ვიწერები.

მოთხრობითი კ. ნამყო III იქნება:

მე დაწერილვარ	ჩვენ დაწერილვართ
შენ დაწერილხარ	თქვენ დაწერილხართ
ის დაწერილა	ისინი დაწერილან.

ნატვრ. კ. ნამყო I:

მე დაწერილვიყავ	ჩვენ დაწერილვიყავით
შენ დაწერილიყავ	თქვენ დაწერილიყავით
ის დაწერილიყო	ისინი დაწერილიყვენ.



ნატვრ. კ. ნამყო II:

მე დაწერილვიყო	ჩვენ დაწერილვიყოთ
შენ დაწერილიყო	თქვენ დაწერილიყოთ
ის დაწერილიყოს	ისინი დაწერილიყონ*).

2. მეორე მიმოხრის ზმნის ნატვრითი კილოს ნამყოები მოთხრობითი კილოს მყოფადისაგან კეთდება\*\*):

მ, კ. მყოფადია: მე მე-ყვარებ-ა.

ნ. კ. ნამყო I. მე მეყვარებ-ოდა, შენ გყვარებ-ოდა, მას ყვარებ-ოდა; ჩვენ გვეყვარებ-ოდა, თქვენ გყვარებ-ოდათ, მათ ყვარებ-ოდათ.

ნ კ ნამყო II. მე მეყვარებ-ოთეს, შენ გყვარებ-ოდეს, მას ყვარებ-ოდეს; ჩვენ გვეყვარებ-ოდეს, თქვენ გყვარებ-ოდესთ, მათ ყვარებ-ოდესთ.

— : —

ბარემომებითი დამოკიდებული წინადადებანი.

ბარემომებითი დამოკიდებული წინადადება იმდენივეა, რამდენიც არის წინადადებაში გარემოება, — გ. ი. ხუთი: ადგილის, დროის, მიზეზის, მიზნის და ვითარების (იხ. I წლის კურსი, გვ. 22).

I. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

სადაც შენი სთქვა, იქ ჩემიც ნუ დაგაევიწყდება.

ამ მაგალითში პირველი წინადადება მეორეზეა დამოკიდებული; — მაშასადამე, დამოკიდებულის კითხვა იქნება:

\*) მიმღობა დაწერილი და შეშწ. ზმნა ვარ, ვიყავ, ვიყო.

\*\*\*) პირველი მიმოხრის კი—ნამყო II-ისაგან (იხ. გვ. 102).

სად ნუ რაგავიწყდება ჩემიც?

ეს კითხვა გვიჩვენებს, რომ „სადაც შენი სტიქია“ ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ყოფილა.

შენიშვნა. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება იწყება ზმნისართებით: სადაც, საითაც, საითკენაც, საიდანაც და სხვ.; ამ ზმნისართებს მთავარ წინადადებაში ზოგჯერ მიუძღვის ზმნისართები: იქ, იქით, იქითკენ, იქიდან და სხვ.

მაგალითები:

უბედური საითაც ვაიქცა, იქით წაიქცაო. სადაც პრაგვი მტკვარს შეერთვის, იქ ერთხელ ქართველთა სიკოცხლე დულდა. — სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კაცისა მამაცისაგან.

II. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

ჩა ესმა ესე ბულბულსა, შესძახა თავისებურათ.

აქ პირველი წინადადება მეორეზე და მოკიდებული; — მისი სრული კითხვა იქნება:

როდის შესძახა თავისებურათ?

მაშასადამე, ჩა ესმა ესე ბულბულსა არის დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

შენიშვნა. დროის გარემოებითი დამოკიდებულ წინადადებას ახლავს დროის კავშირები: როდესაც, როცა, ჩა, რომ, ჩა, რომ; პირობითი კავშირები: თუ, რომ, თუ რომ; დათმობითი კავშირები: გინდ თუგინდ, თუმცა, თუმცადა.

როცა დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება პირობითი კავშირით იწყება, მას პირობითი წინადადება ვწოდებთ, — მაგალითად:

ზერ მწარე სქამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა; — კარგათ რომ ყოფილგოყავ, მეტ საქმეს გავაკეთებდი.

შენიშვნა. ძავშირით თუ ხშირათ დამატებით დამოკიდებული წინადადება იწყება, — მაგალითად: ვინ მოსთვლის, თუ საქართველოს რამდენი გასაქირი გამოუცთია! — ბრიყვა რა იცის, თუ სწავლა რა განძია!

თუ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება დათმობითი კავშირით იწყება, მას დათმობითი წინადადება ჰქვია, — მაგალითად:

თუმცაღა ბევრს გზრომობთ, მაგრამ მაინც ღარიბათ ვცხოვრობთ; — მე თუ გინდა თავიც მომჭრან, ტანს ვახდეს გასაბერათ, — ვინც არა გავს ძახაბერსა, მე ვერ ვტყვი ძახაბერათ.

#### მაგალითები:

მაშინ იხარებს მწიღნავი, ოდეს მოისთვლის ტევნებასა. — რომ ვინმე ჩიტათ მაქცევდეს, წამს გადავივლო მთებსაო. — ასიც რომ დამკრა, ხმასაც არ გაგცემ. — ზამიქვავდეს მე ეს ენა, თუ რომ ვისმე მივეფარო. — თუმცა ეს კაცი ხასიათით ბოროტსა გავს, მაგრამ გულით კეთილია.

#### III. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

ნადირის მოკვლა ცოდვაა, იმიტომ რომ ყოველი სულიერი ღვთის დანაზადია

ამ მაგალითში მეორე წინადადება პირველზეა დამოკიდებული; — მისი სრული კითხვა იქნება: რატომ არის ნადირის მოკვლა ცოდვა?

მაშასადამე, მეორე წინადადება მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ყოფილა.

**შენიშვნა.** მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება იწყება მიზეზის კავშირებით: ამიტომ რომ, იმიტომ რომ, იმის გამო რომ, იმ მიზეზით რომ, რადგანაც, ვინაიდან. — რთული კავშირები შეიძლება ასე გაიყოს: მთავარ წინადადებაში იქნეს მოქცეული იმიტომ, ამიტომ, ამის გამო, იმ მიზეზით, — დამოკიდებულში კი რომ; — მაგალითად, ზემორე მოყვანილი წინადადება (ნადირის მოკვლა ცოდვაა, იმიტომ რომ ყოველი სულიერი ღვთის დანაბაღა) შეიძლება ასეც ითქვას: ნადირის მოკვლა იმიტომ არის ცოდვა, რომ ყოველი სულიერი ღვთის დანაბაღია.

**მაგალითები:** ზაფხულში იმიტომ ცხელა, რომ მზე დედაიწის პირდაპირ დაჰყურებს. — ბავში შემდეგ კლასში იმის გამო (იმ მიზეზით) ვერ გადავიდა, რომ მუდამ ზარმაცობდა. — რადგანაც (ვინაიდან) მამარი გონიერი და ძლიერამოსილი შეფე იყო, (ამიტომ) მის დროს, საქართველო აჰყვავდა.

#### IV. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

მე კალამი მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს.

ამ მაგალითში მეორე წინადადება პირველზეა დამოკიდებული; — მისი სრული კითხვა იქნება: რისთვის მინდამე კალამი?

ეს კითხვა გვიჩვენებს, რომ აღნიშნული დამოკიდებული წინადადება მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ყოფილა.

**შენიშვნა.** მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება იწყება მიზნის კავშირით რომ (ძველებური

რათა); — ზოგჯერ ამ კავშირს შთაყარ წინადადებაში ზმნისართი „მისთვის“ (იმისთვის) მიუძღვის.

**მაგალითები:** ეს ბავში ძლიერ მონდომებულათ სწავლობს, რომ მშობლები გაახაროს. — მგელი იმისთვის თარეზობს, რომ ცხვარო მოიტაცოს. — „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარფუძღვე წინა ერსა“. — შმიდა ნინო საქართველოს იმისთვის მოვიდა, რომ აქ ქრისტიანობა გაეცრცელებია — შარნაოზი ფარულათ ჯარების შხადებას შეუდგა, რომ საქართველო მაკედონელთაგან გაეთავისუფლებია.

### V. ვითარების გარემოებითი დამოკიდ. წინადადება.

ნავი ისე მიტრინავდა, რომ კაცი თვალს ვერ მისწევდა.

ამ მაგალითში მეორე წინადადება პირველზეა დამოკიდებული; მისი კითხვა იქნება: როგორ მიტრინავდა ნავი?

მაშასადამე, მოყვანელი დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ყოფილა.

**შენიშვნა.** ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება იწყება კავშირებით: რომ, როგორც რომ, როგორც, ვით, ვითარცა, თითქო. ხშირათ ამ კავშირებს შთაყარ წინადადებაში ზმნისართი „ისე“ მიუძღვის.

**მაგალითები:** შიკრიკი ისე გატრინდა, როგორც ტყვია. — ისე მოიქცევი, როგორც პატიოსან კაცს ეკადრებოდეს. — ხსენად, ვით დევნი. — შის ხსივი მთის მწვერვალს აღდგრსით თავს ვსვგოდა, ვით ქალი მამა მობუცსა — „ნაწუთრო კაცსა ყოველსა, ვითა ტაროსი, უბღების“.



## დამოკიდებულ წინადადებათა შესოკლება.

დამოკიდებული წინადადება შეიძლება შევამოკლობოხოლმე და მთავარი წინადადების რამე ნაწილათ ვაქციოთ: თუ დამატებითი დამოკიდებულია — დამატებათ, თუ განსაზღვრებითია — განსაზღვრებათ, და თუ გარემოებითია — იმ გარემოებით სიტყვათ, რა გარემოებისაც არის თვით დამოკიდებული წინადადება (ადგილის, დროის, მიზეზის, მიზნის თუ ვითარების).

| ავილოთ დამატებითი დამოკიდებული წინადადება:

სწავლულნი ამტკიცებენ, რომ ქართული წერა-კითხვა პირველათ შარნაოზის დროს შემოიღესო.

ბქ დამატებითს დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენელათ ზმნა ზის (შემოიღესო); — როცა შემასმენელი ზმნაა, დამატებითი დამოკიდებული წინადადება სახელ-ზმნით შემოკლდება.

მაშასადამე, აღნიშნული დამოკიდებული წინადადება ასე უნდა შემოკლდეს:

სწავლულნი ამტკიცებენ ქართული წერა-კითხვის პირველათ შარნაოზის დროს შემოღებას.

თუ რომ დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემასმენელი შედგენილია, მაშინ დამოკიდებულ წინადადება არსებითი სახელით შემოკლდება\*):

მიცი, რომ შენ გულკეთილი ხარ; —

მს წინადადება ასე შემოკლდება:

ვიცი შენი გულკეთილობა.

\*\*

\*) მს არსებითი სახელი შედგენილი შემასმენელის სახელისაგან უნდა აწარმოონ.



II. ზანსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება  
პიძღვობით შემოკლება, როცა შემასმენელათ ზმნა ზის:  
პაცი, რომელსაც საწყალი ხალხი ებრალება, პა-  
ტივისცემის ღირსია:

ასე შემოკლება:

საწყალი ხალხის შემბრალებელი კაცი პატივის-  
ცემის ღირსია.

თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი  
შედგენილია, მაშინ დამოკიდებული წინადადება ამ  
შემასმენელის სახელით შემოკლება ხოლმე:

ის კაცი, რომელიც კეთილი და პატიოსანია, ყვე-  
ლას უყვარს: —

ასე შემოკლება.

კეთილი და პატიოსანი კაცი ყველას უყვარს.

შენიშვნა. ზანსაზღვრებითი დამოკიდებული წინა-  
დადება მხოლოდ მაშინ შემოკლება, როცა მისი და-  
შწყები განმარტებითი ნაცვალსახელი „რომელიც“ ქვე-  
მდებარეთ არის ნახმარი, ან დამატებათ სახელობით  
ბრუნვაში (იხ. მაგალითები ზევით).

\* \*

III. ბარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

ა) ადგილის: იქ, სადაც არაფერი მტკვარს უერთ-  
დება, ერთხელ ქართველთა სიცოცხლე დუღდა: —

ასე შემოკლება:

არაფრისა და მტკვრის შეერთების ადგილას ერთ-  
ხელ ქართველთა სიცოცხლე დუღდა.

ბ) ღროის: როცა საქართველოში მამარი მეფობდა, ქართველებს ბედნიერი ცხოვრება ჰქონდათ; —

ასე შემოკლდება:

საქართველოში მამარის მეფობის დროს ქართველებს ბედნიერი ცხოვრება ჰქონდათ.

ბ) მიზნის: რუსთველმა სახელი მით გაითქვა, რომ დიდებული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ დასწერა; —

ასე შემოკლდება:

რუსთველმა დიდებული პოემის „ვეფხისტყაოსნის დაწერით გაითქვა სახელი.

დ) მიზნის: შმაწვილები სწავლობენ, რომ სამშობლოს გამოადგენ; —

ასე შემოკლდება:

შმაწვილები სამშობლოს გამოსადგომათ სწავლობენ.

ე) შითარების: ეს ბავში ისე იქცევა, თითქო დარბაისელი კაცი იყოს; —

ასე შემოკლდება:

ეს ბავში დარბაისელი კაცივით იქცევა.

შ შ ნ ი შ შ ნ ა .

ძვეშირის რომის შემწეობით ყოველგვარი დამოკიდებული წინადადება კეთდება:

1. დამატებითი: ეს ყველამ იცის, რომ მგლები გაუმძღარი არიან;

2. ბანხაზღვრებითი: **ღვდამ რომ-სიტყვები მიითქმის**  
დღესაც არ დამვიწყებია;
3. ბარემოვებითი:
- ა) ღროის: ამ ყმაწვილმა სწავლა რომ შეასრულა, იმ წლიდანვე სამსახურშია;
- ბ) აღგილის: შარშან რომ ვცხოვრობდი, წრეულსაც იქ ვცხოვრობ;
- გ) შიშის: ეს კაცი დიდად ბედნიერია, რომ ასე კარგი შეიღობა გამოეხარდნ;
- დ) შიშის: ხშირად უნდა იმოგზავროთ, რომ სხვა დახვა ქვეყანა და ხალხი გაიცნოთ;
- ე) შიშის: მეფე ირაკლი II ისე მამაცათ იბრძოდა, რომ მცირე გუნდით ურიცხვ მტერს ამარცხებდა ხოლმე

რომ-ით შედგენილი წინადადება თუ რომელ დამოკიდებულს ეკუთვნის, ეს კითხვით უნდა გამოვიცნოთ.

რა კითხვა უნდა ზევით მოყვანილს თითოეულ წინადადებასზე.

### სასმანი ნიშნები ბარემოვებითს დამოკიდებულ წინადადებაზე.

დამოკიდებული წინადადება თავისი მთავარი წინადადებისგან შიშით (,) გაიყოფება.

შიშით იქ დაისმის, სადაც ერთი წინადადება თავდევს და მეორე იწყება:

თორმეტი წლისა მაშინ ვიყავი, როცა ბატონმა ხახლას მომაშორა; შენ ბედში მყოფი რომ ძმათ შიგანდვს, ეს ვერაფერი სიყვარულია.

როცა დამოკიდებული წინადადება რთული კავშირებით იმიტომ რომ და მისთვის რომ-ით არის გამო

ხატული, თუ რთული კავშირი ერთად არის; მაშინ მძიმე პირდაპირ მეს წინ დაისმის:

მს ბავში კარგათ ვერ სწავლობს, იმიტომ რომ ზარმატია.

თუ რთული კავშირი ისეა გაყოფილი, რომ პირველი ნახევარი (იმიტომ ან იმისთვის) მთავარ წინადადებაშია, და მეორე (რომ) დამოკიდებულში, მაშინ მძიმე რომ-ის წინ დაისმის:

მს ბავში კარგათ იმიტომ ვერ სწავლობს, რომ ზარმატია. — სიმდიდრე იმისთვის უნდა გვინდოდეს, რომ დაჩაგრულ მოძმეებს შევეწიოდ.

### პრეული მაგალითები:

სადაც სიყვარულია, ლმერთიც იქ სუფევს. — მს ყმაწვილი რომ (როცა) გაიზარდა, ოჯახი ფეხზე დააყენა. — მოსწავლე შკოლიდან დაითხოვეს, რადგანაც ცუდი ყოფაქცევის იყო. — მს ბავშვები კთილობენ, რომ სწავლა შეიძინონ. — ისე უნდა ვიქცევოდეთ, რომ ყველას ვუყვარდეთ: — მანთ თავის ამზანავს, როცა ის ავით იყო, თავდღებით უფლიდა; — ივანე იმიტომ არის ღარიბი, რომ შრომა არ უყვარს; — ივანე ღარიბია, იმიტომ რომ შრომა არ უყვარს.

### სიტყვათა წარმოება.

სიტყვები შედგენილობით იქნება მარტივი და რთული, პირველსახეობითი და წარმოებითი.

მარტივი იმ სიტყვას ეწოდება, რომელიც ერთი ძირის ფორმისაგან შედგება, — მაგალითად: მამა, ძმა, ქალი.

რთული იმ სიტყვას ჰქვია, რომელიც ორის ან მეტი ძირის ფორმისაგან არის შემდგარი, — მაგალითად დედ-მამა, და-ძმა, ქალ-ვაჟი, მავთვალ-წარბა, თავდაბალი, გულკეთილი.

ზ ე ნ ი შ ვ ნ ა.

რთული სიტყვა შუახაზით მაშინ იწერება, როცა თითოეულ ძირს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: დედ-მამა (ე. ი. დედაც და მამაც), და-ძმა, ქალ-ვაჟი და სხვ. — როცა რთულ სიტყვაში ერთი აზრი იხატება, შეერთებულათ იწერება ხოლმე (უხაზოთ): გულკეთილი, წყალწითელი, ცხენისწყალი, თავდადებული, ხმაგაკმედილი, თვალუწვდენელი, ავლადიდება და სხვ.

\* \*

პირველსახეობითი იმ სიტყვას ეწოდება, რომელიც თავდაპირველ ფორმას წარმოადგენს, ე. ი. რომელსაც არავითარი მაწარმოებელი ნაწილაკი არა აქვს მიმატებული, — მაგალითად: კაცი, თავი.

წარმოებითი იმ სიტყვას ჰქვია, რომელიც რამე მაწარმოებელი ნაწილაკით პირველსახეობითი ფორმისაგან არის ნაწარმოები, მაგალითად: კაცური, კაცობრიული, თავიანი, თაოსანი, სათავე, გათავებული.

სხვადასხვა ფორმის მაწარმოებელ ნაწილაკებს ჩასართები ჰქვია ან სუფიქსები \*).

ერთი ძირისაგან, სხვადასხვა ჩასართის საშვალეებით, სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები კეთდება. — ძვილოთ, მაგალითად, ძირი ხელ (ხელი); აქიდან წარმოობს: ხელიანი, ხელოვანი, ხელოვანი, ხელობა, მოხელე, სახელო, ხელეური და სხვ.

\*) თუ ბოლოშია — სუფიქსი, თუ თავში — პრეფიქსი.



სხვადასხვა სიტყვის-ნაწილს სხვადასხვა სუფიქსი აქვს.

I. არსებით სახელთა სუფიქსები:

უნ: ჩიტუნა (ჩიტუნია), წალღუნა, ვაცუნა.

აკ: დანაკი, ქალაკი, გორაკი.

იკ: ივანიკა, ვარიკა, ვირიკა.

უპ: ბარუკა, ცხენუკა, ბეჟუკა.

სა: სასახლე, სახელო, საქათმე, სალორე.

მმ: მეკარე, მებაღე, მეხრე, მემარნე.

მრ: მოქალაქე, მოხარკე, მოხელე.

სი: სიკეთე, სიყმაწვილე, სიბერე.

რბ: ქართველობა, ხელობა, ხელოსნობა, უგულობა, უფულობა, ურჩობა.

მბ: ზედნიერება, ძლიერება, თავისუფლება.

ეთ: მახეთი, იმერეთი, სპარსეთი, ხმელეთი.

ეულ: სპილენძეული, რკინეული, ათეული.

უ მ ნ ი უ მ ნ ა .

არსებითი სახელი, ზევით ჩამოთვლილი სუფიქსების შემწიობით, სხვადასხვა სიტყვის-ნაწილისგან წარმოიძბს:

ა) ზმნებრისაგან: ყვარვა — სიყვარული, სურვა — სურვილი და სხვ.;

ბ) მიმღეობისაგან: მოყვანილი — მოყვანილობა, შედგენილი — შედგენილობა; — აგრეთვე თვით მიმღეობა ხშირათ იხმარება, როგორც არსებითი სახელი: მკითხავი, საქამადი, სათიბი, საწნახელი, საქმელი, სასმელი და სხვ. (იხ. გვ. 62);

გ) არსებით სახელთაგანვე: გიორგობა, მარიაობა, სამეფო, საქართველო, ნასოფლარი, ნაქალაქევი; მე



პურე, მუჩეკმე; ძახეთი, სპარსეთი; მუხნარი, თხილ-  
ნარი; რკინეული, სპილენძეული;

დ) ზედსართავ სახელთაგან: ბედნიერება, მშვე-  
ნიერება; სითეთრე, სილამაზე, სისქე;

ე) რიცხვით სახელთაგან: ერთობა, სამება, ასე-  
ული, ათასეული;

ვ) ნაცვალსახელთაგან: ვინაობა, თვისება.

2. ზედსართავ სახელთა სუფიქსები:

მსპან: ცხენოსანი, ჩოხოსანი, პატროსანი.

მჰპან: ხელოვანი, გულოვანი, სახელოვანი.

იპან: ბაღნიანი, ნაბღიანი, ქვიანი.

იპრ: ბედნიერი, მშვენიერი, ხნისი.

ელ: სოფელი, ქალაქელი, ბარელი.

ურ\*): სოფელური, ქალაქური, მხეცური.

იურ: ღვთიური, ციური, მთიური.

ებურ: ჩვენებური, თქვენებური, მათებური.

მრ: მოთეთრო, მოგძო, მომალლო, მოთფო.

სა: საუმაწვილო, საბავშო, საქალო, საბალო.

ით: ბუნებითი, არსებითი, კრებითი.

ებრ, ებრივ, მებრივ: ჩემებრი, მისებრი, ბუნებ-  
რივი, ღვთაებრივი, კაცობრივი, მამობრივი.

დელ: გუშინდელი, შარშანდელი, მაშინდელი.

მ ე ნ ი მ ვ ნ ა

ზედსართავი სახელი, ზევით მოყვანილი სუფიქსების  
შემწევობით, სხვადასხვა სიტყვასწავლისგან წარმოიშობა:

\*) თუ სიტყვას ძმურს ჩაახლავს, ურ ულ-ათ იქცევა ბუ-  
რთა გურული, თხარს თხარული, ბრთვენი ბრთვენი.

ა) პრსებით სახელთაგან: ბედნიერი, მიწური; მანდილოსანი, სახელოვანი, ტყიანი; საბავშო, საყმაწვილო; ღვთიური, ციური, და სხვ;

ბ) ზედსართავ სახელთაგანვე: მოდილო, მოთეთრო; ქკვიანი, კაცობრიული;

გ) ზმნისართებისაგან: გუშინდელი, შარშანდელი, გუშინდლური, შარშანდლური;

დ) ნაცვალსახელთაგან: ჩვენებური, თქვენებური, ჩემებრივი, თქვენებრივი.

\* \* \*

ჰ. სახელზმნის სუფიქსები:

მბ: გაკეთება, აშენება, დაწყება.

მზ: შემკობა, დაწყობა, დასობა.

მ: კითხვა, ბარვა, კერვა.

მლ: თრთოლა, ყრუოლა, სროლა.

მლ: შივილი, უღივილი, ჩივილი.

მვ: გარევა, გარჩევა, გათრევა.

### შ ე ნ ი შ ვ ნ მ ბ ი.

თითქმის ყოველი სიტყვის-ნაწილისაგან შეიძლება, ზევით ჩამოთვლილი სუფიქსების შემწეობით, სახელ-ზმნის წარმოება:

ა) პრსებით სახელთაგან: ყმაწვილი — გაყმაწვილება, ბარი — დაბარვა;

ბ) ზედსართავ სახელთაგან: მალალი — ამალლება, თეთრი — შეთეთრება;

გ) ნაცვალსახელთაგან: ჩემი — მიჩემება, თვისი — მითვისება;

დ) რიცხვით სახელთაგან: ასი—გაასება, მეორე—  
გამეორება;

ვ) ზმნისართებისაგან: ახლოს—დაახლოება, შორს  
—მოშორება, და სხვ;

\*\*

4. მიმღეობის სუფიქსები:

ელ: მწერელი, მკეთებელი, მზენელი.

ილ: დაწერილი, შეკერილი, გალესილი.

ულ: გაკეთებული, აშენებული, დაკარგული.

არ\*): მკბენარი, მაწყინარი, დამწვარი.

ნა: ნაშენები, ნაკეთები, განაკეთები.

—:—

### სიტყვის საფუძველი და ძირი.

სიტყვის საფუძველი იმ ნაწილს ჰქვია, რომელიც  
თითოეულს გრამატიკულ ფორმაში არ იცვლება:

პეილოთ, მაგალითად, ზედსართავი სახელი ბედნიე-  
რია. ეს სიტყვა რომ ვაბრუნოთ, ვნახავთ, რომ ნაწილი  
ბედნიერ არივ, რიცხვში უცვლელადაა რჩება; მაშასადამე,  
აღებული სიტყვის საფუძველი არის ბედნიერ.

სხვადასხვა ნაწარმოებ ფორმაში ერთი ძირის სიტყ-  
ვა სხვადასხვა საფუძველი ექნება. მაგალითად, ზევით  
დოკუვანილი სიტყვიდან ნაწარმოები ფორმებია:

ა) პრსებიოვი სახელი ბედნიერება: საფუძველი  
იქნება ბედნიერებ;

\*) თუ სახელზმნან ძირში რ ახლავს, სუფიქსი არ აღ-  
იქცევა: ვაშრობა—გამშობალი, ვაქრობა—გამქრალი, ვა-  
რილი—მყვირალი, ტირილი—მტირალი.

ბ) მიმღეობა გაბედნიერებული: საფუძველი იქნება გაბედნიერებულ;

ბ) ზმნა აწმყო დროში ვბედნიერდები (ბედნიერდები, ბედნიერდება და სხვ.); საფუძველი იქნება ბედნიერდები, და სხვ.

სახელებში საფუძველი ნათესაობით ბრუნვაში უნდა მოვსდებნოთ: როცა დაბოლოებას ის (სი)-ს მოვაშორებთ, რაც დარჩება, ის იქნება საფუძველი; მაგალითად: კედელი: ნათ. ბრ. კედლის, — საფუძველია „კედლ“.

\*\*

სიტყვის ძირი იმ ნაწილს ჰქვია, რომელიც უცვლელათ რჩება ყოველგან, რა ფორმაც უნდა ვაწარმოოთ.

სიტყვის ძირი ასე მოიძებნება: უნდა გავარჩიოთ აღებული სიტყვის თავი და ბოლო; რაც თავსა და ბოლოში მაწარმოებელი ნაწილაკები ჩამატებული აქვს, ყველა უნდა მოვაშოროთ, და რაც ამას შემდეგ დარჩება, ის იქნება წმინდა ძირი.

პვილოთ, მაგალითად, ფორმა გაბედნიერებული. ამ სიტყვას თავში ახლავს თავსართი ბა; ბოლოში ახლავს: ა) დაბოლოება ი, ბ) ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობის სუფიქსი ულ, გ) სახელზმნის სუფიქსი მბ, დ) ზედსართავი სახელის სუფიქსი იმრ და ე) კეთილზმოვანებისათვის ჩართული ხმა ნ. — შველა ნაჩვენები მაწარმოებელი ნაწილაკი რო მოვაშოროთ, დარჩება წმინდა ძირი „ბედ“. — აქიდან რა ფორმაც უნდა ვაწარმოოთ, ძირი ბედ ყოველგან უცვლელათ დარჩება:

ბედნიერი, უბედური, გაბედნიერება, საბედნიერო, გაბედვა, გაუბედავი და სხვ.



## მეოთხე წლის აზრსი.

### რთული წინადადება.

მთავარ წინადადებას და მასზე გადაბმულს დამოკიდებულ წინადადებას, რამდენიც უნდა იყოს, ყველას ერთი რთული წინადადება ჰქვია; — მაგალითად:

თუ გნებავთ, ამასაც კი ვიტყვი, რომ ნადირაბა ცოდვია.

ამ რთულ წინადადებაში მეორე წინადადება მთავარია, პირველი და მესამე — დამოკიდებული.

დამოკიდებული წინადადება არა მარტო მთავარს, არამედ დამოკიდებულსაც ემორჩილება, — მაგალითად: ვიცით, რომ არ შეშინდება გული მეფის ღიმიტრისა, როცა ნდომობს თავგაწარვას დიდი საქმე ქვეყნის ხსნისა.

ამ რთულ წინადადებაში პირველი წინადადება მთავარია, მეორე და მესამე — დამოკიდებული. პირველი დამოკიდებული (რომ არ შეშინდება გული მეფის ღიმიტრისა) მთავარს ემორჩილება (კითხვა: რა ვიცით?). მეორე დამოკიდებული კი — პირველ დამოკიდებულ წინადადებას (კითხვა: როდის არ შეშინდება გული მეფის ღიმიტრისა?).

### კვირდი.

აზრი ან მარტივად, ე. ი. სხვადასხვა მოკლე წინა

დადებით გამოითქმის, ხნ პერიოდულად, ე. ი. რთულად.  
პერიოდი იმისთანა რთულ წინადადებას ჰქვია, რომელიც ხელოვნურათ არის შედგენილი, მთავარისა და დამოკიდებულ წინადადებათა ერთმანეთზე წყობილათ გადაბმით; — მაგალითად:

„შითა ეთერი, მზეთუნახავი,  
— საყვარლის მლოდე თრთის და კანკალებს,  
სახეს ვარდისფრათ იღებავს გრძნობით  
და იელვარებს სურვილით ბვალებს, —  
† ისე განთიადს ცისკრის ვარსკვლავი \*)  
ლაყვარად ცაზედა კაშკაშით თრთოდა  
და, ფერმიხდილათ ნათელძლიერი,  
მზისა ამოსვლას ეშხით შესტრფოდა“,  
(„თორნიკე მრისთავი“, პაკისა).

პერიოდი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში თითქმის ყოველთვის დამოკიდებული წინადადებებია მოთავსებული; ეს ნაწილი ხმის ამაღლებით იკითხვის — და ამიტომ მას მაღალი ეწოდება. — მეორე ნაწილი უმეტესათ მთავარ წინადადებათაგან შედგება; ეს ნაწილი ხმის დადაბლებით იკითხვის — და ამიტომ მას დაბალი ჰქვია.

დაბალი და მაღალი რაც უფრო თანხსწორია, მით პერიოდიც უკეთესი ღირსების იქნება. მაგალითად, ზევით მოყვანილ პერიოდში მაღალი თავდება სიტყვით „თვალეებს“, და დაბალი იწყება სიტყვით „ისე“. ეს პერიოდი ზომიერათ არის დაწყობილი, ე. ი. მაღალში თითქმის იმდენივე წინადადებაა და იმ ზომის, რამდენიც და რა ზომისაც დაბალში.

\*) სადაც ნიშანი † ხის, იქ პერიოდის მეორე ნაწილი იწყება.



სიმეტრიული ნაწილებისაგან არის შემდგარი, მაგალითად, შემდეგი პერიოდი:

„როცა სადილს შემდეგ ცოლ-ქმარი ლაზათიანათ გამოიძინებდა, როცა ნიაფი სალამოს ფრთას გაშლიდა და ბაღის ღობის გძლიათ გამოწოლილი ჩრდილი ეზოს მოადგებოდა, — † მაშინ კნეინა ღარჯანი ერთს ბალანგაცვენოლ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და თავმომწონე პატარძალივით თავდახურული, წარბებაქიმული და გამოპრანკული დაბძანდებოდა ხოლმე“.

(ილ. შავჭ. „ბაცია-ადამიანი“).

პგრეთვე ლაშათ დაწყობილია შემდეგი პერიოდი, თუმცა მაღალი ზომით დაბალსა სქარბობს:

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა  
მრბნი, არწიენი ვერ შეხებიან,  
სად წვიმა-თოვლნი, ყინულათ ქმნილნი,  
მზისგან აროდეს არა სდნებიან,  
საუ ლდაბურსა მას მყუდროებას  
ბაცთ შრიამული ვერ შესწვდენია,  
სად შეუფება ქეჭა-ქუხილსა,  
შინულს და ქართა მხოლოდ შეთენია, —  
† უწინდელ დროში ღვთისა მოსავთა  
ბამოუქვაბავთ მუნ მონასტერი —  
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს  
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ვერი“.

(„ბანდეგილი“, ილ. შავჭ.).

ზომიერება არ არის დაცული შემდეგ პერიოდში:

„შინ არ შეესტრფით მას ადგილს, † სად  
აგვეხილნეს პირველ თვალნი,  
სად რბილია მზიარული სიყმაწვილე ნათლათ ჩენი,

ნად გვეფარვიდა ნებიერათ ხვევნა აღერსით მშობლისა  
და სად აგვენთო პირველათ გულს ცეცხლი სიყვა-  
რულისა?!“...\*)

ამ პერიოდის მალაღი ერთის მთავარი წინადადე-  
ბისაგან შედგება (ვინ არ შევსტრფით მას ადგილს), და  
დაბალი კი — ოცზე მეტი წინადადებისაგან. მს იმით არის  
ცუდი, რომ ლექსის კითხვის დროს მთავარი წინადადება  
მკითხველს ავიწყდება და აზრი დაუსრულებლათ ეჩვენება.

აგრეთვე შემდეგი პერიოდები არ არის ზომიერი:

1. „შით უსაქურვლოთ მამაცი

ოქში გულადათ ლომობდეს,

ბაცოფებული გულბრაზათ

ვეფხვი უკლანჭოთ ომობდეს,

შერ აასრულოს საწადი,

რაც ნებაგს, მისთვის ღონობდეს, —

† მგრეთ ჭკვიანი უწრფენელი

შერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს“.

(დავით ბურამიშვილისა).

2. „შით მამალი სხვის მამალსა

დამტერდეს და წაეკიდოს,

მას სცემოს და თვით იცემოს,

დაქოჩროს და დაეკიდოს,

რა ორივე დაღალული

ძაღლმა ნახოს, პირი ჰკიდოს, —

† მგრეთ ძართლი და ძახეთი

ღარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს“.

(მისივე).

\*) სამი ხანა კიდევ არის მეორე ნაწილში (იხ. ზრიგ. ორბე-  
ლიანის ლექსი „სადღეგრძელო“)

რაგვარის დამოკიდებული წინადადებებითაც არის  
 მაღალი გამოხატული, იმის მიხედვით პერიოდი იქნება:  
 1) მიზეზის, როცა მაღალი მიზეზის გარემოებითი წინა-  
 დადებებისაგან შედგება; 2) პირობითი, როცა მაღალში  
 პირობითი წინადადებებია; 3) მიმდევრობითი, როცა  
 პერიოდი დროის ან ადგილის გარემოებითის დამოკი-  
 დებულ ი წინადადებებით იწყება; 4) შედარებითი, როცა  
 მაღალში შედარებებია; 5) მიზნის, 6) დამატებითი,  
 7) განსაზღვრებითი.

ჩვენ-მიერ ზევით მოყვანილ პერიოდებში მეორე და  
 მესამე (ილ. ჭავჭ. „ძაცია აღამ.“ და „ზანდევლიდან“)   
 მიმდევრობითია; მეოთხე („შინ არ შევსტრფით მას ად-  
 გილს“) განსაზღვრებითია; დანარჩენი კი, ე. ი. პირვე-  
 ლი და ორი უკანასკნელი — შედარებითი პერიოდებია.

შ ე ნ ი უ ვ ნ ა .

პერიოდში იმ ადგილას, სადაც პირველი ნაწილი  
 თავდება, დაისმის სასვენი ნიშანი მძიმე და ხაზი (,—).  
 ამ ნიშნის მაგიერ ზოგჯერ იხმარება აგრეთვე ორწერ-  
 ტილი (: ) და წერტილ მძიმეც (;)

—:—

ბ რ უ ნ ა ვ ა თ ა ხ მ ა რ ე ბ ა .

I. ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა დ ა ი ს მ ი ს :

1. ვ ნ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი ს ზ მ ნ ე ბ ს უ ე მ დ ე ვ ყ ვ ე ლ ა კ ი ლ ო ს ა  
 და ყ ვ ე ლ ა დ რ ო შ ი :

ე მ ლ ა ბ	{	იწერება, იწერებოდა, დაწერილა, დაიწერება; იწერებოდეს, დაწერილიყო, დაწერილიყოს, დაიწე- რებოდეს, დაიწეროს; დაიწერებოდა; დაიწეროს! ნუ დაიწერება! არ დაიწეროს!
-----------------------	---	--

2. შემწერობით ზმნას შემდეგ ყველა კილოსა და ყველა დროში:

ბ ა ვ შ ი { არის, იყო, იქნა, ყოფილა, იქნება; იყოს, ყოფილიყო, ყოფილიყოს, იქნებოდეს; იქნეს; იქნებოდა; იყოს! ნუ იქნება! არ იქნეს!

3. საშვალთ გვარის იმ ზმნებს შემდეგ, რომელიც მ. კ. აწმყო დროში პირვ. პირში მბი-სა და მპი-ზე ბოლოვდება:

ბ ა ვ შ ი { იზდება, იზდებოდა, გაიზარდა, გაზდილა, გაიზდება; იზდებოდეს, გაზდილიყო, გაზდილიყოს, გაიზდებოდეს, გაიზარდოს; გაიზდებოდა; გაიზარდოს! ნუ გაიზდება! არ გაიზარდოს! ეჩვევა, ეჩვეოდა, შეეჩვია, შეეჩვევია, და სხვ

4. საშვალთ გვარის უკანონო ზმნებს შემდეგ:

ბ ა ვ შ ი { ზის, წევს, ღვას, შიდის; იჯდა, იწვა, იღვა, მიდიოდა; იჯდეს, იწვეს, იღვეს, მიდიოდეს; დამჯდარა, დამღვარა, დაწოლილა, წასულა, დაღვეს, დაჯდეს და სხვ.

5. I მიმოხრის მოქმედებითი გვარის ზმნები სახელობით ბრუნვას შემდეგ დროებში თხოულობს:

ა) მოთხრობითი კილოს ყველა დროში, ნამყო II-სა და ნამყო III-ს გარდა:

სწერს, სწერდა, დასწერს { ბ ა ვ შ ი.

ბ) ნატვრითი კილოს აწმყოსა და მყოფად I-ში:

სწერდეს, დასწერდეს { ბ ა ვ შ ი.

გ) ბძანებითი კილოს უარყოფით I-ში: ნუ დასწერს ბავში!

6. საშვალთ გვარის ზმნა, როცა აწმყოში მბი-სა და



მზი-ზე არ ზალოვდება (ვთრთი, ვსეირნობ), იმავე დრო-  
ებში თხოულობს სახელობით ბრუნვას; როგორც მო-  
ქმედებითი გვარის ზმნა:

წი-  
ნი | სეირნობს, სეირნობდა, ისეირნებს, სეირნობ-  
დეს, ისეირნებდეს, ნუ სეირნობს! ნუ ისეირნებს!

7. სახელობითი ბრუნვა იხმარება ყველა იმ სი-  
ტყუას შემდეგ, რომელიც რიცხვს ან ზომას აღნიშნავს:  
ასი ბავში, ნახევარი ვაშლი, ორი გირვანქა სა-  
ნთელი, ერთი კოკა ღვინო, ხუთი ოზმა ქალაღდი, სამი  
თოფი ჩითი.

## II. ნათესაობითი ბრუნვა იხმარება:

1. განსაზღვრების აღსანიშნავათ: ბავშის წიგნი,  
სახლის პატრონი; წყაროს წყალი, ვაშლის ხე, ოფი-  
ლისის ქალაქი, სურამის მთა; ორი წლის ყრმა, ასი  
წლის ბებერი, ათასი წლის ისტორია.

2. შედარებით ხარისხს შემდეგ: ენის უტკბესი,  
ქვეყნის უკეთესი, მთის უმაღლესი.

3. ზოგიერთ ზედსართავ სახელს შემდეგ: საჩუქ-  
რის ღირსი, ღომის მზგავსი, თავისი ბედის კმაყოფილი.

4. ზოგიერთ ზმნას შემდეგ: ავაზაკის მეშინია,  
ღედ-მამის შერიდება, ცუდი საქმის მრცხვენია, მეგობ-  
რის მენათრება, და სხვ.

\*\*\*

## III. მიცხმითი ბრუნვა იხმარება:

1. დროის აღსანიშნავათ: როდის?—დილას, საღა-  
მოს, აღდგომას, შობას, დღეს, შაბათს, ოცდახუთ  
დღეკმბერს.

2. ადგილის აღსანიშნავათ (გეოგრაფიულ საკუთარ სახელებთან): სად შიდიხარ? — საფრანგეთს, შიფილისს, ქახეთს, სოფელ საჯავახოს.

3. როგორც დამატება იმისთანა ზმნებს შემდეგ, რომელიც ურთიერთობას აღნიშნავს: ვეკუთნი, ვეცანები, ვეთამაშები, ვესუტები, ველაპარაკები, ველტვი, და სხვ., — მაგალითად: ბავში დედას ეხუტება, ლეკვი ბავშს ეთამაშება, ეს წიგნი წინას ეკუთნის.

4. მეორე მიმოსრის ზმნებს შემდეგ, როგორც ქვემდებარე, ყველა კილოსა და ყველა დროში:

ბავშს { უყვარს, უყვარდა, შეუყვარდა, ჰყვარებია, ეყვარება, უყვარდეს, ჰყვარებოდა, ჰყვარებოდეს, ეყვარებოდეს, ეყვაროს, ეყვარებოდა, და სხვ.

5. მიჩემებით ზმნებს შემდეგ, როგორც დამატება, — მაგალითად: შენ გიკეთებს, როგორც თავის მეგობარს; ანდრომ ამხანაგს, წიგნი გაუფაჯნა; მამამ შვილს სახლი აუშენა.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ა

მიჩემებით ზმნებს შემდეგ ორკეცი მიცემითი ბრუნვა იხმარება: მე ჩემს მამას წერილსა ვსწერ, ამ ამბავს გიორგის შევუთვლი და სხვ. (ორკეცი მიცემითი ამ შემთხვევაში ყველა დროში იხმარება, გარდა მოთხრ. კილოს ნამყო II-ისა და ნამყო III-ისა და ნატვრ. კილოს ორივე ნამყოსა და მყოფადი II-ისა).

6. მოქმედებითი გვარის ზმნა ქვემდებარეს მიცემით ბრუნვაში თხოულობს შემდეგ დროებში: მოთხრ. კილოს ნამყო III-ში და ნატვრ. კილოს ორივე ნამყოში, — მაგალითად:



ბ ა ვ შ ს

}	წერილი დაუწერია,
	უნდა დაეწერა,
	უნდა დაეწეროს.

ამავე დროებში ქვემდებარე შიცემით ბრუნვაში და-  
ისმის აგრეთვე საშვალო გვარის იმ ზმნებს შემდეგ,  
რომელიც აწმყოში მბი-სა და მვი-ზე არ ბოლოვ-  
დება (ვთრთი, ვცურავ): ბავშს უთრთოლია, ბავშს  
უნდა ეცურა, და სხვ.

თუ პირველი მიმოხრის მოქმედებითი გვარის ზმნა  
აწმყოში ან. მისგან ნაწარმოებ დროებში ზის, შიცემით  
ბრუნვაში დამატება დაისმის:

ბავში წერილსა ხწერს, ხწერდეს, დასწერდა, ნუ  
ხწერს, ნუ დასწერს.

IV. მოთხრობითი ბრუნვას იხმარება:

I. ფიცის აღსანიშნავათ: ჩემმა (შენმა, ჩვენმა,  
თქვენმა) მზემ, სიცოცხლემ, ღღემ და სხვ. ძველათ  
ხმარობდნ: თავმან მეფისამან, ე. ი. მეფის თავს ვფიცავ.

2. მოთხრობით ბრუნვაში დაისმის ქვემდებარე  
მოქმედებითი გვარის ზმნების შემდგომ დროებში:  
მოთხრ. კილ. ნამყო II-ში, ნატვრ. კილ. მყოფად II-სა  
და ბძანებ. კილოს უარყოფილ II-ში:

}	დასწერა; უნდა დასწეროს;
	არ დასწეროს!

ამგვარივე მართველობა აქვს საშვალო გვარის იმ  
კანონიერ ზმნებსაც, რომელიც აწმყო დროში მბი-სა და  
მვი-ზე არ ბოლოვდება (ვთრთი, ვრბი, ვცურავ და სხვ.):

}	იცურა; უნდა იცუროს;
	არ იცუროს!

3. შევმდებარეს მოთხრობით ბრუნვაში თხოულობს ზმნა ვიცი, როცა მოთხრობითი კილოს აწმყოში ან მისგან ნაწარმოებ ღროებში ზის:

ბ ა ვ შ მ ა { იცის, იცოდა, იცოდეს, ნუ იცის!

\* \*

### V. მოკმედეგითი ბრუნვა იხმარება:

1. ზოგიერთ ზედსართავ სახელს შემდეგ: სავსე (ავსებული), მდიდარი, ლამაზი, წრფელი, სასტიკი, ბედნიერი და მზგ? სხვ.—მაგალითად: ღვინით სავსე ჭიქა, ფულით მდიდარი კაცი, შენ გულით წრფელი ხარ, ეს კაცი სახით ლამაზია.

2. ზოგიერთ ზმნას შემდეგ, საშვალეების ან იარაღის აღსანიშნავათ: ხეს ცუდდით სჭირან;—ხარს ბაწრით აბმენ;—კალმით ვსწერთ;—ღვთის წყალობით (ღვთით) კარგათა ვართ.

3. პითხვაზე „საიდან“—ძველ უნაში მოქმედებითი ბრუნვა იხმარებოდა: წყალი მთით გადმოქუხს, ეს კაცი თიფლისით მოვიდა და სხვ.—ახლაც იხმარება ეს ფორმა, თუმცა იშვიათად; ახლა უფრო ხშირათ თანდებულიანი ფორმა იხმარება: წყალი მთიდან გადმოქუხს, ეს კაცი თიფლისიდან მოვიდა (მთით-გან, თიფლისით-გან).

\* \*

### VI. მწეებითი ბრუნვა იხმარება:

1. ადგილის აღსანიშნავათ: მოვიდა ქვეყნათ, ამალლდა ზეცათ.

2. პითხვაზე როგორ? (ვითარებითი ზმნისართები, წინადადებაში—ვითარების გარემოება): ვანო კარგათ სწავლობს, სანდრო ცუდათ იქცევა.

3. მიზნის გარემოების აღსანიშნავათ: რეგულების საყიდლათ წავედით, წიგნის საკითხავათ მოვედით.

4. შასის აღმნიშვნელ ზმნებს შემდეგ: ერთ აბა-  
ჯათ ღირს, მანეთად აჯასებს, თუმნათ გავყიდეთ, ოც  
მანეთად დაჯდა.

5. იმ ზმნებს შემდეგ, რომელიც დაყოფას ნიშნავს:  
მრ ნაწილათ გაიყვეს, სამათ გასჭრეს, თანასწო-  
რათ გაინაწილეს, ორათ გახლიჩეს, ნაკუწ-ნაკუწათ  
დაგლიჯეს.

6. იმ ზმნებს შემდეგ, რომელიც საგნის მდგომა-  
რეობის გამოცვლას გვიჩვენებს: მს კაცი მხეცათ გა-  
დაიქცა; ბიორგი უფროსათ დააყენეს (დანიშნეს); ქობი-  
დიდ სახლათ გადააკეთეს.

\* \*

### შენიშვნები ზმნების შესახებ.

1. ზმნების პიროვან დაბოლოებაში, აწმყოსა და  
მყოფადში და მათგან ნაწარმოებ დროებში, ის თანხმო-  
ვანი იხმარება ხოლმე, რომელზედაც სახელზმნის საფუძ-  
ველია დაბოლოებული.

პობა—ვაპობ, ვაპობდი, დავაპობ;

კრეფა—ვკრეფ, ვკრეფდი, მოვკრეფ;

კარგვა—ვკარგავ, ვკარგავდი, დავკარგავ;

კითხვა—ვიკითხავ, ვიკითხავდი, წამიკითხავს;

ნუ წაიკითხავ!

ხვნა (უნდა იყოს ხნვა)—ვხნავ, ვხნავდი, მიხნავს,  
დავხნავდი და სხვ.

მაშასადამე, -არ შეიძლება ვიხმაროთ: ვიკითხამ, ვნა-  
ხამ, დავსწერამ, მიწახამს, წამიკითხამს, დაუკრამ, და

სხვ.; აგრეთვე უკანონო ფორმები: სვავს, ურტყავს, იზავს, ეუბნევა და სხვ. (უნდა: სვამს, ურტყამს, იზამს, ეუბნება).

2. როცა I მიმოხრის ზმნა მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირში აშს-ზე ბოლოვდება და ამ ფორმაში ერთ-მარცვლოვანზე მეტია, მრავლობითი რიცხვის მესამე პირში ა-ს კარგავს: ის კერავს—ისინი კერვენ, ის ბერავს—ისინი ბერვენ, ის ბედავს—ისინი ბედვენ, ის ხედავს—ისინი ხედვენ.

ა-ს ამ შემთხვევაში კარგავს აგრეთვე ამს-ზე დაბოლოებული ზმნებიც: ის იბამს—ისინი იბმენ, ის იღვამს—ისინი იღვმენ, ის იზამს—ისინი იზმენ.

ზოგიერთი ზმნა მთელ მარცვალს ამ-ს ან ვა-ს კარგავს: ის სვამს—ისინი სმენ, ის იცვამს—ისინი იცმენ.

ბამორიცხვას შეადგენს (ე. ი. არ კარგავს ხმოვანს ა-ს) ზმნები: ისინი ჩაგრავენ, ჩანგლავენ, ცარცვავენ, სწამლავენ, ნათლავენ, ცეკვავენ.

3. აწყო დროში (და აგრეთვე აწყოსგან ნაწარმოებ დროებში) საშვალო გვარის ზმნის დამახასიათებელი ნიშანია მ: ვსეირნობ, ვთამაშობ, ვთარეშობ, ვჯავრობ, ვწვალობ;—მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ ფორმები: ვცხოვრობ, ვმორჩილობ, ვტრიალობ, ვწრიალობ, ვშრიალობ, ვცხოვრობდი, ვმორჩილობდი და სხვ. (და არა ვცხოვრებ, ვმორჩილებ, ვტრიალებ).—

ბოლოში მ (და თავში ა) მოქმედებითი გვარის ზმნის ნიშანია: ვაშენებ, ვახსენებ, ვატენებ.

შენიშვნა. ა-ნისა და მ-ნის შემწეობით საშვალო გვარის ზმნებიდან მოქმედებითი გვარის ზმნები კეთდება:

ვცხოვრობ—	ვაცხოვრებ	ვსეირნობ—	ვასეირნებ
ვთამაშობ—	ვათამაშებ	ვტრიალობ—	ვატრიალებ



4. მოთხრ. კილოს ნამყო I-ში ფორმებია: ხედვიდა, ბედვიდა, სმიდა, კერვიდა და სხვ., იმიტომ რომ ეს დრო აწმყოსაგან კეთდება (იხ. გვ. 101), და აწმყოში კი ასე მიმოიხრის: ვხელავ, ვბელავ და სხვ.; მაშასადამე, უნდა-ვიხმაროთ: ვხელავდი, ვბელავდი, ვკერავდი, ვსვამდი.—ასე უნდა მიმოიხაროთ პირობითი კილოც, რადგან მყოფადისგან წარმოიბს (იხ. გვ. 103):

წავიკითხავ—წავიკითხავდი, ვიზამ—ვიზამდი, ვავბელავ—ვავბელავდი.

ამავე კანონის ძალით უნდა ვიხმაროთ ფორმები: მყავდა, გყავდა, ჰყავდა, გვყავდა, გყავდათ, ჰყავდათ; მგავდა, გგავდა, და სხვ. (და არა მყვანდა, მგვანდა და სხვ.).—ბამორიცხვას შეადგენს მქონდა (და არა მაქნდა).

5. ნამყო III-ში ფორმები გამიბედნია, გამიხედნია, მინახია, წამიკითხია (გინდ წამიკითხნია) და სხვ უკანონოა. ნამყო III მყოფადისაგან წარმოიბს (იხ. გვ. 102) და ორნაირი დაბოლოება აქვს: ს და ია. თუ მყოფადში ზმნა აჰ ან აჰ-ზე ბოლოვდება, მაშინ ნამყო III ს-ზე დაბოლოვდება,—დანარჩენ შემთხვევაში კი ია-ზე.

პეილოთ მყოფადი დრო: წავიკითხავ, შევსვამ,— აქიდან ნამყო III იქნება: წამიკითხავს (წავიკითხავს, წაუკითხავს და სხვ.), შემისვამს (შევისვამს, შეუსვამს და სხვ.).

მაშასადამე, ნამყო III-ში უნდა ვიხმაროთ ფორმები: გამიბელავს, გამიხელავს, წამიკითხავს, მინახავს\*).

\*) ფორმები გამიბელავს, წამიკითხავს და სხვ. არის აგრეთვე მიჩემებითი ზმნის მყოფადი დრო: ის მე გამიბელავს, ის შენ გაგიბელავს, ის მე წამიკითხავს, ის შენ წავიკითხავს, ის ჩვენ წავვიკითხავს და სხვ.

ზამორიცხვას შეადგენს ზმნა ვსქამ: ნამყო III—მი-  
ქამია, გიქამია, უქამია და სხვ.

6. ნამყო II-ში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში  
ორნაირი დაბოლოებაა: მს და მწ.

დაბოლოება მს მოქმედებითი გვარის ზმნებს აქვს  
და აგრეთვე საშვალო გვარის იმ ზმნებს, რომელიც აწმყო  
დროში მბი-სა და მვი-ზე არ ბოლოვდება:

ა. მე ვსწერ—მათ დასწერეს, მე ვკითხულობ—მათ  
წაიკითხეს; ბ. მე ვცხოვრობ—მათ იცხოვრეს, მე ვსეირ-  
ნობ—მათ ისეირნეს.

დაბოლოება მწ აქვს: 1) ვნებითი გვარის ზმნებს  
და 2) საშვალო გვარის იმ ზმნებს, რომელიც აწმყოში  
მბი-სა და მვი-ზე ბოლოვდება:

ა. მე ვიწერები—ისინი დაიწერენ, მე ვიჩაგვრი—  
ისინი დაიჩაგრენ; ბ. მე ვიზღები—ისინი გაიზარდენ,  
მე ვედავები—ისინი შეედავენ, მე ვეჩვევი—ისინი შე-  
ეჩვიენ.

მწ აქვს აგრეთვე საშვალო გვარის უკანონო ზმნებ-  
საც: ვზივალ, ვწევარ, ვდგავარ, მივდივარ,—ისინი და-  
სხდენ, დაწვენ, დადგენ, წავიდენ.

7. იმ დროებში, რომელიც რთული ფორმით მი-  
მოიხრის, ე. ი. მიმღეობითა და შემწეობითი ზმნით, —  
პირველ პირში ხმა მ მარტო შუაში უნდა ვიხმართ,  
შემწეობითი ზმნის წინ:

მე ყოფილვარ, ჩვენ ყოფილვართ; მე ჩაწერილვარ,  
ჩვენ ჩაწერილვართ; მე ყოფილვიყავ, ჩვენ ყოფილ-  
ვიყავით; მე ყოფილვიყო, ჩვენ ყოფილვიყოთ; მე ჩა-  
წერილვიყო, ჩვენ ჩაწერილვიყოთ; მე წასულვარ, ჩვენ  
წასულვართ; მე წასულვიყავ, ჩვენ წასულვიყავით და



სხვ. (და არა გყოფილვარ, წავსულვარ, ჩავწერილიყავით და სხვ.\*).

8. ფორმები: ვიყვე, იყვე, იყვეს, ვიყვეთ (ვიყვენეთ) და სხვ., გავიზარდნეთ, გაიზარდნეთ, დავიხოცნეთ, და სხვ.—უკეთილბოლოვანოა და უკანონოც.—საშვალო გვარის ზმნის ნიშანი აწმყოსა და მყოფად დროში ო-ნია: ვსეირნობ, უნდა ვისეირნოთ, ვწვალობ; უნდა ვეწვალოთ, ვცხოვრობ, უნდა ვიცხოვროთ.—მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ: ვიყო (იყო, იყოს, ვიყოთ, იყოთ, იყონ), გავიზარდოთ, დავიხოცოთ, შევიყაროთ, შევიკრიბოთ, გავიხაროთ (და არა შევიყარნეთ, გავიხარნეთ და სხვ.).

9. არ გარგა ფორმები: დავიწყებდიყო, ქონიყო, ყოლიყო, დავიწყებდიყოს, ქონიყოს და სხვ.; უნდა: დავიწყებოდა, ჰქონოდა, ჰყოლოდა, დავიწყებოდეს, ჰქონოდეს, ჰყოლოდეს.

რთული ფორმით (ე. ი. მიმღეობითა და შემწეობითი ზმნით) მიმოიხრის მხოლოდ შემწეობითი ზმნა (ვარ), ვნებითი გვარის ზმნები (ვიწერები, ვიკითხვი) და საშვალო გვარის უკანონო ზმნები (ვხივარ, ვწევარ და სხვ.): შოფილიყო, დაწერილიყო, ყოფილიყო, დამჯდარიყოს და სხვ.

10. შემდგენი ზმნები ა-ნით უნდა ვიხმაროთ (და არა მ-ნით): ვდგავარ, ვგავარ, ვყავარ, მყავხარ, გგავარ, გავხართ, ვდგავართ, დგახართ და სხვ.

11. ვნახე, წავიღე, ვნახეთ, წავიღეთ, გავიხარეთ (და არა ვნახევი, ვნახევი, წავიღევი, გავიხარენით).

\*) იხ. წინ შემწეობითი ზმნის, ვნებითი გვარისა და უკანონო ზმნების მიმოხრა.

12. **ზაარჩიეთ ერთმანეთისგან ზმნები დაწყება და დაწყობა.**

**დაწყება:** დავიწყე, დამიწყია, დავიწყებ, დაწყებულო.

**დაწყობა:** დავიწყვე, დამიწყვია, დავიწყობ, დაწყობილი.

13. **ზმნისაგან ვზივარ მრავლობით რიცხვში იხმარება ძირი სხდ.: ჩვენ ვისხედით, თქვენ ისხედით, ისინი ისხდენ; ჩვენ დავსხდეთ, თქვენ დასხდეთ; ჩვენ დავსხდებოდით, თქვენ დასხდებოდით; დავსხდეთ! დასხედით!** და სხვ.

აწმყო დროში კი ძირი სხდ მარტო მრავლობითი რიცხვის მესამე პირში უნდა ვიხმაროთ: ისინი **სხედან\***).

14. როცა პირველ პირში მეორე მიმოხრის ზმნას ში ახლავს, მესამე პირში უ-ს მიიმატებს:

მე მიყვარს — მას უყვარს, უყვარდა,

მე მიწდა — მას უწდა, უწდოდა და სხვ.

მაშასადამე, ზმნისგან მიხარია უნდა ვიხმაროთ: **გამიხარდა, გავიხარდა, გაუხარდა, გაგვიხარდა, გაგიხარდათ, გაუხარდათ** (და არა გამეხარდა, გაეხარდა და სხვ.).

15. უფრო კეთილხმოვანია ფორმები: **მივედი, მიხვედი, მივედით, მიხვედით** — ვიდრე ფორმები: მიველი, მიხველი, მიველით, მიხველით.

16. **შენ სწუხხარ, თქვენ სწუხხართ** ორი ხ-ნით უნდა დაიწეროს (ერთი ხ ძირს ეკუთნის და მეორე — შემწეობილ ზმნას).

17. **მან დააარსა, მათ დააარსეს** — სამი ა-ნით უნდა დაიწეროს: ერთი ა თავსართს ეკუთნის (და), მეორე — ზმნის ძირს (არს-ება) და მესამე ნამყო დროის მაწარმობელია.

\*) ნახეთ ამ ზმნის მიმოხრა წინ (გვ. 85—90).

ნამყო II-ის მესამე პირში სამი ა-ნით იწყება ყველა იმ ზმნის ფორმა, რომლის ძირიც ა-ნით იწყება: მან გააადვილა, მათ გააადვილეს, მან დააახლოვა, მათ დააახლოვეს, და სხვ. — **თუ** ზმნა მ-ნით იწყება, ნატვრითი კილ. ნამყოებში სამი მ აქვს: შეერთება — მას შეეერთებია, შეეერთებოვს; მათ შეეერთებიათ, შეეერთებოხთ.

18. ძართული ენის ხასიათის წინააღმდეგია ფორმები: მოკლულიქნა, გადაყვანილიქნა, დამარცხებულ-იქნა, და სხვ.; ამათ მაგიერ უნდა ვიხმაროთ: მოკლეს, გადაიყვანეს, დამარცხეს, ან: მოიკლა, დამარცხდა, დამარცხდენ და მზგ. სხვ.

19. უკანონო ფორმები: ისინი მოიტანებენ, მოიყვანებენ, მოიხმარებენ. მხოლოდობითი რიცხის მესამე პირია: ის მოიტანს, მოიყვანს, მოიხმარს, — მრავლობით რიცხვში ხ-ნის მაგიერ უნდა მივმატოთ დაბოლოება **მნ** — და, მაშასადამე, იქნება: ისინი მოიტანენ, მოიყვანენ, მოიხმარენ.

20. ძანონიერი ფორმებია: ვარგვარ, ვარგხარ, ვარგა, ვარგვართ, ვარგხართ, ვარგან (და არა ვარგივარ, ვარგიხარ, ვარგია და სხვ.). — ამ ორ ფორმას შორის (ვარგვარ და ვარგივარ) ეს განსხვავებაა: ვარგვარ ნიშნავს გამოსადეგი ვარ (საზოგადოთ), ვარგივარ (მარგიხარ, ვარგივარ და სხვ.) მიჩემებითი ზმნაა და ნიშნავს — მე მას გამოვადგები (შენ მე გამოვადგები, მე შენ გამოვადგები) და სხვ.

21. ფორმებს ჩამოცვივდა, ჩამოცვივდება, ჩამოცვივსული სჯობია ფორმები ჩამოცვივინდა, ჩამოცვივინდება, ჩამოცვივინილი: სახელზმნაა ჩამოცვივინა — და ისე მიმოიბრის, როგორც მნა-ზე დაბოლოებული სახელ-

ზმნები, — მაგალითად ჩამოდენა: ჩამოდინდა ჩამოდინდება, ჩამოდენილი.

22. ხმარობენ: ვაწობ, აწობ, აწობს, ვაწობდი და სხვ.; სჯობა ფორმები: ვაწებ, აწებ, აწებს, აწებდი, ამოვაწებ, და სხვ.\*).

23. შადგილოთ ხმა ს ფორმებში: სყიდვა, გასყიდვა, გასასყიდო, და სხვ.; კანონიერი ფორმებია: ყიდვა, გაყიდვა, გასაყიდი, ნაყიდობა (ნაყიდობის ქალაქი) და სხვ. — ს იხმარება სიტყვაში სასყიდელი.

24 უკანონო ფორმები: ვიღწვი, იღწვი, იღწვის, ვიღწვით, და სხვ.; უნდა ვიღვწი, იღვწი, იღვწის, ვიღვწით, იღვწით, იღვწიან.

25. ფორმებში მიღწევა, მივალწიე, მისალწევი და სხვ. ხმა ლ უსაფუძვლოა; ლ-ნით იხმარება მხოლოდ თავსართი ალ (აღჭურვილი, აღვიარებ და სხვ.). მის შემდეგ კი ლ არაოდეს არ იხმარება; — მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ: მიწევა, მივაწეე, მისაწევი.

26. ზმნა აღსარება ახალ მწერლობაში ხშირათ უკანონოთ მიმოიხრის: მე ვაღიარებ, ჩვენ ვაღიარებთ, შენ აღვიარებ, ის აღვიარებს, თქვენ აღვიარებთ, ისინი აღვიარებენ, მე მიღიარებია, შენ გიღიარებია — ოღ სხვ.

ამ ზმნას ზოგიერთი ფორმა უკანონო აქვს, ხოლო საზოგადოთ ისე მიმოიხრის, როგორც თავსართიანი ზმნები, ასე რომ პიროვანი ნიშნები ვ, ბ, ბვ და სხვ. თავსართს შემდეგ დაისმის; ვ მარტო პირველ პირში უნდა (მე აღვიარებ, ჩვენ აღვიარებთ, მე აღვიარებდი, ჩვენ აღვიარებდით და სხვ.\*\*).

\*) შოთა რუსთველიც ე-ს ხმარობს; „თან კალმად მაქვს, კალამი ნაღველთა ამონაწები“.

\*\*) იხ. ამ ზმნის სრული მიმოხრა (გვ. 93—95).

27. ზოგნი ხმარობენ ფორმებს: მეშინიან, მრცხვენ-  
ნიან, მქვიან, მშიან, მწყურიან, შემიძლიან, მიხარიან,  
მწადიან; უმჯობესია უნარო ფორმა: მეშინია, მრცხვენ-  
ნია, მქვია, მშია, და სხვ.

28. ზმნების ზოგიერთ ფორმაში ბგერა ჰ მოისმის  
ხოლმე. მწერლობაში ეს ბგერა განსაკუთრებით ხშირათ  
ძველათ იხმარებოდა, თუმცა ძველათაც ზოგჯერ იგი  
იმისთანა ფორმებშიც კი არ უხმარიათ, როგორაც არიან:  
ქონდა, ყავს, ყვავის, მოკლა და სხვ. ღღევანდელ ხალ-  
ხურ ენაში ეს ბგერა განსაკუთრებით აღმოსავლეთ სა-  
ქართველოში მოისმის, ხოლო მწერლობაში მეტათ  
არეულათ და უწესრიგოთ იხმარება. ცხადათ განსაზღვრულ-  
ლი კანონი ზმნებში ჰ-ს ხმარებისა არც ძველ ენაში  
ჩანს: იქაც არეულათ არის იგი ნახმარი სხვადასხვა პირში  
და სხვადასხვა ზმნაში. ახალ ენაში მისი ხმაღება, ძველ  
ენასთან შედარებით, შემცირებულია—და მწერლობაში  
იგი მხოლოდ იმ ფორმებში უნდა დარჩეს, სადაც აშკა-  
რათ მოისმის. წესრიგი ზმნებში ჰ-ს ხმარებისა დაახლო-  
ებით შემდეგია:

1. ჰ ზმნებში განსაკუთრებით ხორხისმიერი ზმების  
კ, ქ ლ ყ-ის წინ მოისმის: დაჰკარ! ჰქონდა, ჰყვავის ლ სხვ.

2. ჰ ზმნებში მხოლოდ მეორესა და მესამე პირში  
იხმარება: შენ გაჰკვეთე, მან გაჰკვეთა.

3. ჰ იხმარება: ა) ბძანებით-კილოში: დაჰკარ!  
დაჰკარას! ნუ დაჰკრავს! არ დაჰკრა!

ბ) მოთხრ. კილოს აწმყოსა და მყოფადში, ნამყო  
I და ნამყო II-ში შენ ჰკრავ, თქვენ ჰკრავთ, ის ჰკრავს,  
ისინი ჰკრავენ; შენ შეჰკრავ, ის შეკრავს, თქვენ შე-  
ჰკრავთ, ისინი შეჰკრავენ; შენ ჰკრავდი, ის ჰკრავდა,



თქვენ ჰკრავდით, ისინი ჰკრავდენ; შენ შეჰკარი, მან შეჰკრა, თქვენ შეჰკარით, მათ შეჰკრეს.

შენიშვნა. მოთხ. კილოს ნამყო მესამეში ჰ მხოლოდ ორ ზმნას აქვს (მესამე პირში): მას ჰქონია, მათ ჰქონიათ; მას ჰყოლია, მათ ჰყოლიათ.

გ) ნატვრ. ძილოს აწმყოსა და მყოფადში: შენ ჰკრავდე (შეჰკრავდე), ის ჰკრავდეს (შეჰკრავდეს), თქვენ ჰკრავდეთ (შეჰკრავდეთ), ისინი ჰკრავდენ (შეჰკრავდენ); — შენ რომ შეჰკრა, მან რომ შეჰკრას, თქვენ რომ შეჰკრათ, მათ რომ შეჰკრან:

დ) პირობით კილოში: შენ შეჰკრავდი, ის შეჰკრავდა, თქვენ შეჰკრავდით, ისინი შეჰკრავდენ.

ჰ არ იხმარება:

1. მიჩემებით ზმნებში, მაგ. მე ის მიკივის (გარჩიეთ ამისგან: „იგი მას მიჰკივის“), მე ის მიკრავს, ისინი მიკვრენ (გარჩიეთ ამათგან: „იგი მას მიჰკრავს, ისინი მათ მიჰკვრენ“).

2. ხმოვანებს შემდეგ (გარდა თავსართებისა ა, გა, და, წა, ჩა, მი, მო, შე): ეკიდა, ეყარა, იკიდებს, იყრის, იკლავს, იკრავს.

საერთო მაგალითები: „დაჰკრეს ნალარა“; — „სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს“; — „გაჰკრეს — გამოჰკრეს ბრძყალები“; — „ვეზირთა ჰკადრეს“; მას ჰქონდა, ჰქონია, ჰქონოდა, ჰქონოდეს; მას ჰყავს, ჰყავდა, ჰყოლია, ჰყოლოდა, ჰყოლოდეს; მას მიჰყავდა, მათ მიჰყავდათ; — ის გაჰკივის, მიჰკივის, ისინი გაჰკივიან, მიჰკივიან; — მან გაჰყიდა, მიჰყიდა, მათ გაჰყიდეს, მიჰყიდეს (მიჩემებითად კი: მან მე მიყიდა, მათ მიყიდეს).

## ფოტოტიკური კანონები

### I. მაგარი და რბილი ბგერები.

ქართული ანბანის თანხმოვან ბგერებში ზოგჯე მაგარი გამოთქმა აქვს, ზოგს კი რბილი.

პეილოთ, მაგალითად, კბილ-ენისმიერი ბგერები: ტ, ღ, თ .ამ სამ ხმაში ტ მაგრათ და წმინდათ გამოითქმის; ღ-ც მაგრათ გამოითქმის, მაგრამ მომხსოთ; თ-ს კი რბილი გამოთქმა აქვს.

ბაგისმიერ ბგერებში ბ და პ მაგარია, ვ, მ და უ კი რბილი; ხორხისმიერ ბგერებში ბ და პ მაგარია, ხოლო ძ, ლ, ჟ, ხ და ჰ რბილი.

### II. კეთილხმოვანება.

კეთილხმოვანი სიტყვა ის არის, რომელიც გამოასათქმელათ ადვილია და სმენისათვის სასიამოვნო. ქართული ენა კეთილხმოვანებისთვის შემდეგი წესებით ხელმძღვანელობს:

1. ქართული ორთოგრაფიის (მართლწერის) შესახებ ამგვარი კანონი არსებობს: სიტყვა როგორც გამოითქმის, ისე იწერება.

გამოთქმაში მაგარ ბგერასთან მაგარი მოისმის, რბილთან — რბილი, — მაგალითად: ტპბილი, ტპივილი, ტბა, კბილი და სხვ.; თნა, თხრილი, თხილი, თქმა, ფქვილი, ფხიანი და სხვ.

ამ კანონის თანახმად, მაშასადამე, უნდა დაიწეროს: რედაქტორი, დირექტორი, თშილი, თშილისი, ცთუნება, ცთომილი, უცთომა.

2. ჩვენი დროის ქართული ენა, წინააღმდეგ ძველი ენისა, ერიდება ბევრი თანხმოვანის ერთად თავმოყრას:

ა. სადაც ძველ ენაში ბევრი თანხმრავანი ყოფილა, იმისთანა სიტყვებში ახალ ენაში ბევრმა ხმა რ დაკარგა: ბძანება, ხმალი, მთელი, გძელი, მწამს, გაზდა და სხვ;

ბ. ზოგიერთ სიტყვას თავში მ გამოაკლდა: დევი, დივანბეგი, დოგვი, კალია, კვარი, კვირცხლი, მართველი, რგვალი, სუბუჭი, სუნაგი, სუქანი, სწავლული, სხვერპლი, სხვილი, ტევანი, ტკაველი, ტრედი, ფრინველი, შვილდი, წვანილი, წევარი, წვადი, ქვარტლი, ხვედრი და სხვ.;

ბ. ნათესაობითი ბრუნვისგან ნაწარმოებს რთულ სახელებში შუაში იკარგება ს ან თ (ნათესაობითის დაბოლოებათა ბევრები): ტანისამოსი, პირისახე, ცისარტყელა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ნავსადგური, თვალწინ ღ სხვ.;

დ. მეორე მიმოხრის ზმნებში მრავლობითი რიცხვის მეორესა და მესამე პირში ხმა ს იკარგება, რადგან ბევრი თანხმრავანი იყრის თავს ერთად: მე მყავს—თქვენ გყავთ, მათ ჰყავთ; მე მიყვარს—თქვენ გიყვართ, მათ უყვართ.

ამ შემთხვევაში ს რჩება, თუ წინ ხმოვანი მიუძღვის: თქვენ გყავდვით, მათ ეყოლოდით, თქვენ გასმით, მათ ესმით.

ვ. ასო ვ იკარგება მ-ნისა და უ-ნის წინ:

თავი—თაობა, თაოსანი, მეთაური;

ნათესავი—ნათესაობა, ნათესაობრივი, ნათესაური;

წვევა—წვეული, წვეულობა, ვეწვეოდი;

ჩვევა—ჩვეული, ჩვეულება, ვეჩვეოდი დმ სხვ.

ვ იკარგება აგრეთვე შემდეგ სიტყვებში: იპოება, იშოება, იპოებოდეს, იშოებოდეს და სხვ.;

შენიშვნა. თუ ვ-ნის წინ ხმოვანი ი ზის, მაშინ ვ ღარ იკარგება: ტივი, კრძვი, სხვი— ტივობა, კრძვობა, სხივოსანი.

4. ბგერა მ მიმოხრაში ჩაერთვის ზოგიერთ ზმნას, როცა სახელზმნა მბა-სა და მბ-ზეა დაბოლოებული: შეტყობა, დაწყობა, გაძრობა, დათრობა—შევიტყუე; დავაწყე, გავიძვრე, დავათვრე, შემეიტყუა, დამეწყუა; გამიძვრია; — თქმა, სმა, ცმა—ვსთქვი, სთქვას, მითქვამს მისვამს, და სხვ.

5. ზოგიერთ ზმნას კეთილხმოვანებისათვის მიმოხრაში ბგერა ს ჩაერთვის,—სახელდობ იმ ზმნებს, რომელსაც ძირის თავში რომელიმე ამ თანხმოვანთაგანი უზის: ლ, მ, ტ, ც, ძ, წ, ზ;—მაგალითად: დგმა, თიბვა, ტირილი, ცარცვა, ძვრა, წერა, ჭამა, ჯობნა:—სდგამს, სთიბავს, სტირის, სცარცვავს, სძრავს, სწერს, სჭამს, სჯობნის; დასწერა, მისცა და სხვ.

შენიშვნა. ს ამ შემთხვევაში მოქმედებითი გვარის ზმნებს თითქმის ყველას დაერთვის, საშუალო გვარისას კი—მხოლოდ რამდენსამე, მაგალ.: სტყუის, სწუხს, სჯობია (სჯობს), სჭირია (სჭირდება), სჯერა, სტკივა, სწყურია, სღუმს და სხვ.

6. ზოგჯერ კეთილხმოვანება შოითხოვს, რომ თანხმოვანებმა ერთმანეთს ადგილი შეუცვალოს; მაგალითად, კანონიერი წარმოების მიხედვით ცალიერი უნდა იყოს (სიტყვისაგან ცალი), მაგრამ ხმები ლ და რ ერთმანეთს ადგილს უცვლის—და იხმარება ფორმა ცარიელი.

ამ კანონს მეტათეზისი ეწოდება. მეტათეზისის ძალით იხმარება მართლწერა: ხვნა, კვლა, სვლა, ხვრა, წახვლა, დაკვლა,—და საზოგადოთ ერთმარცვლოვანი სახელზმნა როცა მბ-ზე დაბოლოვდება და წინ ლ ან რ ახლიავს, სახელზმნის ჩასართი მ ლ-სა და რ-ს უცვლის ადრავს.

ამავე კანონით უნდა ვიხმაროთ: **ფარანი, თუთხ-მეტი, გაცივრება, აღარ, ველარ.**

**შენიშვნა.** მართლწერა: **შხირი, ოშხივარი, ნაშხირი, სხნა (გასხნა), სხნილი, ძრმის, ქრმის (ქრმიანი) არ ვარგა.**

7. მართული ენა ერთ სიტყვაში ერთისა და იმავე ხმის გამეორებას საზოგადოთ ერიდება. თუმცა მიმლეობას ჩასართი **პრ** აქვს, და არა **პლ** (მაგალითად: **მაქებარი, მკბენარი, მცინარი, მყივარი**), მაგრამ ამ კანონის ძალით, როცა ზნნას ძირში **რ** ურევია, ამ ჩასართში **რ** **ლ**-სათ იქცევა, -- მაგალითად: **წერა, მზერა, მღერა, ყვირილი** — **მწერალი, მომზირალი, მომღერალი, მყვირალი.**

ამგვართვე იხმარება ზედსართავთა ჩასართები **შრ** და **შლ**, — ე. ი. როცა ძირში **რ** ურევია, **შრ**-ის მაგიერ **შლ** იხმარება: **მურია — გურული, იმერეთი — იმერული, ფრანგი — ფრანგული** და სხვ. (როცა ძირში **რ** არ ურევია, ყოველთვის ჩასართი **შრ** იხმარება: **კახური, სოფლური, ინგლისური** და სხვ.)

სიტყვისაგან **ლეღი** უნდა იყოს **ლეღწამი**, მაგრამ, ამავე კანონის ძალით, **ლ** **რ**-თ იქცევა და გამოითქმის **ლერწამი.**

ამ კანონის ძალითვე უნდა ვიხმაროთ მართლწერა: **წრეულს, წრევანდელი, მზგავსი, რბილი, ბარბაღე, მარგალიტა.**

ამ კანონის წინააღმდეგ უნდა დარჩეს მართლწერა: **ერთჯერ, ბევრჯერ, იარჯერ, ორორი, გაცარცვა.**

სიტყვის წმინდა ძირი საზოგადოთ არაოდეს არ იცვლება (იხ. გვ. 119); ერთადერთი ცვლილება, რომე; ლიც ამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, ის არის, რომ



ძიონის რომელიმე ბგერა, გამოთქმის მიხედვით, მონათესავე ბგერათ შვიცვალოს, იმავე ორგანოს ბგერათ: — მაგალითად, ხორხისმიერი მაგარი ბგერა პ რბილ ბგერასთან შეიძლება დარბილდეს და იმავე ორგანოს რბილ ბგერათ — მ-ნათ იქცეს: დირეპტორი — დირეშკია.

8. უცხო ენის (განსაკუთრებით ბერძნულის) ხ-ნის მაგიერ ქართულ ენაში მ იხმარება: ძრისტე, ძროხოლოვია, არძიმანდრიტი, არძეოლოვია, ძალდეველი, არძილი, ძერაბიმი (და არა არხეოლოვია, ხროხოლოვი და სხვ.).

უკანონო. აგრეთვე მართლწერა: ფილოსოფოსი, ფუკიდიდი და სხვ. ხმა ფ არ არის ქართული ხმა და ამიტომ უცხო ენის სიტყვები, სადაც უცხო ენაში ფ იხმარება, ქართულათ ფ-რით უნდა ვსწეროთ: ფილოსოფოსი, ფუკიდიდი, ფილადელფია, ფილანტროპი, ფეოგრაფია, და შრ. სხვ.

9. მწერლობაში ზოგი სიტყვა ხ-ცთაც იხმარება და შ-თაც, შემდეგი სიტყვები შ-ნით სჯობია ვსწეროთ: ტაშტი, ფრშტი, შკოლა, ვშინჯავ, შიმშილი.

10. ძველებური მკა და შა ახლა შემოკლებული მკა-თ: ცხოვარი — ცხვარი, გუარი — გვარი.

ამ კანონით უნდა ვიხმაროთ: საშვალემა, შვადლე, შვამდგომელი, შვაშავალი. — ზმნისართი-თანდებული შუა კი ცალკე უ-ნით იხმარება:

ძეთაისსა და თფილისს შუა.

ზოგიერთ სახელსა და ზმნაში ზოგი მ-ს ხმარობს და ზოგი მკ-ს, ხოლო მკ უფრო ხშირათ იხმარება მწერლობაში — ძველშიც და ახალშიც.

ცოდვა, კვამლი (კომლი მოახლეს ნიშნავს), თვალი, ამილახვარი, დასდვა, სთქვა, ჩაიცვა და სხვ. მ. ნით გამოითქმის სიტყვები: ხომალდი, ხონთქარი, ხორბალი, ხოლმე

11. მართულ ენას პირველსახეობით სიტყვაში (ძირში) ერთასა და იმავე თანხმოვანის ერთ ადგილას გამეორება არ უყვარს, როგორც, მაგალითად, ბერძნულს, ლათინულს, ფრანგულსა და სხვა ევროპიულ ენებს.

ამ კანონის ძალით უცხო ენების სიტყვებიც თითო თანხმოვანით უნდა ვსწეროთ: ეკლესია, გრამატიკა, კომისია, პროგრამა, პროფესორი.

ამ კანონის ძალით მართლწერა ჩჩვილი და თთვე შესაწყნარებელი არ არის. — ამავე კანონით უნდა ვსწეროთ: ანა, სარა, იოანე.

12. სადაც უცხო ენის სიტყვებში მ. იწერება, ქართულათა მ. ნით გამოითქმის, მაგალითად: მოსკოვი, მდესა, კომისია, კომიტეტი, მოტივი, კოლეგია, კორექტურა და სხვ.

## სინტაქსიური კანონები.

1. მსაზღვრელი სიტყვა. — ნათესაობითი ბრუნვით გამოხატულს მსაზღვრელ სიტყვას ზოგი მწერალი სასაზღვრის წინ სვამს (ბავშვის წიგნი), ზოგი კი სასაზღვრის უკან (წიგნი ბავშვისა).

ლექსებში, ლექსის საჭიროების მიხედვით, შეიძლება ორივე წყობილება ვიხმაროთ; პროზაში კი უმჯობესია მსაზღვრელი სიტყვა სასაზღვრის წინ დავსვათ: საქართველოს ისტორია, მამარის მეფობა და სხვ.

2. მოყვანილი სიტყვები. — როცა წინადადებაში სხვისი ნათქვამი სიტყვები მოგვყავს, ამისთანა სიტყვებს მოყვანილი სიტყვები ეწოდება.

**მოყვანილი სიტყვები** პირდაპირი მიმართუით მხოლოდ ლექსებში შეიძლება გამოიხატოს, — მაგალითად:

„**შბრძანა:** „**ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი**“.

პროზაში კი ამ შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ ნაწილაკები: **მეთქი** პირველი პირისათვის, **თქო** მეორე პირისათვის და **ო** — მესამისათვის, — მაგალითად:

**ა.** მე **სიმონს** ვუთხარი, **შენი** შვილი კარგათ **სწავლობსმეთქი**; — **ბ.** **წადი** და **სიმონს** უთხარი, **შენი** შვილი კარგათ **სწავლობსთქო**; — **გ.** **მასწავლებელმა** **სიმონს** უთხრა, **შენი** შვილი კარგათ **სწავლობსო**.

**ჰ.** **შედარებითი ხარისხი ნათესაობით ბრუნვას** თხოულობს. — **ზოგი** მწერალი ხმარობს: **მთაზე უმაღლესი, ენაზე უტკბესი-ო** და სხვ.

შედარებით ხარისხს შემდეგ ქართულ ენას უფრო ნათესაობითი **ბრუნვა** შეშვენის (ძველათაც ასე იხმარება) — და, მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ: **ენის უტკბესი, მთის უმაღლესი, ამის უკეთესი** და სხვ.

**თანდებული ზმ** ამ შემთხვევაში მხოლოდ **ზოგიერთ** ნაცვალსახელთან იხმარება: **ჩემზე** (შენზე, თქვენზე, მათზე) **უკეთესი**.

**თანდებული ზმ** იხმარება აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა **შედარებითი ხარისხი** ზმნისართით არის გამოხატული: **მთაზე უფრო მაღალი, ამაზე უფრო კარგი** და სხვ.

**ფორმა მთაზე მაღალი, ამაზე კარგი** და სხვ. არ ვარგა.

**4. რიცხვითი სახელების მართველობა.** — **ზოგიერთი** მწერალი რიცხვით სახელებს არსებით სახელებთან მრავლობითი რიცხვის ფორმით ხმარობს: **ორნი კაცნი, სამნი ძმანი-ო** და სხვ.

მრავლობითი რიცხვის დაბოლოება ამ შემთხვევაში რიცხვს არაფერს მატებს: გინდ გვითქვამს **ორნი**, **სამნი**, **ხუთნი**, გინდ **ორი**, **სამი**, **ხუთი** — რიცხვი ერთი და იგივე რჩება. მხოლოდობითი რიცხვის ფორმა უფრო მარტივი და კეთილხმოვანია: **ორი** კაცი, **სამი** ძმა, **ხუთი** ბავში, და სხვ.

საზოგადოთ რიცხვის აღმნიშვნელ სიტყვებს შემდეგ (ბევრი, მრავალი, ცოტა, სხვადასხვა, რამდენიმე, ყველა) მხოლოდობითი რიცხვი უნდა ვიხმაროთ: **ბევრი** საქმე, **მრავალი** მსმენელი, **ცოტა** ფული, **სხვადასხვა** ხალხი, **რამდენიმე** ქვეყანა, **ყველა** სახელმწიფო.

მრავლობითი რიცხვის ფორმები: **ორები** (ორნი), **სამები** (სამნი) და სხვ. მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიხმაროთ, როცა გვინდა აღვნიშნოთ **რამდენიმე** **ორი**, **რამდენიმე** **სამი** და სხვ., — მაგ.: **მან**ოს ყველა საგანში **ორები** წარადგინეს.

5. **ნაცვალსახელებისა და კავშირის რუმ** — ის ხმარება. — წინადადებაში უნდა ვერიდოთ ნაცვალსახელებისა და კავშირის **რუმ**-ის ხშირ ხმარებას: არ უნდა ვიხმაროთ ისინი არსად, სადაც კი უმათოდ აზრი გასაგები იქნება, — მაგალითად: ა. მე ჩემს მეგობართან წავედი; **მე** მინდოდა დამემტკიცებია მისთვის, რომ **მე** მართალი ვიყავ. — აქ ნაცვალსახელი **მე** არსად საქირო არ არის, ან შეიძლება მარტო თავში დავსტოვოთ; — ბ. **რუმ** დამარწმუნონ, **რუმ** უცებ გაგამდიდრებთო, უსინიღისობას მაინც არ ჩავიდენ. — აქ მეორე **რუმ** უნდა გამოიტოვოს.

6. **ღრთთა შეთანხმება**. — რთულ წინადადებაში ღრთთა კანონიერ შეთანხმებას ხშირათ არ აქცევენ ხოლმე ყურადღებას, მაგალითად: ა. **ნამყოს** მაგიერ



**მყოფადს ხმარობენ:** შარშან განვიზრახე დაუყონებლივ საზღვარგარეთ წავიდე და ვიაქიმო (უნდა იყოს: წასულვიყავ და მეაქიმებია); ბ. აწმყოს მაგიერ მყოფადს ხმარობენ: ვზივარ ტყეში და ვხედავ, რომ ყურდგელი მომიახლოვდება, ჩირგვში ჩაწვება და ჩაიმალება (უნდა იყოს: მიახლოვდება, წვება, იმალება).

7. პირდაპირი მიმართვა დამოკიდებულ წინადადებაში. — რუსული ენის გავლენით ხშირათ უკანონო კონსტრუქციას ხმარობენ, — მაგალითად: ა. სანდრომ სთქვა, რომ ის თფილესს მიდის; ბ. შენ მეუბნები, რომ მე მდიდარი ვარ, და სხვ. — დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენელი ქართულათ ბმ პირში დაისმის, რომელიც პირდაპირ მიმართვაში უნდა იყოს ხოლმე, — მაშასადამე, ზემოხსენებული წინადადებანი ასე უნდა გამოვსთქვათ: ა. სანდრომ სთქვა — თფილისს მივდივარო; — ბ. შენ მეუბნები — მდიდარი ხარო.

8. ნაწილაკი ც განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებაში. — როცა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ნაცვალსახელით „რომელი“-თ იწყება, მას უთუოთ ნაწილაკი ც უნდა ახლდეს. — ძარბულათ არ შეიძლება ასე ითქვას: ა. მს იმისთანა საქციელია, რომლის გამართლება არ შეიძლება; ბ. ჩვენს სოფელში ერთი შესანიშნავი ცხევა, რომლის აშენებას თამარ მეფეს მიაწერენ, და სხვ.; — კანონიერათ ასე ითქმის: ა. მს იმისთანა საქციელია, რომლის გამართლებაც არ შეიძლება; ბ. ჩვენს სოფელში ერთი ცხევა, რომლის აშენებასაც თამარ მეფეს მიაწერენ \*).

\*) ნაწილაკი ც ამ შემთხვევაში განმარტებითი ნაცვალსახელის რომელიც-ის კუთვნილებაა: ნაცვალსახელს გვეყვება და მის თანამდევარ სიტყვას ემატება.



9. **შემასმენელის აღილი წინადადებაში.**—შემასმენელი შეიძლება წინადადების თავშიც იყოს, შუაშიც და ბოლოშიც. შემასმენელი ქვემდებარის წინ (წინადადების თავში ან შუაში) მაშინ დაისმის, როცა მოქმედებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა,—მაგალ.: საკვირვლათ მიყვარს დაბურულ ტყეში ხის ძირას ჯდომა; — კარგი რამ იყო თავად მათქარიძის სახლკარი. — ჩვეულებრივ საუბარსა და მოთხრობაში კი ქართულ ენას, ლათინური ენის მზგავსათ, შემასმენელი წინადადების ბოლოში უფრო შეშვენის,—მაგალ.: მელამ ოფოტს ჰკითხა: „სამეფო ჯიღა ვინ მოგცაო?“ მფოფმა უპასუხა: „სოლომონ მეფემ თავისი წელით დამადგაო“. მელამ ჰკითხა: „მოწმე ვინა გყავსო?“ მფოფმა უპასუხა: „ერთი სუქანი ბატი და ერთი სუქანი იხვიო“. მელას სიზარულით და სუნავლობით ქკუა და ცნება დაეფანტა, გულში ასე სთქვა: „ოფოფი ერთ ლუკმათაც არ მეყოფა, იხვი და ბატი კი ერთ კვირასაც გამიტანსო“.

10. **უარყოფითი მიმოხრა.** უარყოფის აღმნიშვნელ სიტყვებთან (არავინ, არაფერი, ვერავინ, ვერაფერი, ნურავინ, ნურაფერი) ზმნასთან მეორე უარყოფა (არ, ვერ, ნუ) ხან იხმარება, ხან არა.

მრი უარყოფა (არავინ არ, ვერავინ ვერ და სხვ.) იმ შემთხვევაში იხმარება, როცა უარყოფას განსაკუთრებულ მნიშვნელაბას აძლევენ; მაგალ., არავინ მოსულა — ჩვეულებრივს, მშვიდობიანი კილოთ გამოთქმულ უარყოფას ნიშნავს, ხოლო არავინ არ მოსულა.— ვნებიანს, ბრაზპორეულ კილოს, აღშფოთებას იმის გამო, რომ ერთიკი კი წამლათ არ გაქაქანებულა, ან განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას იმაზე, რომ არავინ მოსულა.— პრაოდეს, ვერაოდეს, ნურაოდეს, ვერავითარ,

ნურავითარ — თან თითქმის ყოველთვის მეორე უარყო-  
ფაც იხმარება: არაოდეს არ, ვერაოდეს ვერ, ნურაოდეს  
ნუ, — მაგ. ვერავითარ საქმეს ვერ ვაკეთებთ, და სხვ.

ს ხ ვ ა ღ ა ს ხ ვ ა ბ ა მ ო თ ვ მ ა .

1. არ შეიძლება ქალის გვარი ქართულათ პირდა-  
პირ ისე ითქვას, როგორც ვაჟის, — მაგალ. ნინო წერე-  
თელი, მარიამ აბაშიძე \*) და სხვ. ამის მაკიერ უნდა  
ითქვას: ნინო წერეთლის ასული (ან ქალი), მარიამ  
აბაშიძის ასული; ან: წერეთლის ასული ნინო, აბა-  
შიძის ასული მარიამი, ნიკოლოზ მრბელიანის ასუ-  
ლი მლენე, და სხვ.

2. პითხვაზე „როდის“ ქართულათ მიცემითი ბრუნვა  
დაისმის, — მაგალითად: დილას, საღამოს, შუადღის  
ხანს, მესამე წელს და სხვ. (იხ. გვ. 126). — მაშასადამე,  
უნდა ითქვას: ოც წელს იმეფა (და არა ოცი წელი),  
ას წელს იცოცხლა, ორ კვირას დარჩა, ორას წელს  
გასძლო და სხვ.

3. უკანონო გამოთქმები: ხილით ვაჭრობს, ფართ-  
ლით ვაჭრობს, ყურდგელზე ნადირობს \*\*) და სხვ.  
უნდა ითქვას: ხილს ვაჭრობს, ფართად ვაჭრობს,  
ყურდგელს ნადირობს.

აგრეთვე არ ითქმის: ბედით კმაყოფილი, სიმდიდ-

\*) ამგვარი გამოთქმა ქართულ მწერლობაში პირდაპირ  
რუსული ენის გავლენით შემოიღეს.

\*\*) რუსული ენის გავლენით შემოუღიათ.

რით იქადის და სხვ., არამედ ბედის კმაყოფილი, სიმდიდრეს იქადის \*).

4. არ ვარგა გამოთქმა: მე რომ შენი ვიყო, ჩვენ რომ თქვენი ვიყოთ და სხვ. ამისთანა აზრი სახელობითი ბრუნვით გამოიხატება, მაგალითად: მე რომ ეს კაცი ვიყო, მე რომ ივანე ვიყო. მაშასადამე, უნდა ესთქვათ: მე რომ შენ ვიყო, ჩვენ რომ თქვენ ვიყოთ \*\*).

5. გამოთქმანი: ტანთ ჩაიცვა, ტანთ გაიხადა, ფეხთ ჩაიცვა, ფეხთ გაიხადა, ფეხთ დაიბანა, ვახშამთ უკან, სადილთ უკან, მუხლთ მოეკეცა, თვალთ დაუბნელდა და სხვ. მძიმე ფორმებია.

ახალ ენას უფრო შეშვების ფორმები: ტანზე ჩაიცვა, ტანზე გაიხადა, ფეხზე ჩაიცვა, ფეხზე გაიხადა, ფეხი დაიბანა, ვახშამს უკან, სადილს უკან, ან: ვახშამს შემდეგ, სადილს შემდეგ, ნაფხაშმეგს, ნასადილეგს, მუხლი მოეკეცა, თვალი დაუბნელდა.

6. არ ვარგა გამოთქმა, მაგალითად, ბიორგი ნინოზვა შეყვარებული, უნდა ითქვას: ბიორგის ნინო უყვარს.

აგრეთვე არ ვარგა გამოთქმები: სხვაზე გაჰყიდა, გლახაკებზე გასცა და სხვ.; უნდა ითქვას: სხვას მიჰყიდა, გლახაკებს დაურჩია.

7. როცა ზმნა მიმართულებას ნიშნავს, გეოგრაფიული საკუთარი სახელი კითხვაზე სად წმინდა მიცემით ბრუნვაში დაისმის, და თუ მდგომარეობას ნიშნავს, თანდებულთ გამოიხატება, — მაგალითად: მივდივარ

\*) უკანონო აქვს ნახმარი ბრ. მრბელიანს ლექსში „სალამო გამოსალმებისა“ — ში „(ღრუბელნი) ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან“; — უნდა იყოს: წარღვნასა ემუქრებიან.

\*\*) ასე იმერეთში იხმარება.

(გავემზავრე, მივაწიე, წავიღე, შევიტანე და სხვ.)  
თფილისს, საფრანგეთს, პარიზს, ლონდონს; მიყავი  
(ვცხოვრობ, ვდგავარ და სხვ.) თფილისში, საფრანგეთ-  
ში, ლონდონში.

8. ზოგიერთი გამოთქმა მრავლობით რიცხვში შემა-  
სმენელათ განსხვავებული ძირის ზმნას თხოულობს:

მზოლ. რიცხვი:	—	მრავლობ. რიცხვი:
ჭიქა გატყდა	—	ჭიქები დაიმტვრა
კაცი მოკვდა	—	ხალხი დაიხოცა
მხედარი მოკლეს	—	ჯარი დახოცეს
ბავში დაჯდა	—	ბავშვები დასხდენ.
ქვა გდია	—	ქვები ყრია.
ქუდი ძეგს	—	ქუდები აწყვია.
სხალს ერთი კაკალი	ჭბია	— სხალს ბევრი ასხია.
ბია ჩამოვარდა	—	ბიები ჩამოცვინდა.

9. აი რამდენიმე გამოთქმა, რომელსაც ბევრი უკა-  
ნონოთ ხმარობს:

ხმარობენ:

უნდა ვიხმაროთ:

- |  |   |  |
|--|---|--|
| 1. რა ღირს? რა დაჯდა?<br>ერთი აბაზი ღირს, ერთი<br>თი მანეთი დაჯდა. | } | როგორ ღირს? როგორ<br>დაჯდა? ერთ აბაზათ ღირს,<br>ერთ მანეთად დაჯდა. |
| 2. ბასტანს, გასტანა.   |   | — გაგძელდება, გაგძელდა.  |
| 3. მან გააგძელა, გააგძელე!   | — | მან განაგრძო, განაგრძე!  |
| 4. დამოკიდებულია ჩემ-<br>გან, კატისაგან და სხვ.                    | } | დამოკიდებულია ჩემზე,<br>კაცზე.                                     |
| 5. დანაშაული ვარ   |   | —  |

- |     |  |   |   |
|-----|--|---|---|
| 6.  | ყენს დაუმარცხდა, მეფეს გაუმარჯვდა, ყველას გაუოცდა. | { | ყენი დაუმარცხდა (ყენი დაამარცხეს), მეფემ გაიმარჯვა, ყველა გაოცდა. |
| 7.  | სასტუმროში გაჩერდენ                                | — | სასტუმროში ჩამოხტენ.  |
| 8.  | ღაიჭირეს ბინა (ეტლი, მუშა და სხვ.)                 | { | ღაიჭირავეს ბინა (ეტლი, მუშა).                                     |
| 9.  | შფროს ერთი   | { | უმეტესი ნაწილი.   |
| 10. | ღმერთი აღარა გაქვს?                                | — | ღმერთი აღარა გყავს?   |
| 11. | რამდენი საათია? საათის ორია.                       | { | რომელი საათია? ორი საათია.  |
| 12. | ცეცხლის შეკეთება, ცეცხლი შეუკეთე!                  | { | ცეცხლის შერთვა, ცეცხლს შეურთე!                                    |
| 13. | ცეცხლა პირას                                       | — | ცეცხლის პირას.  |
| 14. | გზა გვიყავით!                                      | { | გზა გვიტოვით! გზა მოგვეციოთ!                                      |
| 15. | იმისთანად, ამისთანად                               | { | ისე, ასე, იმნაირათ, ამნაირათ.                                     |
| 16. | საჩქაროზე  | — | საჩქაროთ.   |
| 17. | აფსებით სავსე                                      | { | გაქვდილი, გატენილი, მთლათ სავსე.                                  |
| 18. | ფული მიჭირს  | — | ფული მჭირდება, მჭირია.  |
| 19. | ჭურბამდე, ფეხბამდე                                 | { | ყურბამდი, ფეხბამდი (ყურამდი, ფეხამდი).                            |
| 20. | ვიწვნიე, იწვნია                                    | — | ვიგეგე, იგემა.  |
| 21. | რუსების ჯარი, სომხების ახალგაზღობა, ირმების ჯოგი.  | { | რუსის ჯარი, სომხის ახალგაზღობა, ირმის ჯოგი.                       |
| 22. | ნავნები ქნა  | — | ვნება მოიტანა (ავნო).   |



23. ბევრით ნაკლები — ბევრათ ნაკლები.
24. უებით მივდივარ — ქვეითად მივდივარ.
25. შეადარეთ ერთმანეთ-  
თან { შეადარეთ ერთმანეთს.
26. თავი არ მომიკვდება. { თავი ნუ მომიკვდება,  
თავი არ მომიკვდეს
27. ძვალს არ ამჩნევს — კვალს არ აჩენს.
28. ამკვირი, იმკვირია { ამ კვირაში, იმ კვირაში  
(გადაღმა კვირაში)
29. ბალოსანი, ბალოსნო-  
ბა, საბალოსნოსკოლა. { მებალი მებალობა, საბალო  
შკოლა.
30. ნაოსანი, ნაოსნობა — მენავე, მენაობა.
31. ამ მოსწავლეს სულ  
ოთხები ყავს, კარგი  
ნიშნები ყავს { ამ მოსწავლეს სულ ოთხე-  
ბი აქვს, კარგი ნიშნები  
აქვს.
32. ძინალამ არ დაეცა — კინალამ დაეცა.
33. მინამ იცოცხლებ,  
მინამ უნდა იშრომოდ. { სანამ იცოცხლებ, მანამ  
უნდა იშრომო.

ს ი ნ ო ნ ი მ ე ბ ი.

სინონიმები გმისთანა სახელებს ჰქვია, რომელსაც გამოთქმა სწავლასხვაგვარი აქვს, ხოლო მნიშვნელობით ან სულ ერთი და იგივეა, ან თითქმის ერთი და იგივე.

მართისა და იმავე მნიშვნელობის არის, მაგალითად, სახელები: ღოჭო და ღლაფი, თხმელა და მურყანი, კომში და ბია, თავთავი და თაველი; — ცოტაოდენი განსხვავება არის, მაგალითად, სიტყვებში: შიშველი და ტიტველი (შიშველი იმისთანაზე ითქმის, რომელსაც ტანზე მცირე რაიმე მაინც აცვია; ხორცი დაფარული აქვს,

ხოლო ტიტველი იმისთანაზე, რომელსაც სრულად არაფერი აცვია):

იმისთანა სინონიმები, რომელსაც ცოტაოდენიც არის განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, ყველა უნდა დარჩეს მწერლობაში სახმარებლათ; ხოლო როცა რამდენიმე სინონიმს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, ერთ-ერთი უნდა ვიხმაროთ საერთოდ, რომელიც უფრო კეთილხმოვანია.

შემოთ ის სინონიმები მოგვყავს, რომელიც მწერლობაში უნდა დარჩეს\*):

ივნისი (თიბათვე, ივანობისთვე), ივლისი (კათათვე, კვირკობისთვე), აგვისტო (მარიამობისთვე, მარიობისთვე), სექტემბერი (ეკენისთვე), ოკტომბერი (ღვინობისთვე, წიფობისთვე), ნოემბერი (გიორგობისთვე), დეკემბერი (ქრისტეშობისთვე), ჯაყვა (კალმის დანა); დაცხიკვება (ცხვირის დაცემინება); ბუბიბ (დიდედა), ბაბუა (პაპა), თაველი (თავთავი), სუფრა (სტოლი, მაგიდა, ტაბლა), ჭიქა (სტაქანი), ხონჩა (ფაღნოსი), საინი (თეფში), ლანგარი (ბლუდი), ქვიჯა (როდინი, ავანდასტი), ქვასანაყი (ფილთაქვა), ქვევრი (ჭური), კლიტე (გასალეები), ხმალი (ლეკური), ხანჯალი (სატეფარი), ძროხა (ფური), ვირი (სახეღარი), კრაფი (ბატკანი), წვერა (მურწა), ხრამული (ფიჩხული), ღლაფი (ლოქო), მუღო (თხუნელა), აღუბალი (ქვიშნა), ბია (კომში), ბყოლა (თუფა), თხმელა (მურყანი), კობიტა (იფნი), ნიგოზი (კაკალი), ხაბურზაკი (სახამთრო), დედოფალა (ტიკინა),

\*) შრჩხილებს გარეთ ის სინონიმებია, რომელიც მწერლობაში უნდა ვიხმაროთ, ფრჩხილებში კი ისინი, რომელნიც მწერლობაში არ უნდა ვიხმაროთ.

თირკმელი (ქაქა), ტყლიბი (ტყირაბი, ელენთა), პლანი (გეგმა), ჩანჩქერი (წყალვარდნილი, ჩახრიალა), ბულ-  
ბული (იადონი), ცხვირსახოცი (ხელსახოცი), მასწავ-  
ლებელი (ოსტატი), ცეკვა (თამაში), დასრულება,  
შესრულება, გათავება (დამთავრება).

ლ მ კ ს თ ა წ ყ ო ზ ა.

ქართული სიტყვები გამოთქმაში ხმის ამოღობას  
თხოულობს, მაგრამ ისე გამოჩენილათ არა, როგორც,  
მაგალითად, ფრანგულსა, რუსულსა და სხვა ენებში.

სიტყვებში ხმის ამოღობას შემდეგი კანონი აქვს:

1) ორმარცვლოვან სიტყვებში ხმის ამოღობა ბო-  
ლოდან მეორე მარცვალზე მოხდება ხოლმე;

2) სამმარცვლოვანსა და საზოგადოთ მრავალმარცვ-  
ლოვან სიტყვებში კი — ბოლოდან მესამე მარცვალზე:

ა) კა'ცი, ქა'ლი, მა'მა, დე'და, უ'თო;

ბ) ძა'ცები, ქა'ლები, ა'ლდგომა, სიხა'რული, ზედ-  
ნიე'რება.

ქართული ლექსთაწყობა ხმის ამოღობაზედაც არის  
დაფუძნებული და მარცვალთა რაოდენობაზეც, ასე რომ  
ქართული ლექსთაწყობა ფრანგული ენის ლექსთაწყობასა  
გავს — სილაბიურია.

ლექსის თითოეულ სტრიქონს ტაქტი ეწოდება, ოთხ  
ტაქტს — ხანა.

ლექსის კითხვის დროს ყოველ ტაქტში საჭიროა  
აქა იქ ოდნავ შეჩერება, ასე რომ ლექსის ყოველი ტაქტი,  
მარცვალთა რაოდენობის მიხედვით, რამდენმე ნაწევრათ  
გაიყოფება; თითოეულ ნაწევარს ცეზურა ეწოდება.

პვილოთ, მაგალითად, თექვსმეტმარცვლოვანი ტაეპი:  
„ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა  
[პირსა“.

ამ ტაეპში ოთხი ცეზურაა: 1) ნახეს უცხო, 2) მო-  
ყმე ვინმე, 3) ჯდა მტირალი, 4) წყლისა პირსა.

ხმის ამაღლება ქართულ ლექსში თითოეულ სიტყვა-  
ზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ცეზურაზე. ხმის  
ამაღლება თითოეულ ცეზურაში ბოლოდან მესამე მარც-  
ვალზე უნდა მოხდეს, — მაგალითად, ზევით მოყვანილი  
ტაეპი, ცეზურებითა და ხმის ამაღლებით, ასე გამოიხატება:

ნახე/ს უცხო | მოყმე/ ვინმე, | ჯდა მტი/რალი |  
წყლ/ისა/ პირსა.

\* \*

დღევანდელ მწერლობაში განსაკუთრებით შემდეგი  
ლექსთაწყობა იხმარება:

1. შაირი (თექვსმეტმარცვლოვანი ლექსი),
2. ჩახრუხაული \*) (ოცმარცვლოვანი ლექსი),
3. მუსტაზადი (თოთხმეტმარცვლოვანი ლექსი),
4. თეჯლისი (თერთმეტმარცვლოვანი ლექსი)
- და 5. ბაიათი (შვიდმარცვლოვანი ლექსი).

### 1. შ ა ი რ ი.

შაირი ორგვარია: მალალი და დაბალი. ორივე  
გვარის შაირის თითოეული ტაეპი ცეზურებით ოთხ ნაწევ-  
რათ გაიყოფება: მალალ შაირში ოთხივე ნაწევარი ერთი  
ზომისაა, ოთხ-ოთხი მარცვლისაგან შემდგარი, — მაგალ.:

„ძა/კმა/ნ საქმე | მოი/გვაროს, | ვეპ-კმუ/ნვასა |  
ესე/ სჯობდეს.

\*) ასე ეწოდება მე-12 საუკუნის მგონის ჩახრუხაძის სა-  
ხელით, რომელმაც ეს ზომა პირველად იხმარა.

აქ თითოეულ ცეზურაში თავში დაბალი მარცვალი  
ან ხმაა, შუაზე მაღალი და ბოლოში—ორი დაბალი.

მაღალი შაირის მუსიკალური ნიშნებია:

ა—აა|ა—აა|ა—აა|ა—აა.

დაბალ შაირში პირველი და მესამე ნაწევარი ხუთ-  
ხუთი მარცვლისაგან შედგება, მეორე და მეოთხე კი—  
სამ-სამისაგან, — მაგალითად:

„იყო ა'რაბეთს | როს'ტევიან, | მეფე ღვთი'საგან | სვი'ანი.

დაბალი შაირის მუსიკალური ნიშნებია:

აა—აა|—აა|აა—აა|—აა.

შოთა რუსთველს თავის პოემაში ორივე შაირი აქვს  
ნახმარი, მაგრამ ისე, რომ თითოეულ ხანაში ორივეგვარი  
შაირის წყობა არ შეგხვდებათ, — ან მთელათ მაღალია,  
ან მთელათ დაბალი.

ჩვენი დროის მოშაირეებს კი ხშირათ აქვთ ზომა  
არეული—და ერთსა და იმავე ხანაში ზოგი ტაეპი მაღა-  
ლია, ზოგი დაბალი, — მაგალითად:

„შეებ მეფემ თვალი მოჰკრა, —

ხალხი გაირღვა შუაზე: —

მღრს მარჯვე ბიქს ბერიკაცი

მოჰყავს მის წინ მოედანზე“.

აქ მეორე ტაეპი დაბალი შაირია, დანარჩენი კი  
მაღალი, — რაიცა სმენისათვის არ არის სასიამოვნო.

მორივეგვარი შაირი (მაღალიც და დაბალიც) მხო-  
ლოდ პოემებს შეშვენის, — იქ შეიძლება ზოგი ხანა მა-  
ღალი იყოს და ზოგი დაბალი, როგორც, მაგალითად,  
დაწყობილია „მეფხისტყაოსანი“; პატარა ლექსს კი სხვა-  
დასხვა ზომა არ შეშვენის: ის ან მთელათ მაღალი შაი-  
რით უნდა იყოს დაწყობილი, ან მთელათ დაბალი შაირით.



შაირს ახალ მწერლობაში ისე ხშირათ არ იხმარება, როგორც რვეული.

რვეული წარმოადგენს შემოკლებულ შაირს: თითოეულ ტაქტში ორი ცეზურაა, რვა მარცვლისაგან შემდგარი, — მაგალითად:

მრელი	პეპელა		დაათრო
და	გააბრუა		იამა...
მას	მიეპარა		ყმაწვილი,
დაიჭირა	და		იამა.

## 2. ჩ ა ხ რ უ ხ ა უ ლ ი .

ჩახრუხაულში თითოეული ცეზურა ხუთი მარცვლისაგან შედგება, — მაგალითად: „სამშობლო'ს ცასა | ბნელათ-გა'შლილი | მწუხრის ზე'წარი | გადაე'ფარა“.

ჩახრუხაულის ზომით შეიძლება ოთხგვარი ლექსი დაიწეროს: 1) ოცმარცვლიანი, 2) თუთხმეტმარცვლიანი, 3) ათმარცვლიანი და 4) ხუთმარცვლიანი.

### მაგალითები:

1. ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ  
საფლავებს შორის!  
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუცა დამეცეს ცრემ-  
ლი მწუხარის!  
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდებლობა შორის ტია-  
ლის მიდვრის —  
და ქარიშხალი ძვალთა შეენილთა ზარით, ღრიალით  
მიწას მომაყრის...
2. ქართლსა ვიხილე ქალთა მეფაი; ტურფა ღიანა,  
ქეკლუცი, ნაზი, ბადრი და ნოტჩი, კეთილხმიანა;

მას ვედობილე, თაყვანსა- ვცემდი ძმიან-დიანა, —  
მაგრამ შავბედმა, მრისხანე ხვედრმა დამაზიანა.

3. შიქრმა და დარღმა სულ დამადუნა,

ადრე დამაქცნო, დამაჩაბუნა;

მრმოდლაათმა წელმა გამლუნა,

ქისერში მაგრათ ჩამიკაკუნა.

ან მარტო.ორრითმიანი (მეორესა და მეოთხე ტაეზში):

ბაჰკვეთე ქარი, გააბე წყალი,

ბადაიარე კლდენი და ღრენი!

ბასწი, გაჰკურცხლე — და შემიმოკლე

მოუთმენელსა სავალნი დღენი;

4. რათ შემიყვარებ, —

ბანა არ ვიცი!

შენ ჯერ ნორჩი ხარ,

მე კი მოხუცი!...

ჩახრუხაულს ყოველთვის ერთნაირი ცეზურა აქვს;  
თითოეული ცეზურის მუსიკალური ნიშნებია: აა — აა.

შენიშვნა. ჩახრუხაულის ზომის ლექსს აგრეთვე  
ფისტიკაური ეწოდება; საკუთრათ ჩახრუხაული ფისტი-  
კაურისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ თითოეული

ტაეზის ცეზურები ცალცალკე გართიმული იყო, — მაგალ.,

„შენ გონიერო, გულისხმიერო, თვით მეცნიერო,  
მეფევე ძლიერო!

მიუხდომელო, მიუწდომელო, მიუთხრობელო, წრფელ-  
სახიერო!

ბანათლებულო, განახლებულო, განბრწყინვებულო მზეო  
ციერო!

ბალადებულო, გალომებულო, კვლავ გოლიათო გულ-  
ღმობიერო!“

(შავთელისა).

### 3. მუსტაზადი.

მუსტაზადის თითოეული ტაეპი თოთხმეტი მარცვლისაგან შედგება: პირველი და მესამე ცეზურა ხუთხუთი მარცვალია, შუა ცეზურა კი — ოთხი მარცვალი, — მაგალითად:

მირბის, მი/მაჟრენს | უგზო/უკვლოთ | ჩემი მე/რანი.

მუსტაზადში თითოეული ხანა შეიძლება ოთხი ტაეპისგანაც იყოს შემდგარი და ორისგანაც, და როცა ოთხი ტაეპია, რითმა ან ყველას აქვს, ან მარტო ორ ტაეპს (მეორესა და მეოთხეს).

მუსტაზადის თითოეული ტაეპის მუსიკალური ნიშნებია: აა — აა|ა — აა|ა — აა.

### 4. თეჯლისი.

თეჯლისის თითოეულ ტაეპში სამი ცეზურაა, რომელიც სულ თერთმეტ მარცვალს შეადგენს, — მაგალითად: აღმა/რთ-აღმართ | მივდი/ოდი | მე/ნელა.

როგორც მუსტაზადში, ისე აქაც თითოეული ხანა შეიძლება ოთხი ტაეპისგანაც იყოს შემდგარი და ორისგანაც.

ამის მუსიკალური ნიშნებია: ა — აა | ა — აა | — აა.

### 5. ბაიათი.

ბაიათის თითოეულ ტაეპში ორი ცეზურაა, შვიდი მარცვლისაგან შემდგარი:

მოდი, ჩემო | კა/ლამო!

ღრო არს-მოგე/სა/ლამო

და შე/ნიფ შე/ვი/მზადო

წყლოლი/ გულის | მა/ლამო.

ბაიათის მუსიკალური ნიშნებია: ა — აა | — აა.

ს ა ს ვ ე ნ რ ნ ი შ ნ ე ბ ი.

### წერტილი.

**წერტილი** იმ წინადადებათა შორის დაისმის, რომელთაც ერთმანეთ შორის ან სულ არავითარი კავშირი არ აქვთ, ან აქვთ კავშირი, მაგრამ ერთობ შორეული, — მაგალითად:

ერთი მელა სოფელ-სოფელ დაკუნცულობდა. ერთ ალაგას ლილით სავსე სამღებრო ქვევრი პირლია დარჩენილიყო. იქა-აქ სიარულის დროს მელა ქვევრში ჩავარდა და შავათ შეღებილი შეიქნა. ღაიწყო სიარული. ერთი მამალი შემოეყარა.

### წერტილ-მძიმე.

**წერტილ-მძიმე** იმ გავრცელებულ მთავარ წინადადებათა შორის დაისმის, რომელნიც აზრით ერთმანეთთან არც ისე შორს არიან, რომ წერტილი დაისვას, და არც ისე ახლოს, რომ — მძიმე; მაგალითად:

„შერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი; მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძაღვლოვანი; ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი; სჯობს სიციცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

ბანსაკუთრებით აღწერაში:

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა; შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა; ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა; ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანატირსა.“

მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა; ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა; ხელთა ნაჭერი შათრახი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა; ნახეს — და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა“.

ხ ა ზ ე ბ ი ს ა უ ბ ა რ შ ი .

მოთხრობაში, როცა მომქმედი პირების საუბარია მოყვანილი, იმის მაგიერ, რომ დაასახელონ—ამ კაცმა ეს უთხრა, ამან ეს უბასუხაო,—თითოეული მოსაუბრის სიტყვების წინ დიდი ტირე (—) დაისმის,—მაგალითად:

— შენი სახელი, ძმობილო? — მკითხა მან.

— ბაბრიელი. — შენი? — ახლა მე ვკითხე.

— ბლახუკა.

— სადაური ხარ?

— რაჭველი. — შენა?

მეც ვუთხარი, სადაურიცა ვარ

(ილ. ჭავჭ. „ბლახის ნამბობი“).

ძველებური ქართული ენის ფორმები.

1. ძველი ქართული ენა ახლისაგან საზოგადოთ იმით გაირჩევა, რომ ძველ ენაში სრული ფორმები იხმარებოდა, — მაგალითად: კეთილისა კაცისა, კეთილსა კაცსა, კეთილითა კაცითა, კეთილნი კაცნი, კეთილთა კაცთა; აღვიდა, განვიდა, შთავიდა, წარუძღვა; მთასა ზედა, წყალსა შინა; ხრმალი, მრთელი, მფრინველი, მრწამს და სხვ.

ახალმა ენამ ფორმები გაამარტივა, გაამსუბუქა—და ახლანდელ ქართულში სრული ფორმები იშვიათად იხმარება. ახლა უფრო ხშირათ ხმარობენ: კეთილი კაცის, კეთილ კაცს, კეთილი კაცით, კეთილი კაცნი, კეთილ კაცებს, ან კეთილ კაცთა; ავიდა, გავიდა, ჩავიდა, წაუძღვა; მთაზე, წყალში; ხმალი, მთელი, ფრინველი, მწამს.

2. ბანსაზღვრებითი სახელობე უფრო ხშირად სასაზღვრ სიტყვას შემდეგ დაისმოდა, — მაგალითად: კაცი იგი,



კაცისა მის, კაცსა მას, ხმითა დიდითა, ძალითა ძლიერითა და სხვ.

ახლა ხმარობენ: ის კაცი, იმ კაცის, იმ კაცს, დიდი ხმით და სხვ.

3. ნათესაობითი ბრუნვის ფორმა იბრუნვოდა ხოლმე და სახელებს ისე ვთანხმებოდა, როგორც ზედსართავი სახელი:

„შეთქვენს მეფენი ქვეყანისანი“. — „ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღვთოთასა და გზათა ცოდვილთასა არა დადგა“. — „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“. — „ძენო კაცთანო“!

4. ი-ზე დაბოლოებულ სახელებს, როცა შემასმენელათ იხმარებოდენ, დაბოლოების ი. ეკვეცებოდა:

„სიმართლენი უფლისანი წრფელ არიან“.

„ხოლო მე მატლ ვარ და არა კაც“.

ზოგჯერ ჩვენი დროის მწერალნიც ხმარობენ ასე შეკვეცილ ფორმებს:

„არ იყო ხნიერ“ (ილ. ჭავჭ. „ზანდევილი“).

„სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ“ (ბრ. მრბ. „შსალმუნნი“).

5. ი-ზე დაბოლოებული ადამიანთა სახელები ნათესაობითში ხშირათ ისი-ზე ბოლოვდებოდა: „შსალმუნნი ღვთისი“, — „სახელი ღვთისა იაკობისი“.

6. ა-სა, მ-სა, მ-სა და უ-ზე დაბოლოებულს არსებით სახელებს ხშირათ ბოლოში დ (ი) ემატებოდა:

ჰსწვიმოს ცოდვილთა ზედა მახეღ, ცეცხლი და წუნწუბაღ“ (ფსალმ. 10, 6).

ხალხურ ენაში ახლაც ხშირათ ემატება ბოლოში ი: მამაი, დედაი, ძიაი, ძატაი, მანაი, და სხვ. (ძართალში); ძმაი, დაი (იმერეთში).

7. მოთხრობითი ბრუნვის მაგიერ საკუთარ სახელებში ხშირათ სახელობითი იხმარებოდა: **თქვა ლეონ არაკი.** — რქვა იესო მოწაფეთა თვისთა.

8. ძველ მწერლობაში ხშირათ იმისთანა სახის ზმნა იხმარებოდა, რომელიც რამდენჯერმე გამეორებულ მოქმედებას ნიშნავდა, — ე. ი. **მრავალგზითი სახის ზმნა.**

ზანსაკუთრებით ხშირათ ეს სახე ნახმარია „ვეფხისტყაოსანში“ და „სიბრძნე-სიცრუის წიგნში“:

ა) „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან, მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა განოსხდიან: **ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან**“.

ბ. „ჩაყვის ცხრილი წყალში, და რა აივსის, **სთქვის**“.  
იშვიათად ეს სახე ახალ მწერლობაშიც იხმარება:

„**გადაბრუნდის** ჩვენი ციგა —

პოტრიელა, კოტრიელა!“ (რაფ. მრისთავი).

9. როცა დამატება მრავლობით რიცხვში იყო, შემასმენელი, მრავ. რიცხვის ნიშნათ, შუაში ნ-ს ჩაირთავდა:

„**თვალნი** ამპარტავანთანი **დაამდაბლნე**“ (უსალ. 17, 27). — „მეფემან **იხმნა ვეზირნი**“ („ვეფხ.“). — „**თვალნი დაბუქნა**“ („სიბ.-სიცრ.“).

10. ახლანდელი მნ-ის მაგიერ მ. კ. ნამყო I-სა და II-ში ზმნები მს-ზე ბოლოვდებოდა:

„**შეთქვენეს** მეფენი ქვეყანისანი“ („უსალმ.“).

„**მოვიდეს** სრულნი არაბნი“ („ვეფხ.“).

„**თამაშობდეს** და უჭვრეტდეს“ (იქვე).

11. მოქმედი პირის (ქვემდებარის) კუთვნილების აღსანიშნავათ ნაცვალსახელი მისი იხმარებოდა, ახლანდელი თვისი (თავისი) — ს მაგიერ: 1. (თინათინმა) „**მოიხმო** მისი გამზრდელი“ („ვეფხ.“); — ახლა უნდა ითქვას „**თავისი** გამზრდელი“; 2. (ტარიელმა) „**ჰკრა** მათ-

რახი მისსა ცხენსა“ („ვეფხ“); —ახლა უნდა: „თვისსა ცხენსა“.

**შენიშვნა.** ხალხურ ენაში ამ შემთხვევაში ახლაც იხმარება (განსაკუთრ. ქვემო იმერეთში), ძველი ენის მზგავსათ, ნაცვალსახელი მისი.

## ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს კ ი ლ ო კ ა ვ ე ბ ი ს

— შეგრულისა და სვანურის —

### გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი ფ ო რ მ ე ბ ი .

ქართველ ხალხს უხსოვარ დროს ნაწილები მოშორებიან და განცალკევებულ მხარეებში დაბინავებულან. განსხვავებულ ბუნებასა და განცალკევებულ ცხოვრებას ამ ნაწილებისათვის განსაკუთრებული ბეჭედი დაუსვამს — და მათი სასაუბრო ენაც დედაქართულისაგან რამდენათმე განუსხვავებია.

რამდენათაც გადასახლებული ქართველობა შუაგულის ქართველებზე მოშორებული ყოფილა, იმდენათ მათ ენასაც განსხვავებული სახე მიუღია. ქართული ენის კილოკავებია. — სვანური, მეგრული, ლაზური, ინგილოური, ფშაური, თუშური, ხევსურული და სხვ. საქართველოს ყოველის განსაკუთრებული კუთხის ენას თავისი განსხვავებული გამოთქმა და ფორმები აქვს, მაგრამ ყველა კუთხეს ერთმანეთის საუბარი კარგათ ესმის. მხოლოდ სვანური და მეგრული ენა (და ამ უკანასკნელის მახლობელი დიალექტი ლაზური) დედა-ქართულისაგან განსაკუთრებით განსხვავებულ სახეს წარმოადგენენ — და, მათ შორის, ზევით დასახელებული მიზეზის გამო, სვანური უნა უფრო დაშორებულია, ვიდრე მეგრული.

ქვემოთ აღნიშნულია მეგრულისა და სვანური ენების ზოგიერთი, უმთავრესათ საყურადღებო, გრამატიკული ფორმა, დედაქართულთან შედარებით.

### I. ბ გ ე რ ე ბ ი.

მეგრულსა და სვანურ ენებს დაუცავს დედაქართულის ყველა ის ბგერა, რომელიც ამ უკანასკნელს ევროპიული ენებისაგან განასხვავებს, — მაგალი. **თ, ფ, ჭ, ლ, შ, ძ, წ, ზ, ჯ**.

საერთო ბგერებს გარდა, მეგრულსა და სვანურ ენებში არის რამდენიმე განსხვავებული ბგერაც, რომელიც დედაქართულში დღეს არ მოიპოვება.

მეგრულ ენაში არის ხორხისმიერი თანხმოვანი ბგერა, რომელსაც დაახლოებით იმგვარივე გამოთქმა აქვს, როგორიც რუსულს ხმოვან **ჟ**-ს წინ მიუძღვის, ან როგორიც იმერულ შორისდებულ **იჟჟ**-ში **ი-ნის** წინ მოისმის. **ეს ბგერა გამოთქმით ქართულ შ-ს უახლოვდება\***). —

აი ამ ბგერის მექანი რამდენიმე სიტყვა:

<b>ეუჯი</b> — ყური		<b>მიეღრს</b> — მიყვარს
<b>ეუდე</b> — სახლი		<b>ჟოღოფე</b> — ყოფილა, და სხვ.

მეგრულში კიდევ მოისმის **ნახევარხმიანი ბგერა\*\***), რომელსაც დაახლოებით იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც ფრანგულს ყრუ **e-ს** (e muet), — მაგალითად: **ჟოჩქ იფირქე** — კაცმა იფიქრა; **იფირქე** ისე გამოითქმის, რომ ბოლოში **ქ** მოწყვეტით არ თავდება, არამედ ყრუთ, ნახევრათ ისმის კიდევ ხმა.

\* ) ამ ბგერის გამოსახტავ ნიშნათ მობრუნებული ქართულად ასო **შ** იხმარება, ე. ი. **ე**.

\*\* ) ეს ბგერა ნიშნით **ჟ** გამოვხატოთ.

ამგვარივე მნიშვნელობით სვანურ ენაშიც ისმის ხშირათ ნახევარი ხმა, — მაგალითად: მი ხეუგ მე ვდგაგარ, სი ხ<sup>ბ</sup> — შენ დგახარ, ეჯა ზ<sup>ბ</sup> — ის დგას.

აქ პირველ პირში გარკვევით მოისმის ხმა უ, ხოლო მეორესა და მესამე პირში უ-ნის ადგილას ნახევარი ხმა (ყრუ ხმოვანი) მოისმის\*).

მეგრულ ენას საზოგადოთ ნახი, რბილი გამოთქმა აქვს და ამ თვისების განსაკუთრებით დამახასიათებელი გამოთქმა ნახევარხმოვან ი-ში მოისმის\*\*), მაგალითად: ძაჲამი — ძალიან (ჲა ისე რბილათ და მოკლეთ გამოითქმის, როგორც რუსული я; ი-ნის წინ ზოგჯერ ძალიან დარბილებული ლ მოისმის, როგორც 1 ფრანგულ სიტყვაში „papillon“-ში), მაჲაზონი — მონაზონი, მაჲალური — მალალური, და სხვ.

სვანურ ენაში არის ხორხისმიერი ბგერა, რომელიც ქართულ ხ.ს ჩამოგავს, მაგრამ უფრო ღრმათ გამოითქმის ყელში — და რალაც დაგუბული ყელის ხმა მოისმის. ჩანს, ძველათ ქართულ ენაშიც ყოფილა ხ-ნისაგან განსხვავებული ხორხისმიერი ბგერა — და ამიტომ ჩვენს ანბანში ძველათ იხმარებოდა ბგერა რ, — მაგ. კელი, კორცი და სხვ. ამ ბგერით გამოითქმის სვანურათ, მაგალითად, ღაკლ — თხა, კან — ხარი.

სვანურ ენაში არის კიდევ ფრანგული ა.ს მზგავსი ბგერა (ი-ნისა და უ-ნის საშუალი), — მაგალ. ფარ — ძროხა (ფური), აგრეთვე ა-ნისა ლ მ-ნის საშუალი ბგერა (ლათინური ae), — მაგალ. მაზბელ — მეზობელი, ნაათი ნათესავი, ნა — ჩვენ, სვა — თქვენ, ეჯიარ — ისინი. — რიცხვი

\*) ამგვარივე ბგერა სომხურ ენაშიც არსებობს.

\*\*\*) ეს ბგერა ქართული ა-თი გამოვხატოთ.



ორი სვანურათ ითქმის ესრი, ე. ი. პირველი მარცვალი ისე გამოითქმის, როგორც ფრანგული **მ**,

**II. ბ რ უ ნ ე ბ ა.**

სახელობითი ბრუნვა მეგრულ ენაში, ისე როგორც ქართულშიც, ხმოვანზე ბოლოვდება (**ა, ე, ი, ო, უ**): **დიდა** — დედა, **მუმა** — მამა, **ქათომი** — ქათამი, **კოჩი** — კაცი, **ბამბე** — ბამბა, **რუო** — რვა და სხვ.

სვანური კი ძალიან ხშირათ თანხმოვანზედაც ბოლოვდება, მაგალ. **კან** — ხარი, **პილ** — ნაპირი, **მაზბელ** — მეზობელი, **სკამ** — სკამი, **ლაარტყ** — სარტყელი და სხვ.

ბრუნების კანონებში ბევრი რამეა საერთო ქართულ ენასა და მეგრულ-სვანურში. ნათესაობით ბრუნვაში მეგრული სიტყვა ში-ზე ბოლოვდება (მაგალ. **კოჩიში** — კაცის): ში იგივე ქართული სი-ა (რკოსი, ბუსი), რადგან ფონეტიკურათ ს და შ თანაბარი ხმებია (იხ. გვ. 26).

სვანურშიც ამ ბრუნვაში **შ** — ნია დაბოლოებაში (დაბოლოებაა **ეშ**), — მაგალ. **დიეშ** — დედის, **მუეშ** — მამის.

შიცემითი ბრუნვა როგორც მეგრულში, ისე სვანურშიც, ქართულის მზგავსათ, ს-ზე ბოლოვდება: მეგრ. **კოჩს** — კაცს, სვან. **დის** — დედას; — წოდებითი ბრუნვა მეგრულსა და სვანურში იგივე სახელობითია: მეგრ. **კოჩი** — კაცი! **სი-კოჩი** — შე კაცი! სვან. **მარე** — კაცი! **სი-მარე** — შე კაცი!

ქართულისაგან განსხვავებული ფორმა მეგრულსაც და სვანურსაც მოთხრობით ბრუნვაში აქვს, — მაგალ. მეგრ. **კოჩქ** — კაცა, **ბოშქ** — ბავშმა; სვანურ. **დიდ** — დედამ, **მუდ** — მამამ. — მეგრულს ქართულისგან განსხვავებული დაბოლოება აქვს აგრეთვე ვნებით ბრუნვაში (ო-ზე ბოლოვდება), როცა სახელობით ბრუნვაში სიტყვა ი-ზეა დაბოლოებული: **კოჩო** — კაცათ, **ცხენო** — ცხენათ (სხვა და

ბოლოების სიტყვებიდან კი ქართულსა გავს: მუმათ, სუდეთ და სხვ.). — სვანურ ენას განსხვავებული ფორმა კიდევ მოქმედებით ბრუნვაში აქვს: ქორშ — სახლით.

მრავლობით რიცხვში მეგრულ-სვანური სახელების ბრუნებაში იმგვარივე წესებია, როგორც ქართულში დაბოლოება იგივეა, რაც მხოლოობითში, მხოლოდ და ბოლოების წინ ჩასართი ემატება (მეგრულში — ქართულის მზგავსივე ეფ, ხოლო სვანურში — განსხვავებული სუფიქსი არ), — მაგალითად:

**მეგრულათ:**

(ქოჩი — კაცი)

- სახ. კოჩეფი
- ნათ. კოჩეფიში
- მიც { კოჩეფს
- წნ კოჩენს
- მთ. კოჩეფქ
- მქ. კოჩეფით
- მ. კოჩეფო
- წ. კოჩეფი!

**სვანურათ:**

(ქორ — სახლი)

- ქორა:რ.
- ქორრეშ.
- ქორარს.
- ქორარდ.
- ქორარშ.
- ქორარდ.
- ქორა:რ!

სუფიქსის წინ სვანურში ლ ჩაერთვის, როცა სახელი მხოლოობითის სახელობით ბრუნვაში ხმოვანხეა და ბოლოებული, მაგალ. დიილა:რ — დედები (დი — დედა). დიილარეშ, დიილარს და სხვ. \*)

**III. მ ი მ ო ხ რ ა**

როგორც დედაქართულში, ისე მეგრულსა და სვანურშიც ორგვარი მიმოხრაა (ნახეთ წინ. გვ. 16).

\*) ზოგან მეგრულებიც ხმარობენ მრავლობითში სუფიქს ეფ-თან სუფიქს ალ-ს: მუმალეფი — მამები, მუმალეფიში, მუმალეფს (მუმალენს) და სხვ.

პირველი მიმოხრის ზმნები.

ძართულათ:	მეგრულათ:	სვანურათ:
მე ვსწერ	მა ვკარზქ	მი ხზაირე
შენ სწერ	სი კარზქ	სი ხაირე
ისა სწერს	თინა კარზნს	ეჯა აირე
ჩვენ ვსწერთ	ჩქი ვკარზთ	ნა ხზაირედ
თქვენ სწერთ	თქვა კარზთ	სვა ხაირედ
ისინი სწერენ	თინეფი კირზნა	ეჯი არ აირეხ.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ხმა ვ მხოლოდ პირველ პირში იხმარება ორივე რიცხვში, დანარჩენში — არა (ისე, როგორც ქართულ ენაშიც).

მეორე მიმოხრის ზმნები.

ძართულათ:	მეგრულათ:	სვანურათ:
მე მაქვს	მა მილუ	მი მულო
შენ გაქვს	სი გილუ	სი ჯულო.
მას აქვს	თის ულუ	ეჩას ხულო
ჩვენ გვაქვს	ჩქი მილუნა	ნა გულო
თქვენ გაქვთ	თქვა გილუნა	სვა ჯულობ
მათ აქვთ	თინეფს, თინენს ულუნა	ეჯია რს ხულობ.

ამ მიმოხრიდან ჩანს, რომ მეგრული ზმნის ფორმები საესებით ქართულ მიმოხრასა გავს, განსაკუთრებით თავი (მ, გ, უ). თუმცა მრავლობითი რიცხვის პირველ პირს ქართული გვ-ს მაგიერ თავში მ უზის, მაგრამ აქაც მეგრულ ენას ქართულის თვისება დაუკავს: ძველ ქართულშიც ამ ფორმაში მ იხმარებოდა, — მაგალ. „მამო ჩვენო“ — ში ნახმარია ფორმები: „მომეც ჩვენ“ (ახლა ვიტყვით „მოგვეც“), „მიხსენ ჩვენ“ (= გვიხსენ) და სხვ.

სვანურ ენაშიც II მიმოხრის ზმნა ქართულის მზგავსათ მიმოხრის, მხოლოდ მეორე პირში გ-ს მაგიერ ჯ

იხმარება და მრავლობითი რიცხვისათვის მეორესა და მესამე პირში განსხვავებული ნიშანია (ხ).

სხვა დროებშიც მეგრულ-სვანურის მიმოხრა ძალიან გავს ქართული ენის მიმოხრას.

მაგალითები მეგრულათ: მე დავსწერ—მა დოვქარზქ, მევსწერდი—მა ვქარზდი, მე დამიწერია—მა დომიქარზ ღ სხვ.

სვანურათ: მე ვხატავდი—მი ხვახტავდას, მე დამიხატავს—მი მიხტავა, ჩვენ დავგიხატავს—ნა გვიხტავა ღ სხვ.

როგორც ქართულ ენაში, ისე მის კილოკავებშიც მეორე მიმოხრის ზმნებთან ქვემდებარე მიცემით ბრუნვაში დაისმის:

ქართ.: კაცს აქვს, უყვარს

მეგრ.: კოჩს ულუ, უეორს

სვან.: მარეს ხულო, ხალა ტ.

#### IV. რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი.

ქართულსა და მეგრულ ენაში თვლა ერთნაირი კანონით წარმოიბს, ე. ი. ათეულისა და ოცეულის ანგარიშით: ათი, ვითი, ოცი—ეჩი, ოცდაათი—ეჩიდოვითი, ორმოცი—ჟარზნეჩი, ორმოცდაათი—ჟარზნეჩიდოვითი, სამოცი—სუმონეჩი, და სხვ. სვანურში ოცამდი ისე ითვლება, როგორც ქართულ-მეგრულში, შემდეგ კი ასამდი—მხოლოდ ათეულის ანგარიშით, — მაგალ. ოცი სვანურათ იქნება იარვეშდ (ე. ი. ორი ათი), ოცდაათი—სემეშდ (=სამი ათი), ორმოცი=ვოოშთხვეშდ (=ოთხი ათი), ორმოცდაათი—ვოხვიშდეშდ, სამოცი—უსგვააშდ, სამოცდაათი—იშგვიდაშდ, ოთხმოცი—არააშდ, ოთხმოცდაათი—ჩხარააშდ (=ცხრა ათი), ასი—აშირ.

ე რ თ ე უ ლ ე ბ ი .

ქართულათ:	მეგრულათ:	სვანურათ:
ერთი	ართი	ეშხვი
ორი	ჟირი	ეაჩი*)
სამი	სუმი	სემი
ოთხი	ოთხი	ვოოშთხვ
ხუთი	ხუთი	ვოხვიშდ
ექვსი	ამშვი	უსგვა
შვიდი	შკვითი	იშგვიდ
რვა	რუო	არა
ცხრა	ჩხორო	ჩხარა-
ათი:	ვითი	ეშდ
თერთმეტი	ვითაართი	ეშდეშხვი
თორმეტი	ვითოჟირი	ეშდიეაჩი და სხვ.

როგორც ვხედავთ, მეგრული თვლა თათქმის იმგვარივეა, როგორც ქართული; სვანურიც ქართულს ძალიან გავს, თუმცა მეგრულზე ნაკლებათ, და განსაკუთრებით განსხვავებულია ერთის, ხუთისა და ათის სახელწოდება.

V. ს ი ტ ყ ვ ა თ ა წ ა რ მ ო ე ბ ა .

სხვადასხვა სიტყვის წარმოებაში მეგრულშიც და სვანურშიც დედაქართულის მთავარ კანონებს ემორჩილება: თავიც ეცვლება და ბოლოც, ხან ორივე ერთად და ხან ცალცალკე. — მეგრული ენა აქაც მეტათ ახლოს დგას ქართულთან; მაგალითად, თავსართი ბა მეგრულათ ითქ-

\*) პირველი მარცვალი ისე გამოითქმის, როგორც ფრანგული eu.



მის ბო: გაკვეთა, გაქრა—**ბო**კვათუა (იმერულათაჲც **ბო**: გოუქრა, გოუკვეთა); **და**—მეგრულათ **დო**: დავსწერე—**დო**კჳარი (იმერულ. დოუწერია, დოუწერე);—მეგრული თავსართი **მი** ქართულ **წა**.ს უდრის; **მი**ივშათ! (წავიდეთ!), **მი**დართეს (წავიდენ);—**სა** მეგრულათ **ო**-ნით გამოიხატება: **ოქკომალი**—საქმელი, **ოშუმალი**—სასმელი; **ო** მეგრულათ ვნებითი ბრუნვის დაბოლოებაა—და ვითარებით ზმნისართის გამოსახატავათ იხმარება (როგორც ქართულათაჲც): **ჯგირო** - კარგათ, **უჯგუშო**—უკეთესათ, უკეთ.

უარყოფითი ნაწილაკი **შ** მეგრულათაჲც ისე იხმარება, როგორც ქართულათ: **უდიდო**—უდედო, **უჩილო**—უცოლო, **უკოჩო**—უკაცო. სვანურათ უარყოფითი ფორმა ზედსართავ სახელებში ორნაირათ გამოიხატება: ან ქართულის მზავსათ (**შ**-ნით თავში), მაგალ. **უჩიშა**—უცოლო, **უჩინ**—უენო და სხვ., ან სიტყვის ბოლოში ემატება უარყოფითი ნაწილაკი **ურ**: დიურ უდედო, მიურ—უმამო, ადგილურ—უადგილო და სხვ. **შორმა უპირო** სვანურათ ორნაირათ შეიძლება გამოითქვას: **უპირ** და **პილურ**.

ქართული პრეფიქსი **მმ** მეგრულათ **მა**-თი გამოიხატება; სვანურათ კი **მშ**-თი, — მაგალ. მეორე მეგრ. **მა**-ური, სვან. **მეერვე**; მე<sup>1</sup>ამე—მეგ მასუმა, სვან. **მესმე** ლ სხვ.

ზედსართავის (განსაკუთრებით მიმღეობის) პრეფიქსი **მ** სვანურათაჲც **მ**-თი გამოიხატება: **მქლაქ** - მოქალაქე, ქალაქელი, **მირე**—მწერელი, **მრემ**—მაშენებელი, **მსყი**—მკეთებელი და სხვ. მიმღეობის სუფიქსი **ულ** სვანურათ პრეფიქსით **ლ**-თი გამოიხატება: **ლზყე**—გაკეთებული, **ლოგე**—აშენებელი, **ლზერგვე**—დანერგული, დარგული;—ამ პრეფიქსით გამოიხატება აგრეთვე ქართული სუფიქსი **იან**,—მაგალითად: **ლოველ**—ქკვიანი, **ლოფაყგ**—ქუდიანი.

შედარების ხარისხები მეგრულათაჲ ისე გამოითქმის, როგორც ქართულათ (ქართული სუფიქსის მს-ის მაგიერ მეგრულშია აშ): **ჭიჭე** (პატარა)—**უჭიჭაში** (უპატარესი, უფრო პატარა)—**ძაძამ** (ძალძამ, გვალძას, ნამეცანი, ნაბეცანი) **ჭიჭე** (ძალიან, მეტათ, ერთობ პატარა).

სვანურ ენაში შედარებითი ხარისხი ასე კეთდება: თავში ემატება **ხონ** და ბოლოში **ა**, ან, თუ სიტყვა **ი-ზე** ბოლოვდება, დაბოლოების **ი** **ა**-ნათ იქცევა, მაგალ. **სკოოდ**—**ლრმა**, **ხონსკოდა**—**ულრმესი**, **კლთხი**—**მაღალი**, **ხონკლათხა**—**უმალღესი**. აღმატებითი ხარისხი სვანურშიც ისე კეთდება, როგორც მეგრულში, ე. ი. ზმნისარაების საშვალეებით (**გუნ**—**ძალიან**, **აღურდ**—**ერთობ**, **მეტისმეტათ**), მაგალ. **უუმალღესი** სვანურათ ითქმის—**აღურდ** **კლთხი** ან **გუნ**—**კლთხი**. ქართულ ენაში აღმატებითი ხარისხი განსაკუთრებული ფორმითაც გამოითქმის (უულრმესი, უუმალღესი), მეგრულსა და სვანურში კი ამგვარი ფორმა არ მოიპოვება\*).

### მე-7 გამოცემის გამო.

ჩემი აზრი ქართულ სამწერლო ენაში საერთო გრამატიკული ფორმების შემოღების შესახებ მკითხველებს უკვე მოხსენდათ (ბანათლების სამინისტროში შეტანილი წინადადება, რომელიც „სახალხო საქმეში“ იყო დაბეჭდილი: 1919 წლ. № 688).

ამ აზრის განხორციელებისათვის სამინისტროს განკარგულება, სამწუხაროთ, ჯერჯერობით ვერ შესრულდა.

\*) ჩემი აზრით, ქართული ფორმები **უუმალღესი**, **უულრმესი** და სხვ. მწიფობარულია; შეთხზულია, და არა ხალხური; ხალხში ეს ფორმა არ იხმარება.

მიუხედავად ამისა, მე, ჩემი მხრივ, იმ მართლწერაში, რომელიც დიდი ხანია მიღებული მაქვს, მცირეოდენი ცვლილება შევიტანე: 1) ზმნის ფორმებში, განსაზღვრული წესითა და ფარგლით, ბგერის ჰ-ს ხმარება\*, 2) ც-სა და ხ-თან მართლწერაში ღ-ნის ხმარება (თ-ნის მაგიერ), — მაგალ. მოცდა, მოხდა, — და ზოგი რამ სხვა.

აღნიშნულ ცვლილებათა მოხდენა არ არის შედეგად რწმენის უარყოფისა, არამედ სურვილია შეთანხმებისა და ჯერხანათ კიდევ უმრავლესობის აზრის პატივისცემისა.

ცვლილება მხოლოდ იმ ფორმებს შეეხო, რომელიც ჯერჯერობით ცხოვრებაში საკმაოდ ფეხმოკიდებული არ არის. — რაც შეეხება ვნებითი ბრუნვის დაბოლოებას (ღ თუ თ), ვიდრე სახელმწიფოებრივ ორგანოს თავისი სავალდებულო სიტყვა არ უთქვამს, მე არ შემძლია უპირატესობა არ მივსცე თ-ს, რომელიც ამ შემთხვევაში ფონეტიკურათ ბუნებრივით მიმაჩნია და რომელიც ცხოვრებაში მტვიცე მოქალაქობრიობა მოიპოვა.

ჩემი გრამატიკის ოფიციალურ რეცენზენტებს შორის მე მხოლოდ ბ-ნის ბ. ახვლედიანის შენიშვნებით ვისარგებლბ და ზოგი რამ — განსაკუთრებით ფონეტიკაში — შევავსე და შევასწორე.

სილოვ. ხუნდაძე.

ქუთაისი, 1920 წლ. 8 სექტემბ.

\* ) ბ-ნი აკ. შანიძის აზრი და პროექტი ქართულ ზმნებში ჰ-სა და ხ-ნის ხმარებისა (იხ. მისი „სუბიექტ. პრეფ. მეორე პირისა და ობიექტ. პრეფ. მესამე პირისა ქართულ ზმნებში“). მე უსათუძელოთ და შეუწყნარებლათ მიმაჩნია, და ამის შესახებ ჩემს დასაბუთებელ აზრს თავის დროზე ცალკე გამოვსთქვამ.

БЮЛЕТЕНЬ

ПРОБЛЕМЫ

4-5

1942/15

494.63

6 931